

№3. 2018 Վ.

Երգեր



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
 სსიპ „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“

იალქანი - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის
აფქიო - ჯონა-ჯრებული ყველაზე პატარებისთვის



- რედაქტორი - ნანა ჭანტურიძე
- მხატვრული რედაქტორი - ნუნუ ჯანელიძე
- დიზაინი, დაკაბადონება - ვახტანგ ზაქარაია
- მხატვარი - დალი მუსაძე
- არტრედაქტორი - ნანა ძარღვა
- სტილისტი - თათული რუსაძე

- „ცენტრის“ დირექტორი
ირმა ირემაძე
- იალქანი** - დაარსებულია 1996 წელს
- აფქიო** - დაარსებულია 2010 წელს
- გამოცემა განახლდა 2014 წელს

„იალქნის“ ნომერი ეძღვნება სოხუმის პროფესიული ქართული დრამატული თეატრის 90-ე წლისთავს



ზღვისპირა პანორამა, გადაღებული სოხუმის დრამატული თეატრის აივნიდან

საგამომცემლო ჯგუფი:

ნინო ვახანიძე, სალომე კახანაძე, ნატო კორსანტი, ნუზუარ მგალობლიშვილი, როლანდ ნიჟარაძე, ოთარ შორღანიძე, მანანა ძვინაძე, გელა ჩიქვანიძე, სოსო ჭუმბურიძე.



გზის დასაწყისი

ფოტო, რომელიც „იალქის“ პირველივე გვერდზე ქვეყნდება, ზუსტად 120 წლისაა. იგი დათარიღებულია 1898 წლით და გვახსენებს სოხუმის დრამატული კოლექტივის წევრებს, იმ ადამიანებს, რომელთა მოღვაწეობა უკავშირდება ზღვისპირა ქალაქში ჯერ კიდევ არაპროფესიულ, თუმცა ქართულ სცენაზე განხორციელებულ პირველ წარმოდგენებს.

რეალურ გარდასახვამდე, დამაჯერებლობამდე, მსახიობურ ოსტატობამდე რთული და საინტერესო გზა გასავლელი, გადასალახავია მოცემულობა, რომელმაც უნდა სრულყოს მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროცესი.

სოხუმელი ძველი სცენისმოყვარე მიხეილ გვაზავა (ფოტოზე დგას მარცხნიდან მესამე) თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ქართული წარმოდგენები ქალაქში იმართებოდა 1885 წლიდან; რომ პირველდასელთა ხელმძღვანელი იყო სოხუმის მთიელთა სკოლის პედაგოგი ანთიმოზ ჯუღელი (ფოტოზე მარცხნიდან მეოთხე). „დრამატული კოლექტივის წევრებად ვირიცხებოდით სიმონ ფრანგულიანი, მასწავლებელი ვასილ ადამია (ფოტოზე დგას მეორე), დები მიმინოშვილები, გიორგი ფარცვანია, სოზონტი კობახიძე, იასონ გეგელაშვილი, კოტე აბაშიძე, მაკრინე თურქია და მე“.

თავიდან მსახიობთა დასი, ამხანაგობები სპექტაკლებს მართავდნენ ოჯახებში, გადიოდნენ სოფლებშიც. ტალახიან გზებზე გადაადგილდებოდა ხარებშებმული, სასცენო ინვენტარით დატვირთული ოთხთვალეები.

ერთ-ერთი პირველი წარმოდგენა, რომელიც დადგეს სოხუმელმა მოყვარულმა მსახიობებმა, იყო ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“.

„წარმოდგენელი და აღუწერელი იყო სიხარული ხალხისა, როცა მან სცენიდან ქართული ლაპარაკი გაიგონა და დაინახა ისიც, რომ შესაძლებელი ყოფილა ქართულად, ჩვენს გასაგებ ენაზე „თრიატის“ გაკეთება“, – წერდა 1889 წელს „ივერიის“ ფურცლებზე ცნობილი მწერალი თედო სახოკია.

იმ წლებში სოხუმში წარმოდგენებს მართავდნენ ქართული თეატრის კორიფეებიც: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, ვალერიან გუნია, მაკა საფაროვა-აბაშიძისა.

„მთელი თავისი არსებობის მანძილზე სოხუმის თეატრი აფხაზეთში ქართული ენის, ტრადიციის, კულტურის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი კერა, ეროვნული მოძრაობის ცენტრი, აფხაზეთის ქართველების შემკრები და წინამძღვარი იყო“, – ასე შეაფასა ქართული თეატრის როლი წლების მანძილზე მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, ცნობილმა მსახიობმა და გამორჩეულმა მოღვაწემ დიმა ჯაიანამ.



დგანან (მარცხნიდან): ლოლობერიძე, ვასილ ადამია, მიხეილ გვაზავა, ანთიმოზ ჯუღელი, ელისაბედ ჯუღელი. 1898 წ. სოხუმი.



ოლესია თავაძე

ოლესია თავაძე - მრავალმხრივ ნიჭიერი შემოქმედელი, გამორჩეული სახელი არა მარტო მხატვრობაში, არამედ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. მუშაობს დაზოგურ ფერწერაზე და ბრაზილიაში. შესრულებული აქვს მრავალი ნივთი დიზაინი და ილუსტრაცია. შემდინილი აქვს არა ერთი ხელნაკეთი თოჯინა და კოსტიუმი. წლებიც მანძილზე მუშაობდა მხატვრად ცირკის ქართულ დასსა თუ სხვა მრავალ თეატრში. აღსანიშნავია მისი საბავშვო ნივთი-ფლაკარი "ვასკულინა და გუსუნულა", რომელიც პრემიარებული იყო საერთაშორისო კონკურსზე "Step by step" (ნაზივ-ნაზივ).

ოლესია თავაძის მინიატურები "კაკლის ქარები" თითქმის უზრალოდ დაკვირვებად თვალის მძიმე აღამიანის ჩანაწერებია, ჩვენს ყოველდღიურებას რომ ასახავს, მბრამ იმდენად მხატვრული, იმდენად პოეტური, ერთიანად იწყობს მკითხველის გულსა და გონებას. ოლესია თავაძის მიერ შესანიშნავი ნახატებით გაფორმებული მინიატურები, ვფიქრობთ, ერთნაირად მოხიბლავს "იალქნის" ყველა ასაკის მკითხველს.

ოლესია თავაძე

მგალობელი ჩიტები*

დიდი ხნის წინ, მთანმინდაზე ცხოვრობდა ღვანღმოსილი მუსიკის პედაგოგი, კონსერვატორიის პროფესორი, დიდად პატივცემული ქალბატონი.

მისი სიყვარული მუსიკისადმი უსაზღვრო იყო. უსაზღვრო იყო მისი სიყვარული ცხოველებისადმი. მშვიერსა და ავადმყოფს გულგრილად ვერ ჩაუვლიდა – დიდძალ საჭმელს ყიდულობდა, თავისი ხელით აჭმევდა და უვლიდა. როცა არ ეცალა, უბნის ბიჭებს დარაზმავდა, ბიჭები დადიოდნენ მის მაგივრად ეზო-ეზო და ლეკვებსა და კნუტებს პატრონობდნენ. პროფესორობა რომ არა, ჩვენში ბევრ ჯანმრთელსა და გონიერს ქალბატონი თვალში არ მოუვიდოდა და სასაცილოდაც არ ეყოფოდა. ცოტა სასაცილო იგი, ალბათ, ერთ მანგლისელ კაცსაც ეგონა. ქალბატონი ზაფხულობით მანგლისში ისვენებდა და ამ მოხუცი კაცის სახლში ქირით ჩერდებოდა. სახლის პატრონს კიდევ ერთი შემოსავლის წყაროც ჰქონდა – მგალობელ ჩიტებს იჭერდა და ბაზარში ყიდდა. ქალბატონი კი მუდამ გალიის საკეტს ხსნიდა და ჩიტებს ცაში უშვებდა, მერე კი ზარალის ფულს ერთი ათად უხდიდა. ნაწყენი არავინ რჩებოდა.

მაგრამ ასეთი განუზომელი სიკეთეც კი არ იხსნის ადამიანს აღსასრულისაგან. დადგა დღე გამოთხოვებისა... ქალბატონის სახლში მისმა გამოზრდილებმა, საქვეყნოდ აღიარებულმა მუსიკოსებმა მოიყარეს თავი. დიდ ოთახში, თავახდელ როიალთან, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მისი ტიტულოვანი მონაფეხები და უღერდა მუსიკა. მთელი თბილისის ნარჩევი საზოგადოება ნაკადად მოედინებოდა ქალბატონთან პატივის მისაგებად. და, რაოდენ შეუფერებელი უნდა ყოფილიყო ამ დიდებული საზოგადოებისთვის სოფლელი კაცი, გაზუნტლული კახური ქუდით, დიდი კოლოფით ხელში, რომ როიალთან მჯდომმა ვირტუოზმა პიანისტმა დაკვრა შეწყვიტა და გაკვირვებით ახედა. ყველას გზაბნეული ეგონა.



წვერის აივანი

მოხუცმა არც ვინაობა გაამხილა, არც უკან დაიხია, განსვენებულთან მივიდა, კოლოფს ჭილოფი ახადა, სახურავი ახსნა და ქალბატონის თავზე მგალობელი ჩიტები აფართხალდნენ.

ღვთაებრივ მუსიკას ჩიტების ჟრიაში და ფრთების თრითინი შეერწყა და სივრცეში განილია...

თოჯინა

„ხანდახან გატეხილი სათამაშო უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე დანგრეული სასახლე“. ლევან გოთუა

ჩემო თვალუჭუნა, თუ ოდესმე იავნანას გიმღეროდნენ, თუ გულში ჩაკრულს სახელს გარქმევდნენ, თუ შენი თავი უხაროდათ, ტალახის გუბისთვის როგორ გაგიმეტეს, თვალლიას, ხელებგაშლილს, ნაჭრის ტან-ფეხზე რომ განვიმდა, ფაიფურის სახე კი ისევ გიღიმოდა, მით უფრო შემზარავად. გული იჯერეს, მოგიბზერეს, მოგისროლეს თუ უკვალოდ გაუჩინარდი, გეძებენ, ვერ გპოულობენ და ახსენდები, როგორც ოდესღაც ერთ პატარა გოგოს – ნაჭრის თეთრი დათვი, ნაკერებიდან ნახერხი რომ სცვიოდა,

* – ოლესია თავაძის მინიატურები ქვეყნდება მისივე ნახატებით.



დათვი, რომელსაც თუ არ ჩაიხუტებდა, არ ეძინებოდა, თუ არ ჩაითბობდა, მარტოობის შიში ყინავდა, მერეც რომ არ გაჰქრობია...

ეს პირველი ლალატია და უძღვები შვილის პირველი დანაშაული თუ ერთჯერადობის სინდრომი, ჩვენში დღეს ასე საყოველთაოდ მოძალებული?!

შინაბერა ძაღლი

თეთრი ძაღლი პასკი კობტაა და „ქალური“, მაგრამ უკვე ასაკს გადაცდენილი შინაბერაა. ხელი კი შეეწყო, საკადრისი ზომა-წონის „ოჯახის ბიჭს“ ურიგებდნენ, მაგრამ ამოდ ვნება არც ერთს არ აწუხებდა. სამაგიეროდ, ორი ახმახი ძაღლი ამშვენებს მის ბიოგრაფიას: პირველს კუცმანა ერქვა, აშკარად უფიშო იყო, მაგრამ ისეთი სიმწრით იბრძოდა „სატრფოს“ დასათრევად, რომ სამმეტრიან ლობზე ძვრებოდა – დაუჯერებელს გაგაკეთებინებს სიყვარული. პასკი კი ყრუ იყო და მუნჯი. მეორეს თოლია ერქვა, კავკასიურ ნაგაზობას აბრალებდნენ, დასაწუნი არაფერი ჰქონდა, მაგრამ „ქალს“ აქეთ ინუნებდა. რას არ შვებოდა საბრალო პასკი,



რას ხვანცალებდა! კავკასიელი ყაზილარი ზრდილობიანი კი იყო, მაგრამ ლტოლვის მაგვარი არაფერი ეტყობოდა.

ასე, წუნიაობაში, შინაბერად დარჩა თეთრი პასკუალინა. უპასუხო, ცალმხრივი სიყვარული ჩვენშიც რა ხშირია.

ვერცხლის კოვზი

მთლად ისეთი კოვზიც არ იყო, სამუზეუმო, მაგრამ არც ძალიან ჩვეულებრივი:

თხელი ვერცხლის კოვზი იყო, ძველებური, წელში გამოყვანილი ტარით, ყვავილოვანი გრავირებით, ნამდვილად ლამაზი. მაგრამ მაინც მარტო ეგ არ იყო მისატირებელი. უფრო ის, სამი თაობის ჩვილები ამ კოვზის პირზე რომ იქავედნენ საკბილო ღრძილებს; ამ კოვზის წკარუნით იგებდნენ პირველი კბილის ამოსვლას, ამ კოვზის ვერცხლი აგრილებდა სიცხიან ტუჩებს. სამი თაობის იქითაც იქნებოდა კბილების ქავილი, მაგრამ...

ჰოდა, იკითხავთ, მერე რაო, რა მოხდაო, ლამაზ კოვზს ვინ გადაადგდებსო. მე კი იმაზე ვფიქრობ: ახსოვთ კია კოვზის ეს ღვანლი, თუ არაფრად უღირთ წინაპართა უკბილო ჩვილების ნაპირალი?

როგორ შვენის საგანს ბიოგრაფია, მაგრამ თუ მეხსიერების ჯაჭვი განყდა, გინდ ჰქონია და გინდ არა...

დაილაპუ

წყნეთში, ფუფუნებაში (აბა, როგორ!) ერთი მოვლილი კავკასიური ნაგაზი ცხოვრობდა. თავისი ცხოვრების შესაფერს ბევრს ვერაფერს ახერხებდა, ერთი იცოდა მხოლოდ – „Дай лапу“-ს ეტყოდნენ და „ლაპუს“ გაძღვდა. ასე შერჩა კიდევაც „დაილაპუ“ ზედმეტ სახელად. სამწუხაროდ, სხვა არაფერი იცოდა, არც ჭკუის, არც სწავლა-განათლების არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მაგისტვის ხელი არაფერს შეუშლია და პატრონმა იჩალიჩა თუ დაილაპუს დრო დადგა, დაილაპუ კინოში გაიჩითა – ფილმში გადაიღეს: თამაშობდა, ახოვანად მიდი-მოდიოდა და „დაილაპუს“ რო იტყოდნენ, თათს ინვდიდა. წყნეთში, უბანში დიდად პოპულარული გახდა, პატივისცემა შეიფერა, ფერ-ხორცი კიდევ უფრო შეისხა. მაგრამ ისევ დაილაპუდ დარჩა, მისი ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა...



ხელი ფანჯრიდან



მოგონება დედაზე

კნუტები

– როგორი გადაყოლა იცით ქართველმა დედებმა, ჯარია, დიდი ამბავი, ვის არ მოუხდია?! – მიუბრუნდა მძლოლი ჩანთებით დახუნძლულ ქალს.

ქართველმა დედამ ხმა არ ამოიღო, გული უჩქაროდა – მანქანა საჯარისო ნაწილს უახლოვდებოდა, შვილი დაინახა.

ანონილს, სამხედრო ფორმიდან ხელ-ფეხი ამოჩრილი ჰქონდა, გალუმპული კნუტების გროვას გულში იხუტებდა და შიშველ ხელებზე ჩამონადენ წყალს ცრემლების ღვარი ემატებოდა.

...კნუტები დასახრჩობად ზემდეგის კიკინებიან გოგონას გუბებში ჩაუყრია.

– კი გყოლიათ მისახედი! – ჩაილაპარაკა მძლოლმა და დაბნეულად მიმოიხედა.

მონანიება დედას

ასეთი კარადა, დღეს რომ მტვერს აცლი – ნაჯახით ჩეხე; ცისფერი ფაქიზი ფაიფურის ქალი, რბილ შუქს რომ აფრქვევს – იმ ვარდისფერს გაგონებს, ჩუმად რომ ამტვრიე; მოკრძალებულად მკრთალი კაბა, მას რომ ეცვა და გერცხვინებოდა – დღეს ხელში გადნება და ეფერები; მისი სათაყვანო, ხელაქნევით რომ ისხლეტდი – დღეს სახლს გიმშვენებს, კედელზე გიკიდია, მისი თვალთ ხედავ, თვითონ კი არ არის. აღარ არის, რომ ცრემლის ნიაღვრით ჩამოირეცხო ხელის აქნევა, დარცხვენა, ლალატი; აღარ არის, რომ თვალებში ჩახედო და მათ სილაყვარდეში ისევ შენი თავი დაინახო...

წხოველები

მშვიდობიან დროს, ამისთანა ფიქრები ცოტა ნაძალადევი, ყურით მოთრეული გგონია.

და, აი, ომსაც მოვესწარით. იმერული ოდის თავზე, ძალზე დაბლა, ხუთმა ვერტმფრენმა გუგუნით გადაიფრინა. ავტომატის კაკანი გაისმა. ზედ ყურთან, დიდი, შემფრთხალი ფრინველის ფრთის ნიავი ვიგრძენი. ამდენი წელია, ჩემს ბაღში ამხელა ჩიტი თვალთ არ მინახავს. თურმე... და ის ფიქრები, მშვიდობიან დროს ნაძალადევი რომ გგონია, მართებულად დამიბრუნდა.

ჩვენს მიერ, ჩვენივე, ადამიანების ატეხილი ომების დროს, ვინმეს თუ მოუცლია ყოვლად უდანაშაულო

ჩვენი თანამაცხოვრებლების მსხვერპლი დაეთვალა: რამდენი ფრინველი, ბელი თუ შველი, რამდენი შინაური თუ გარეული...



ავტოპორტრეტი

ჩიტები

მარტოსული მოხუცი, ოთახში გამომწყვდეული, თავს კითხვითა და ხატვით ირთობდა. ოთახის ფანჯარა კი მისი ბუნების კარი იყო. ყოველდღე საგულდაგულოდ პურს ფშენიდა და რაფაზე ჩიტებს აჭმევდა. გვერდით ოთახში ბიჭი ულამაზეს არაბულ ენას სწავლობდა, ნისკარტის რაფაზე კაკუნს გაიგებდა, ყურს დაუგდებდა და არაბულად იტყოდა – „ხუბზ ლი ტუიურ“ – პური ჩიტებისთვის.

დიდი ხანია, მოხუცი აღარ არის, ბიჭს არაბული დაავინყდა, ჩიტები კი ისევ მოფრინავენ.

როდესაც პურის ნამცეცებს ვუყრი, ჩურჩულით ვიმეორებ – ხუბზ ლი ტუიურ.



ღირსი მამა გიორგი (კარსლიდისი)

"ძალიან უყვარდა საქართველო. მამა გიორგი მოღვაწეობდა აფხაზეთშიც, ღრანდის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში. წირვა-ლოცვებს ატარებდა ქართულ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ მრავლის უმეტესობა არ იყო ქართველი. ის არის ღიმილი წმინდანი წინასწარმეტყველური ნიჭით. თქვენ ძალიან ამაყნი უნდა იყოთ მისი ღაბრუნებით", - ბანაცხადა საპატრიარქოში სტუმრად მყოფი 40-კაციანი დელეგაციის ხელმძღვანელმა, საბერძნეთის ე. ღრანდის მიტროპოლიტმა, ყოვლად უსამღვდელოესმა პავლემ.



ღირსი მამა გიორგი (კარსლიდისი)

სასულიერო პირი, ვის შესახებაც მან ასეთი თაყვანითა და სიყვარულით ისაუბრა, ღირსი მამა გიორგი კარსლიდისია; ბერძენი მოღვაწე, რომელიც 2008 წელს წმინდანად შერაცხეს,* ნალკის რაიონის სოფელ ხადიკიდან იყო (იგივე ტბათი).

როგორც ამგვან, მთელი მისი ცხოვრება ერთი უწყვეტი სასწაული იყო; სიცოცხლის მთელი ნახევარი საბერძნეთში იღვანა და იძვე ალესრულა. ანდერკად ღაბრუნა, საქართველოდან წამოღებული შესამოსლით დაგასაფლავებთ და ქართული ჯვარი და სახარება ჩამაყოლებთ.

ჩვენი ჰუმლიკაცია ღირს მამა გიორგიზეა, სასულიერო მოღვაწეზე, ვისი წმინდა ნაწილები ამ ორიოდე წლის წინათ საქართველოში ჩამოსვენდა ბერძნულმა დელეგაციამ.



ბერი გიორგი წარმოშობით პონტოდან იყო. ძალიან პატარა ასაკში დაობლდა და მისი გაზრდა დასთან ერთად ღმრთისმომიშმა ბებია ითავა. მალე ბებიაც, ბაბუაც და დაც გარდაეცვალნენ. ძმამ განსხვავებული ცხოვრება აირჩია და მათი გზებიც გაიყარა.

ბედისწერით გამეტებული მარტო მაინც არაა – თავის სიზმრებსა და ხილვებში წმინდანებთან ერთადაა. მერე ათანასე (ბერი გიორგის დაბადების სახელი) ტოვებს საბერძნეთს და ჯერ თურქეთში, მერე კი კავკასიაში ხვდება, კერძოდ, საქართველოში. თბილისში ჩამოსული, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი, ერთ-ერთ სასულიერო პირს მიჰყვება ღვთის სახლში.

ასე აღმოჩნდება პატარა ათანასე ნალკის რაიონის სოფელ ხადიკში, ცხოველმყოფელი წყაროს სახელობის წმინდა მონასტერში და იმთავითვე თავის თავს უძღვნის ეკლესიას.

სოფელი ხადიკი თრიალეთის კალთებზე, ნალკიდან სამიოდე კილომეტრშია. აქაურები წელიწადში ერთხელ ღვთის სასწაულის მოწმენი ხდებიან: ზამთრის მიწურულს, სოფლის განაპირას მდებარე ტბიდან ამოიპართება ხოლმე მართლმადიდებლური ტაძარი, დღის სინათლეს იხილავს, რწმენასა და იმედს შემატებს ქართველობას და მალე ისევ თვალს მიეფარება.

აქ განსაკუთრებით შეითვისა ათანასემ ასკეტური ცხოვრება და ლოცვა. ბავშვობის ასაკიდან დაწყებული პატიოსან შესამოსელს თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ღირსეულად ატარებდა.

18 წლის იყო, როცა 1919 წელს ათანასე მონაზვნად აღიკვეცა და სახელად სიმეონი ეწოდა.

გადმოცემით, მისი მონაზვნად შედგომის ჟამს ზარებს დაუნყია რეკვა.



სასწაულთმოქმედი ტაძარი სოფელ ხადიკში



ეს ის დაუნდობელი პერიოდი იყო, როცა ბოლშევიკების ათეისტური რეჟიმი დაუპირისპირდა ეკლესიას, სამღვდელოებას. სხვა მონაზვნებთან

* – ხსენების დღეა 4 ნოემბერი.



ერთად ბერი სიმეონი დაატყვევეს ერთ უსინათლო და მინისქვეშა საპყრობილეში, სადაც მისმა მრავალმა სულიერმა ძმამ სიცოცხლე მონამეობრივად დაასრულა.

როცა მამა სიმეონი დასახვრეტად გაიყვანეს, მოხდა სასწაული: გასროლილი ტყვია ღვთისმშობლის ხატის მეტალის ჩარჩოს მოხვდა და აისხლიტა (ბებიას ნაჩუქარ ამ ხატს მუდამ გულზე ჩამოკიდებულს ატარებდა).

მალე მან წინასწარმეტყველისა და შეცნობის უნარის მქონე სულიერი მოძღვრის სახელი მოიხვეჭა (სხვათა შორის, ღვთისმსახურებას ის მუდამ ქართულ ენაზე ალაგვლენდა). უამრავი ხალხი შორიდან მოდიოდა მხოლოდ იმისთვის, რომ გაეცნო ახალგაზრდა მღვდელმსახური და რჩევა მიეღო მისგან. სრულდებოდა მამა გიორგის წინასწარმეტყველებანი.

1923 წელს იგი თბილისიდან სამოღვაწეოდ გადავიდა სოხუმში. არქიმანდრიტმა გიორგი წულაიამ ის დრანდის მონასტერში მცირე სქემაში აღკვეცა. ცოტა ხანში მამა სიმეონი ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა იოანემ (მარლიშვილმა) დიდ სქემაში აღკვეცა და მას გიორგი დაარქვა. მანვე აკურთხა მღვდლად.

მამა გიორგი გამუდმებით ეწეოდა თვითგანათლებას, არ წყვეტდა ასკეტურ ცხოვრებას, უძილობასა და მძიმე მარხვებს, საღმრთო ლიტურგიის შესრულებისას, წმინდა კვეთის დროს, ცოცხალთა და გარდაცვლილთა ათასამდე სახელს იხსენიებდა.

სუფთა და უმნიკვლო ადამიანებისთვის ის იყო მასწავლებელიც, სულიერი მოძღვარიც და წმინდანიც, რომელსაც, მათი აზრით, მინასთან ნაკლები კავშირი ჰქონდა.

აფხაზეთში მამა გიორგიმ დიდი მრევლი შემოიკრიბა და დიდი სახელიც დატოვა.



ღირსი მამა გიორგის მიერ აგებული დრამის ამალღების მონასტერი

1929 წელს ბერი ტოვებს საქართველოს და მიემგზავრება საბერძნეთში. მკვიდრდება ქალაქ დრამის მუნიციპალიტეტის სოფელ სიფსაში, სადაც გარდაცვალებამდე მსახურობს.

საქართველოს საპყრობილეებში გამოვლილი ჭირ-ვარამისა და მძიმე დღეების გამო იგი დიდხანს, თითქმის ნახევრად პარალიზებულია და ძალიან სუსტად გრძნობს თავს; ხშირად სიარულიც კი უძნელდება, იმდენად, რომ გადაადგილებისას ზოგჯერ ხელშიც კი ჰყავთ აყვანილი.

მთელ მის სიმდიდრეს შეადგენს მცირერიცხოვანი სასულიერო წიგნები ქართულ ენაზე, საქართველოდან წამოღებული

სამღვდლო შესამოსელი, ხატები და თავისი გარდაცვლილი დის – ანას სხეულის ნაწილი.

ღმრთის, წმინდანების, მოყვასისა და ადამიანის მოსიყვარულე მამა გიორგი პარაკლისებსა და პანაშვიდებს ალასრულებს, იბარებს აღსარებებს და ზნეობრივ და სამაგალითო მოძღვრობას ეწევა ბერძნებს შორის. მრევლი თანდათან იზრდება.

1938 წელს ბერი აშენებს ამალღების სახელობის მცირე მონასტერს. 20 წლის განმავლობაში სწორედ აქ იქადაგებს, იწინასწარმეტყველებს და სასწაულებს მოახდენს. მისი ტაძარი და კელია მრავალთათვის, განსაკუთრებით, სულიერად და ხორციელად დაავადებულთათვის, სილოამის* ემბაზად იქცა.

როგორც მომლოცველი, მოინახულებს იერუსალიმსა და ათონის მთას, სადაც მრავალ წმინდა მოღვაწეს შეხვდება. ისინი დაარწმუნებენ, რომ უნდა დარჩეს იქ, სადაც მოღვაწეობს, მორწმუნე ხალხს ძალიან სჭირდება შენი არსებობა და სიახლოვეო.

წინასწარმეტყველი ბერი წმინდა გიორგი კარსლიდისი ყოველთვის გამხდარი, უბრალო, მმარხველი, უძილო, ავადმყოფური იერის მქონე, უტყვი, ყურადღებიანი, ამასთან, მკაცრი და სერიოზული იყო. **მსახურობის დროს მუდამ გაბრწყინებული, მშვიდი და გახარებული იყო; წირვა-ლოცვას წმინდანებთან**

* – ადგილი, სადაც მაცხოვარმა ბრმადშობილი განკურნა.



ერთად აღავლენდაო.

– იშვიათად ვასრულებ მსახურებას მარტო! – იცყოდა ხოლმე.

განსაკუთრებული მონინება გააჩნდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგის მიმართ.

ბერი გიორგი ეკლესიის წმინდა კანონების სასტიკი დამცველი იყო. კიდეც უფრო მკაცრი ხდებოდა მათ მიმართ, რომლებიც თავიანთ ცოდვებს არ ინანიებდნენ. მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: მის აღმსარებლებს სულების გადასარჩენად ჭეშმარიტი სინანულისთვის მიეღწიათ.

მამა გიორგის ქველმოქმედება ყოველთვის საიდუმლოდ რჩებოდა. დაბინდებოდა თუ არა, მალულად, ერთგული ადამიანების ხელით გზავნიდა აუცილებელ საკვებსა და სამოსს უპოვართა სახლებში; გამორჩეულად უყვარდა ბავშვები და გულუხვად ურიგებდა მათ საჩუქრებს; ყოველთვის ცდილობდა, ჩრდილში ყოფილიყო, თუმცა მონყალე და კაცთმოყვარე მონასტრიდან არავის უშვებდა მშიერს (პურსაც თვითონ აცხობდა).



ლირსი მამა გიორგი

ასკეტურმა ცხოვრებამ და უმნიკვლო მოღვაწეობამ უფრო მეტად გაულრმავა მამა გიორგის შეცნობის, წარმოსახვისა და წინასწარჭვრეტის უნარი.

უფალმა ნეტარი ბერი იმგვარად გააბრწყინა, რომ შორეულ წარსულსაც ანმყოსავით ხედავდა; გააჩნდა მომავლის შეცნობის ნიჭიც, რაც მრავალ მის სულიერ შვილს აღტაცებით მოუყოლია.

ღვთის ჭეშმარიტი შვილი ამ უნარს მორწმუნეთა სულების დასახმარებლად იყენებდა (და არა იმისთვის, რომ განეკითხა მავანნი ან ამ მადლით ეამაყა).

როგორც ამბობენ, ადამიანის გულს გადაშლილი ნიგნივით კითხულობდაო. თავმდაბლობის გამო ხანდახან ქრისტესთვის სალოსობდა კიდეც.

– სათნოების მოსაპოვებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო, მის შენარჩუნებას კი უამრავი ხელოვნება სჭირდება, – ხშირად უთქვამს.



ბერმა თავისი აღსასრულიც წინასწარ იხილა, იწინასწარმეტყველა; ელოდა სიკვდილსაც; უფრო მეტს ლოცულობდა და უკანასკნელ რჩევებს აძლევდა სულიერ შვილებს.

გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე აღასრულა ზეთის კურთხევის წმინდა საიდუმლო, ეზიარა, ყველას შეუნდო, დალოცა და საუკეთესო უსურვა თითოეულს.

ბერმა გიორგიმ 1959 წლის 4 ნოემბერს მიიძინა. უკანასკნელი სიტყვები, რაც მის ბაგეთაგან გაისმა, ასეთი იყო:

– გულმონყალეების კარიბჭე გაიხსნა, კურთხეულო ღვთისმშობელო!

დაკრძალეს მისივე აგებული ამაღლების სახელობის წმინდა ტაძრის ეზოში. მშვიდი, ბედნიერი და ნათელი სახე ჰქონია.

დაკრძალვისას მისი საფლავის სიახლოვეს თურმე ორი კვიპაროსი მოიდრიკა, ბერისთვის თითქოს თავყანისცემის ნიშნად. ბერის საფლავში ჩასვენებისას კი უამრავმა ფრინველმა მოიყარა თავი (ესენიც ჰქონია წინასწარმეტყველები). იქ შეკრებილ ადამიანებს არც ეეჭვებოდათ, რომ იმარხებოდა წმინდანი.

მისივე თხოვნით, დაასაფლავეს იმ შესამოსლით, ჯვრითა და ნიგნებით, რომელიც საქართველოდან წაიღო.

პ.ს. საბერძნეთიდან საქართველოში ბერძნულმა დეობატიზმმა ბერი გიორგი კარსლიძის წმინდა ნაწილები დააბრძანა წალკაში და შესწირა იმ მონასტერს, სადაც მან თავისი სულიერი მოღვაწეობის ნახევარი გაატარა.

– ბედნიერი ვართ, რომ მამა გიორგი დაუბრუნდა საქართველოს და იმ სალოცავს, სადაც სამწყსო მას მფარველ ანგალოზად მიიჩნეოდა, – ბრძანა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ.



ლირსი მამა გიორგის საფლავი ქალაქ დრამში



იმპერიული სეპარაციით

რუსეთის იმპერიას სამხრეთ კავკასიაში სჭირდებოდა ძლიერი სტრატეგიული ფორპოსტი, ერთგული ადამიანებით ჩასახლებული. 1864 წელს რუსების მიერ კავკასიის დაპყრობისთვის 60-წლიანი ბრძოლა დასრულდა; იმავე წლის მარტში მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა იმპერატორს მოახსენა, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების დრო დადგაო; მიხეილ შარვაშიძესაც ურჩიეს, ნებაყოფლობით ეთქვა უარი მთავრის ხელისუფლებაზე.

თუმცა რუსეთის იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, კავალერიის გენერალი, გრიგორ ფილიფსონი აღნიშნავდა, „ჩვენ დავიპყარი აფხაზეთი, მაგრამ ჩვენ მას ვერ ვმართავთ“.

მართლაც, 1866 წლის 27 ივლისს აფხაზეთში, კერძოდ, ლიხნში იფეთქა ფართომასშტაბიანმა ანტიკოლონიურმა ამბოხებამ; აფხაზი აჯანყებულები მიადგნენ სოხუმს და ერთ დღეში აიღეს ქალაქი.

გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „სოხუმი გიზგიზებდა ყოველმხრივ, ირგვლივ ისმოდა თოფისა და ზარბაზნების კანონადა“.

აჯანყებულებმა მიხეილ შარვაშიძე ისევ მთავრად გამოაცხადეს. ქალაქი მემამბოხეთა ხელში სამი დღე იყო; მაგრამ 30 ივლისს სოხუმს ზღვიდან შემოუტიეს რუსეთის სამხედრო შენაერთებმა და აჯანყებულებმაც უკან დაიხიეს. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, შეუძლებელი გახდა რუსეთის იმპერიასთან გამკლავება.



* * *

აფხაზთა პირველი მუჰაჯირობა სწორედ ამბოხის ჩახშობას მოჰყვა – ოსმალეთში გადაასახლეს 20.000-მდე აფხაზი; აფხაზები აჯანყდნენ მოგვიანებითაც, რუსეთ-თურქეთის ომის დროს – 1877-78 წ.წ.-ში. ამჯერად „მუჰაჯირობის სტატუსი“ შეიძინა 32.000-მა კაცმა.

არქივში დაცულია დოკუმენტი გრიგორ ფილიფსონის ხელმოწერით. გენერლის ადრესატია მეფე – ალექსანდრე II:

„აფხაზეთი დამარცხებულია, მაგრამ დამორჩილებული ჩვენ მას შეიძლება, ვუნოდოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ცალკეული რაიონებიდან მოსახლეობა სავსებით იქნება განდევნილი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მუდამ იქნებიან ჩვენ თავზე ჩამონოლილ შავ ღრუბლებად“.

ფეხით, ურმებით მიმავალ დევნილ მუჰაჯირებს მიერეკებოდნენ თურქეთის საზღვრებისკენ; ზღვით კი ტრაპეზუნამდე გაბმული იყო აფხაზ დევნილთა ფელუკებიანი* ქარავანი.



მოგვიანებით, თურქებმა აფხაზები გადაასახლეს ქვეყნის ყველაზე შორეულ, ნაკლებად დასახლებულ რაიონებში – მესოპოტამიაში, სირიაში, ჩრდილოეთ ანატოლიასა და ქურთისტანში.

* * *

XX ს.-ის 20-იან წლებში მეფის არქივში აღმოჩენილი ერთ-ერთი დოკუმენტი ააშკარავებს სახელმწიფოებათაშორის ფარულ შეთანხმებას.

იგი ხელმოწერილია თურქეთის სულთნის – ფუადომ ფაშასა და თბილისში დაბადებული, სომხური წარმომავლობის გაქართველებული გრაფის, ლორის მელიქოვის მიერ.

ხელშეკრულების თანახმად, თურქებს უნდა გაეადვილებინათ მთის ხალხების გადასახლება კავკასიიდან, რისთვისაც რუსეთის „გულუხვი“ მეფე თურქეთს აძლევდა „ოქროს სესხს“ 15 მილიონი მანეთის ოდენობით.**

სამეფო დეკრეტით აფხაზები „მოღალატე ერად“ გამოაცხადეს; აფხაზეთს კი უწოდეს „სოხუმის სამხედრო ოლქი“ („Сухумский военный округ“).

საინტერესოა, რომ ამ პერიოდშივე რუსები ცდილობდნენ, შეექმნათ მეგრული და სვანური ანბანები. დაახლოებით ამ დროს ამკვიდრებს იმპერია ტერმინს „სამხრეთ ოსეთი“ (ჩრდილოეთ ოსეთიდან გამოდევნილი ოსები სახლდებიან სამხრეთ კავკასიის კალთებზე).

ადგილობრივ მკვიდრთა ეზო-კარში ასახლებდნენ ევროპელებს, ბალტიისპირელებს, თურქებს, სომხებს, ბერძნებსა და, ძირითადად, მაინც რუსებს. მათ შელავათიან ფაქტებში, უფრო ხშირად კი, უფასოდ აძლევდნენ მიწებს, კრედიტებს.

ქართული საზოგადოებრივი აზრი იმთავითვე გამოხატა მუჰაჯირობას, აფხაზ ერზე ძალადობას. პერიოდულ პრესაში („ივერია“, „დროება“) არაერთი სტატია დაინერა. რუსული „ხელწერა“ 150 წლის შემდეგაც უცვლელია...

1898 წელი.

მოხუცებული და ყველასგან პატივცემული მანდილოსანი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების ნამდვილი წევრი და თავმჯდომარე ალათი დადიანი-შარვაშიძე ეახლა სოხუმის ეპისკოპოს არსენს და ნება ითხოვა, გარდაცვლილი მეუღლის – გიორგი შარვაშიძის სულის მოსახსენებლად ტაძარში პანაშვიდი ქართულად გადაეხადათ.

– კნენა, – უპასუხა ეპისკოპოსმა არსენმა, – უფალმა სლავური ენაც შესანიშნავად იცის!



* – პატარა იალქნიანი ნავი. ** – აფხაზების გარდა მუჰაჯირობის ხვედრი გაიზიარეს აჭარლებმაც, ათასობით ჩრდილოკავკასიელმაც.



იოსებ ჭუმბურიძე

იოსებ (სოსო) ჭუმბურიძე – ცნობილი პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი. ავტორი, ვისი გამორჩეული პუბლიკაციები ყოველთვის იძევებს ყურადღებას, ყოველთვის გამახსოვრდება.

“იალქანი” მუდამ სიამოვნებით მასხინდლობს მას, ჩვენი საბამომცემლო ჯგუფის წევრს. ამჯერად ბატონი იოსები ეწვია გობი ქავთარაძეს, აფხაზეთის ომამდე სოხუმის ქართული დრამატული თეატრის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელს.

ცნობილ რეჟისორთან და მსახიობთან მიღებული შთაბეჭდილებები ჩვენც გაგვიზიარა. მკითხველს შვავსანებთ, რომ სოხუმის თეატრისთვის კონსტანტინეს გამსახურდინას სახელის მინიჭება გიორგი (გობი) ქავთარაძის მონაწილეობით მოხდა.

ჯანორამა რეისორის ბინიდან

იოსებ ჭუმბურიძე

ჯერ ალბომს მაჩუქებს.

გარეკანზე მხოლოდ პორტრეტია და სახელ-გვარი: გიორგი ქავთარაძე.

შემდეგ მეტყვის:

– მოდი, გაჩვენო, რა ლამაზი ხედა...
ვხედავ ოქროსფრად მოკიაფე სამების დიდ ტაძარს.

– ახლა აქედან ნახე.

ვხედავ მთანმინდას, თავისი მამადავითითა და ფუნკულიორით...

ასეთი ხედების ცქერას რა სჯობს, მაგრამ ახლა გოგი ქავთარაძესთან იმ პერიოდზე სასაუბროდ მოვსულვარ, მისი ბინის ფანჯრებიდან სოხუმის ხედი რომ მოჩანდა, რა თქმა უნდა, ზღვით, რომლის სიშორეც დღეს, ალბათ, გალაკტიონის სულსაც ამფოთებს...

* * *



ნოდარ დუმბაძე – „მარადისობის კანონი“.
I რიგი: გოგი ქავთარაძე, ლორენა პაპუაშვილი-ელერდაშვილი. II რიგი: თამარ მილდიანი, ბახა ბექაური, ვახტანგ ელერდაშვილი, გიზო სირაძე.
რეჟისორი: გიზო ჟორდანი

1982 წელი.

გიორგი ქავთარაძე ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის ხელმძღვანელია.

ახალი ჩავლილია წარმატებული გასტროლები მოსკოვში.

იგეგმება საბერძნეთში გამგზავრება.

სოხუმში კი დაძაბულობაა.

ქართული და აფხაზური დასები ერთ შენობაში ველარ იარსებებენ.

დათმობაზე, რა თქმა უნდა, (?!) ქართული მხარე უნდა წავიდეს.

შენობა გამოიძებნა, მაგრამ მისახედია.

თეატრის ხელმძღვანელს კი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან ურთიერთობა აქვს გართულებული.

საჭიროა, მოიძებნოს მთავარი რეჟისორი, რომელიც ორგანიზატორული ნიჭითაც იქნება დაჯილდოებული და პარტიულ ხელმძღვანელობასთანაც საერთო ენას გამოიხატავს.

ასეთად გიორგი ქავთარაძე დაიგულეს.

მაგრამ ქუთაისის დატოვება არც მას სურს და არც თეატრს.

არადა, „მთლად პირველი“ ეძებს.

იმალება, მაგრამ შევარდნაძეს ვინ დამალვია?!

დაიბარა და დაითანხმა.

– მართლა ჰიპნოზი ჰქონდა, როგორც არაერთი

„ცნობილისაგან“ მომისმენია, თუ რით მოგნუსხათ, მაინც



რა გითხრათ ისეთი?

– სხვათა შორის, იცით, რა მითხრა? – იქ რუსული მოზარდი რომ გავხსენით, ქართველი ბავშვები დაგვეჩაგრებიან და ამ საკითხს უნდა მიხედო. მოკლედ, ეროვნულით „მაჯობა“...

* * *

თეატრის ეროვნული მისია მართლაც განსაკუთრებულია. მით უფრო, ქართულისა! მით უფრო – სოხუმის ქართული თეატრისა. შემთხვევით ხომ არ უნოდეს კონსტანტინე გამსახურდიას სახელი, ესეც გიორგი ქავთარაძის მონადინებით...

მაჩაბლის დასი ომში იბრძოდა. თუ რომელიმე თეატრი შეიძლება ჩაითვალოს მის მემკვიდრედ, სწორედ სოხუმის თეატრი.

– აფხაზეთის (უფრო ზუსტად, რუსეთ-საქართველოს) ომში ჩვენი თეატრის 14 მსახიობი მონაწილეობდა. ცხრა მათგანი დაიღუპა.

– ჩამოვთვალოთ, ბატონო გოგი...

– აუცილებლად: **ვახტანგ და ომარ ელერდაშვილები, ვასიკო ჩხეიძე, ზურა ვიბლიანი, თენგიზ ვეკუა, სლავა ბოჭორიშვილი, თემურ ყვანია, კახა ნერედიანი, ლევან ლოგუა.**

– იმ წლებიდან განსაკუთრებით ელერდაშვილების ოჯახის ტრაგედია დამამახსოვრდა...

– ეს მართლაც დიდი ტრაგედია იყო. როცა გაიგო, რომ შვილი ტანკში დაინვა, მამა მეცხრე სართულიდან გადმოხტა. უცნაური რამ უნდა გითხრათ. მისგან ეს არ გამკვირვებია. შვილებიც მყავს და შვილიშვილებიც. ვიცი, რას ნიშნავს შვილის სიყვარული, მაგრამ მათ მაინც რაღაც საოცარი მამაშვილობა ჰქონდათ. ომარი მსახიობიც იყო და რეჟისორის თანაშემწეც. მახსოვს, ვახო ჯარში მსახურობდა, სადღაც რუსეთში, ოჯახს შეუტყვია, რომ ავად გამხდარა და 39 გრადუსი სიცხით ჰოსპიტალში გადაუყვანიათ. პრემიერის წინა დღეს მოვიდა ომარი და მეუბნება, ვიცი, რომ ცუდად ვიქცევი, მაგრამ რომ არ გამიშვა, მაინც წავალო...

* * *

– მახსოვს, ბევრს გაუკვირდა, ახალ შენობაში პირველი სეზონი საკუთარი სპექტაკლით რომ არ გახსენით. ეს, რა თქმა უნდა, ღირსეული ყესტია, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, რატომ?

– მინდოდა, პირველი სპექტაკლის წარმატება გარანტირებული ყოფილიყო. სწორედ მაშინ გავიგე, რომ გიზო ჟორდანიას გრიბოედოვის თეატრში წარმატებით ჰქონდა დადგმული ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“. ვთხოვე, ჩვენთანაც დაედგა...

– ფაქტია, რომ გაგიმართლათ. იმ პრემიერიდან დღემდე მომყვება ბედნიერების განცდა...


– საერთოდ, ჩემი სურვილი იყო, გვექონოდა ღია კარის თეატრი. ხშირად დაედგათ მონვეულ რეჟისორებს. მიხეილ თუმანიშვილი და რობერტ სტურუაძე კი დავითანხმე, რობიკომ დაიწყო კიდეც, მაგრამ ბოლომდე განხორციელება ვერ მოხერხდა.

– სამაგიეროდ, დოდო ალექსიძემ მოასწრო „ვენეციელი ვაჭრის“ დადგმა. საინტერესო იყო სპექტაკლიც და თქვენი შეილოკიც...

* * *

თვითონაც არაერთი სპექტაკლი დადგა – „დიდოსტატის მარჯვენა“, „ფსკერზე“, „ბრძოლა ტახტისათვის“, „თოლია“, „1832“, „ვალი“, სულ – თექვსმეტი.

ეს – მხოლოდ სოხუმის თეატრში, თორემ საერთოდ, მის



უილიამ შექსპირი – „ვენეციელი ვაჭარი“. შეილოკი – გოგი ქავთარაძე



მაქსიმ გორგი – „ფსკერზე“. ლეილა კალანდია, მერაბ ყოლბაია. რეჟისორი – გოგი ქავთარაძე



კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“. ლილი ხურიტი, ვალერი არღვლიანი. რეჟისორი – გოგი ქავთარაძე

სპექტაკლებს რა დათვლის?! ასევე, როლებს, – თეატრსა თუ კინოში.

მათ ზემოხსენებული ალბომიდან იტყვის. რამდენიმე ამონარიდი იმ ალბომიდან:

„ალბათ, ძნელია, რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ მიაღწიოს იმ მწვერვალს, რომელთაც მსახიობმა გოგი ქავთარაძემ მიაღწია“ (რობერტ სტურუა)...

„ზოგს მსახიობად დაბადებული ჰგონიხარ, ზოგი კი შენს რეჟისურას ამჯობინებს. ჩემთვის კი შენ თეატრი ხარ, თავად თეატრი“ (თემურ ჩხეიძე)...

„ქართულ თეატრს მრავალი მაღალი კლასის სპექტაკლი შესძინა, მაგრამ ქავთარაძისეული რეჟისურა დიამეტრულად განსხვავდება მისი ბრწყინვალე აქტიორული პალიტრისაგან“ (გიზო ჟორდანიძე)...

* * *

მინდოდა, მეკითხა, სოხუმის თეატრიდან როგორ და რატომ წამოხვედით-მეთქი, მაგრამ ისეთი რამის თქმა დამასწრო, რომ გადავიფიქრე.

ის კი, რა თქმა უნდა, ვახსენეთ, ვინც სოხუმის თეატრი, ქუბერის გამოვლით, თბილისში ჩამოიყვანა:

– დიმა ჯაიანი არა მხოლოდ შესანიშნავი მსახიობი იყო, არამედ იშვიათი მოღვაწე და პიროვნება. ამ ქვეყნიდან მისი წასვლა ჩემთვის დაუფერებელი ამბავია. სულ მგონია, რომ კარი გაიღება და შემოვა...

* * *

ბოლოს ერთი გულისტკივილიც გამიმხილა: დღეს საყვარელ საქმეს, ფაქტობრივად, მოწყვეტილია, რეჟისორულ ასპარეზზეც და პედაგოგიურზეც.

* * *

„გოგის რომ უთხრან, დაივიწყე ყველაფერი და უდაბნოში ააშენე თეატრიო, იგი სიამოვნებით და სიამაყით იტყვის: „რატომაც არა“ და ააშენებს“, – წერს გიზო ჟორდანიძე.

იმედია, მართლა უდაბნოში არ გააგზავნიან...

* * *



კულისებში, გურამ ბათიაშვილის „ვალის“ პრემიერის (რეჟისორი – გოგი ქავთარაძე) წინ. მარცხნიდან: ფლორა შედანიძე, ნოდარ მასხუღია, გოგი ქავთარაძე, დიმა ჯაიანი.

სოხუმის თეატრის ამჟამინდელ მდგომარეობაზე შეგნებულად არაფერი მიკითხავს. არ მინდოდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა. თანაც, ეს ცალკე და საგანგებო მსჯელობის თემა მგონია...

* * *

ბოლოს კი ერთს ვნატრობ: გოგი ქავთარაძემ გამიყვანოს სოხუმის რომელიმე სახლის აივანზე და მითხრას: ნახე, რა ხედავი?!..



დიდი საფოსტო რომანი ონორე დე ბალზაკი და ეველინა ჰანსკაია

წერილმა შტამპით „ოდესა“, რომელიც უდიდესმა ფრანგმა მწერალმა ონორე დე ბალზაკმა 1832 წლის 28 თებერვალს მიიღო, რადიკალურად შეცვალა მთელი მისი დარჩენილი ცხოვრება. უკრაინიდან გამოზავნილ წერილში გამოხატული იყო აღფრთოვანება ბალზაკის ტალანტისადმი, ხელმოწერა კი მეტად იდუმალი: „უცხოელი ქალი“. დახვეწილი სტილი და კალიგრაფია ავტორის არისტოკრატიულობაზე მიანიშნებდა.

ონორე დე ბალზაკი აღტაცებული იყო წერილით. მეგობრებთან გატაცებით ჰყვებოდა, რომ მას თურმე უცხო ქვეყნებშიაც იცნობენ და კითხულობენ.

მართლაც, ბალზაკს უამრავ წერილს უგზავნიდნენ ქვეყნის ყოველი კუთხიდან. განსაკუთრებით, ქალებს აინტერესებდათ პოპულარული რომანის „ოცდაათი წლის ქალის“ ავტორთან ურთიერთობა, სურდათ იმ ადამიანთან საუბარი, რომელმაც „ყველაზე კარგად გაუგო და აღწერა ქალის გული“.

რას იფიქრებდა ფრანგი ქალების გულთამბყრობელი და დიდი მწერალი, რომ მის გულს მხოლოდ ერთი ქალი დაიპყრობდა და მათი სიყვარული დიდხანს იცოცხლებდა ბატის ფრთით ამოკანწული წერილების სტრიქონებში. მაგრამ ბალზაკი უცხოელი ოდესელი ქალის წერილს ვერაფრით უპასუხებდა, რადგან ბარათზე არ ეწერა გამომგზავნის მისამართი. მწერალი ძალიან დელავდა. ამ პერიოდს დაემთხვა ერთ-ერთი გავლენიანი მარკიზის დაპირისპირება ბალზაკთან. ცნობილმა ქალბატონმა მკაცრად უარყო მწერალი და ხაზი გაუსვა საზოგადოებაში მისი მდგომარეობის განსხვავებულობას (თავადობის აღმნიშვნელი წინსართი „დე“ ბურჟუას შვილმა და ვაჭრის შვილიშვილმა თვითნებურად მიუერთა თავის გვარს და მხოლოდ ასე ეცნობოდა ხალხს: ონორე დე ბალზაკი!). ბალზაკი შეურაცხყოფილი და გაღიზიანებული იყო. სწორედ ამ დროს მიიღო უცხოელი ქალის მეორე წერილი, სადაც ქალი წერდა, რომ თუ თანახმა იქნებოდა, გაეგრძელებინათ მიმოწერა, მწერალს გაზეთ „ოტიდიენში“ უნდა გაეკეთებინა განცხადება ხელმოწერით „ი“ ა. ო. ბ“. ასეც მოხდა და უცნობმა ქალბატონმა ონორეს თავისი მისამართი მისწერა.



ონორე დე ბალზაკი

და დაიწყო განუმეორებელი საფოსტო რომანი!

უცხოელი ქალბატონი იყო გრაფინია ეველინა რჟევუსკაია-ჰანსკა, პოლონელი მემამულე და რუსეთის ქვეშევრდომი (ეველინას დაზე – კაროლინა საბანსკაიაზე ერთ დროს შეყვარებული იყო თვით ალექსანდრე პუშკინი). მეუღლე ვაცლავ ჰანსკი ეველინაზე 17 წლით უფროსი იყო. ქალი იმედგაცრუებული იყო ქორწინებით. ბალზაკთან მიმოწერის დაწყებისას მას 32 წელი უსრულდებოდა. ცხოვრობდა ვერხოვენში (უკრაინა) და ჰყავდა გოგონა.

მიმოწერა ცნობილ მწერალთან ეველინამ სოფლის მოწყენილობისგან თავდასაღწევად მოიფიქრა, მაგრამ მალე გასართობად გამოგონილი ამბავი თავბრუდამხვევ რომანად გადაიზარდა.

ბალზაკმა ეველინა მანამდე შეიყვარა, ვიდრე ნახავდა-მხოლოდ მისი წერილებით.

„თუკი შესაძლებელია შეყვარება ერთი ნახვით, რატომ არის შეუძლებელი სიყვარული პირველივე სტრიქონებიდან?“ – კითხულობდა მწერალი.

წერილებით დაწყებული სიყვარული დღითიდღე ძლიერდებოდა. ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ მწერალი და იდუმალი ქალი ერთმანეთს შვეიცარიის ქალაქ ნეშატელეში შეხვდნენ. ონორე დე ბალზაკი გააოცა იმან, რომ ქალის გარეგნობა ზუსტად დაემთხვა მის წარმოსახვაში დახატულ ქალს. ჰანსკები დროებით ჟენევაში გადავიდნენ. ონორეც, როგორც ოჯახის ახლობელი, ხშირად სტუმრობდა მათ.

ეველინას მეუღლემ, ვაცლავ ჰანსკიმ, დიდი მწერლის ნაცნობობით ნასიამოვნებმა, ბალზაკი საშობაოდ ჟენევაში დაპატიჟა. მწერალი ყოყმანობდა, მისი ფინანსები ძალზე მწირი იყო, მაგრამ ეველინას გამო დასთანხმდა. ბალზაკი, გამომცემლებისგან ავანსი რომ მიეღო, დღე-ღამეში 15 საათს მუშაობდა. მას ძალას სიყვარული და ყავა მატებდა (ონორე დე ბალზაკი იმითაც არის ცნობილი, რომ დღეში თურმე 60 ფინჯან ყავას სვამდა) და ვინ იცის, რომ არა გრაფინია ჰანსკასთან რომანი, იქნებ ვერც წაგვეკითხა მისი ბევრი ნაწარმოები.



წეპილი სავგოხსადმი

პარიზი, 9 სექტემბერი, 1833 წელი.



ევლინა ჰანსკა

„ჩემო ძვირფასო მეგობარო, აქ, ჩვენთან უკვე ზამთარია და მე გადავედი ჩემს ზამთრის სახლში. მომინია, დამეჭოვებინა თქვენთვის ნაწინობი კუთხე, მწვანე სალონიერ, საიდანარ მიძიე გუმბათი მოჩანდა.

აქ ნავიკითხე თქვენი პირველი წერილები და ისინი ახლა უფრო მიყვარს, ვიდრე მაშინ. მე თქვენზე გამორჩეულად ვფიქრობ, ძვირფასო, და ვერ ვიფიქრე, არ გელაპარაკოთ წუთით მანერ. ან თქვენ როგორღა მეუბნებით, რომ არ მიყვარდეთ?

თქვენ პირველი ხართ, ჩემი გულის გასათბობად შორეული მხრიდან მოვლენილი! მე ყველაფერი გავაკეთე, რომ წიური ანგელოზის ყურადღება დამემსახურებინა; დიდება ჩემთვის მხოლოდ შუქურაა, მეტი არაფერი. თქვენ ამოიწანით ჩემში ყველაფერი: სული, გული, ადამიანი. გუშინ, თქვენი წერილის ხელახლა ნაკითხვისას, დავრწმუნდი, რომ მხოლოდ თქვენ ერთს შეგეძლოთ

მთელი ჩემი წხოვრების გავება. მეკითხებით, როგორ ვპოულობ დროს, რომ მოგწეროთ!

ძვირფასო ევა (ნება მომეწიოთ, შევამოკლო თქვენი სახელი, რათა დავარწმუნოთ, რომ თქვენ ჩემთვის ქალური საწყისი ხართ, ერთადერთი ამ ქვეყანაზე, როგორც ევა პირველი ადამიანისთვის).

ჰო, თქვენ ერთადერთი ხართ, ვინც საბრალო მსაჭვარს, რომელსავე დრო არასდროს ჰყოფნის, ჰკითხა: რაიმე დიადის განიწვა ხომ არ უწევს იმისთვის, შეყვარებულს რომ ესაყბროს? ჩემს გარშემო არავინ ფიქრობს ამაზე. ნებისმიერი უმწიერესი ყოყმანის გარეშე მომპარავდა ჩემს დროს. ახლა კი მინდა, მთელი სიწოწხლე თქვენ მოგიძღვნათ, ვიფიქრო თქვენზე, მოგწეროთ მხოლოდ თქვენ.

რომ შეიძლებოდა, დიდი სიხარულით მივაცხოვებდი ჩემს დაფნის გვირგვინს, დიდებას, ყველა ჩემს საყუთესო ნაწარმოებს და როგორც მარწვლებს, მიმოვფანტავდი სიყვარულის საკურთხეველზე! მიყვარდეს ევა – ეს არის მთელი ჩემი სიწოწხლე!

თუ შეურაცხყოფად არ მიიღებთ, მინდა, თქვენი პორტრეტი გთხოვოთ. ეს მაშინ გავიფიქრე, როცა პირველად დავინახეთ. დღეს კი, ჩემო წიურო ყვავილო, გიგზავნით ჩემი თმის ერთ ზღუკას. ის ჯერ კიდევ შავია, მაგრამ მე დრო მოვატყუე... ჩემი სურვილია, ჩემი თმისგან სამაჭურენი და ძენკეები დანნათ.

მე თქვენ მიყვარხართ, როგორც ზავშვს, პირველი სიყვარულის იღუბიებით, სიხარულებით, წრურწმენებით. ძვირფასო ანგელოზო, რამდენჯერ მიფქვამს თქვენთვის: „ო, მე რომ 27 წლის ქალს შეყვარებოდი, რა ზედნიერება იქნებოდა. მე იგი მთელი წხოვრება მეყვარებოდა, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად“.

თქვენ შეგიძლიათ ამიხდინოთ ეს სასიყვარულო ოწენება!

ჩვენთვის, ორივესთვის მე შევუკვეთე სურნელოვანი ზარდახშენი წერილების შესანახად. ჩემს თავს ვეუბნები: „ისიერ შეეება და გახსნის ამ ზარდახშას!“

ზარდახშა ძალიან დახვენილია, ძვირფასი ხისგან დამზადებული. იქ შეგიძლიათ, შეინახოთ თქვენი მენიე*, სიყვარულის უდიდესი ფრანგი პოეტი, რომლის ლექსებსავე მუხლომყრილი ნავიკითხავდით!

რატომ ცოვებთ თერთ ადგილებს თქვენი წერილის ფურწლებზე? თუქრა, იყოს – ძალდატანებით არაფერი მინდა. მე შევავსებ ამ სიწარიელეს. თქვენი ხელი ეხებოდა მათ და ვკოწნი ამ სუფთა ფურწლებს.

გემშვიდობებთ, ჩემო ძვირფასო ევა, მრავლისმეტყუელო და მომაჭადოებელო ვარსკვლავო. იწით, ყოველთვის, თქვენი წერილის მიღებამდე, იღუძალი წინათგროძობა მიჰყოფს. დღესავე თითქმის



დარწმუნებული ვარ, რომ ხვალი თქვენს წერილს მივიღებ. თითქოს ვხედავ თქვენს უძირო თვალებს, ინტუიციით ვგრძნობ, რომ შეხვედრისას ვიტყვი: „ეს ისაა!“ ის, ჩემი სიყვარული – შენ ხარ! მშვიდობით, შეხვედრამდე!”



„ეკატერინა ჰანსკა“. ავტორი: ფერდინანდ გეორგ ვალდმიულერი. 1835 წ.

P.S. ბალზაკისა და ჰანსკას ურთიერთობა და მიმონერა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. 1842 წელს ეველინას გარდაეცვალა მეუღლე.

მეუღლის სიკვდილის შემდეგაც შეყვარებულებს გზაზე უამრავი დაბრკოლება დახვდა. ჰანსკის უზარმაზარი ქონება, რომელიც ქალს ანდერძით ერგო, ნათესავებში პროტესტს იწვევდა. ჰანსკები იმასაც კი ეცადნენ, ეველინასთვის ერთადერთი ქალიშვილი ანა წაერთმიათ და ამგვარად მემკვიდრეობასაც დაპატრონებოდნენ.

მთავარი მაინც ის იყო, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ქორწინების ნებართვას პირადად იმპერატორი იძლეოდა. ეს კი არც ისე ადვილი იყო.

5 დაუსრულებელმა წელმა განვლო ქორწინების ნებართვის მოლოდინში.

ნათესავების წინააღმდეგობა რომ დაეძლია, ეველინამ, ქალიშვილის სასარგებლოდ, უარი თქვა განსვენებული ქმრის მემკვიდრეობაზე. ახლა აღარც ფული იდგა მათი სიყვარულის გზაზე. ამით აღფრთოვანებული ბალზაკი დაწერს: „ჩემი ცხოვრების საოცრება თავისუფალია ყოველგვარი ანგარებისგან!“

როცა იმპერატორმა წყვილს ქორწინებისთვის თავისი მეფური თანხმობა მისცა, ბალზაკმა ეს აღიქვა, როგორც პირადი გამარჯვება. ეველინას იგი აღფრთოვანებით წერს: „მე გავაკეთე ის, რაც ვერ შესძლო ბონაპარტმა! შენი სახით მე დავიპყარი რუსეთი!“

1850 წლის 14 მარტს შეყვარებულებმა ჯვარი დაიწერეს წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში, უკრაინის ქალაქ ბერდიჩევში.

„მე ვიქორწინე ერთადერთ ქალზე, რომელიც მიყვარდა, რომელიც მიყვარს უფრო ძლიერ, ვიდრე ადრე და მეყვარება სიკვდილამდე. ეს კავშირი ღმერთის საჩუქარია, გამოგზავნილი ჩემი ბედის სანაცვლოდ, სირთულეებისა და შრომის სანაცვლოდ. მე არ ვიცოდი, რა იყო ბედნიერი სიჭაბუკე, არ ვიცოდი, რა იყო მოყვავილე გაზაფხული, მაგრამ ახლა მექნება ყველაზე მზიანი ზაფხული და თბილი შემოდგომა“, – წერდა მწერალი თავის დღიურებში.

მაგრამ თბილ შემოდგომას ველარ მოესწრო.

მძიმე მწერლურმა შრომამ და გადატანილმა განცდებმა ბალზაკის ჯანმრთელობა შეარყია.

ქორწინებიდან 5 თვის თავზე დიდმა მწერალმა საყვარელი ქალის ხელში, რომელიც მას თავგანწირვით უვლიდა, სული დალია.

გასაოცარია ეველინას სულიერი სიძლიერე და კეთილშობილება. მან თავისი დარჩენილი სიცოცხლე ბალზაკის ხსოვნას მიუძღვნა. ქმრის ანდერძის მიხედვით ის იყო ერთადერთი მემკვიდრე, მან კი მხოლოდ ვალები დაუტოვა. იურისტები ურჩევდნენ, უარი ეთქვა მემკვიდრეობაზე, მან კი ვალდებულად ჩათვალა, ყველაფერი ელონა ქმრის პატიოსანი სახელისთვის.

ეველინამ მეურვეობა აიღო ბალზაკის დედაზეც, თუმცა მას სხვა შვილებიც ჰყავდა.

ქალის უკანასკნელი სურვილით, იგი პერ-ლაშეზის სასაფლაოზე მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

ასე სევდიანად დასრულდა 18-წლიანი დიდი საფოსტო რომანი.





პოლის დაინჱრა „სიბრძნე სიცრუისა“



სულხან-საბა ორბელიანი.
ილუსტრაცია 1938 წელს
გამოცემული წიგნიდან
„სიბრძნე სიცრუისა“

„სიბრძნე სიცრუის“ პირველი შემფასებლის - ალექსანდრე ცაგარელის აზრით, სულხან-საბა ორბელიანს თავისი ნაწარმოები უნდა შეედგინა სიბერეში, ევროპიდან მობრუნების შემდეგ; ამის ნიმუშად მოჰყავს მოთხრობები იტალიელი მხატვრების შესახებ, იგავ-არაკებიდან ამოკრებილი ევროპული სახელები და ცნებები: დუკა, გრანდუკა, მაგისტროსი, რომი, საფრანგეთი, კონსტანტინოპოლი...

იგივე აზრს ავითარებენ მეცნიერები - ნიკო მარი და ალექსანდრე ხახანაშვილი. მაგრამ მწერალ გოგლა ლეონიძეს ამასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება აქვს:

„მართალია, სულხან-საბამ ბერობაში თარგმნა ანვარ სოჰაილის საერო ხასიათის „ქილილა და დამანა“, მაგრამ ცაგარელს ავიწყდება, რომ ეს ნაწარმოები მწერალმა დაამუშავა ვახტანგ მეფის ბრძანებით. თვითონ სულხან-საბა აღნიშნავს კიდევ წინასიტყვაობაში: „მეფის ბრძანების შემდეგ უარი აღარ იქნებოდა, თვარა მონაზონისაგან ამისთანა ამბავი უნესო და ურიგოა“-ო.

მწერლის ამ სიტყვებში აშკარად იკვეთება ქართული სამღვდლოების ტრადიციული შეხედულება საერო პოეზიის შესახებ; ეკლესია ამ ხასიათის ნაწარმოებს „წარმართულს“ უწოდებდა, საერო მწერლებს კი „გარეშე კაცთას“ და „მეზღაპრეებს“.

„განა შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანს, ბერ საბას, ისიც ხანდაზმულობაში, შეეძლო, დაენერა ისეთი თავისუფალი აზროვნების საერო ნაწარმოები, როგორცაა „სიბრძნე სიცრუისა“? - კითხულობს გოგლა ლეონიძე.

„სიბრძნე სიცრუის“ დათარიღებისათვის საგულისხმოა ძველი ნუსხების ჩანაწერებიც: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ნათქვამი საბა სულხან ორბელიანისაგან, ჟამსა სიჭაბუკისა მისსა“. ეს ტექსტი არაერთ ხელნაწერშია დაცული; როგორც მიიჩნევენ, ის თვით მწერლის სიცოცხლეშივეა დაწერილი.

ამ ტექსტით იკვეთება მოსაზრება (რომელსაც სრულიად იზიარებს გოგლა ლეონიძე), რომ „სიბრძნე სიცრუისა“ სულხანს სიჭაბუკეში შეუდგენია, დაახლოებით - 1678-88 წლებში.

- 6 -

წავარნა – ნადირთ ბილიკი კლდისა.

წათი – აფთ-შუბი – დიდი აფთი, დიდი მახვილი.

წაკულაკი – ბოყვი, კანახი (მკვახე, უმნიფარი).

წალამა – ვაზის ნასხლავი.

წალი – ჩეფიჩი (წლის თიკანი).

წალკატი – ორწვეროსანი წერაქვი.

წალო – ჭურჭელთ დასაწყობი.

წამ-უყო – ანიშნა; თვალით ნიშნება.

წანწალა – ხიდად გადებული ერთი ხე.

წარაფი – წვრილი, მოგრძო ტყე.

წირთხლი – კარის გადასაბიჯები.

წირიხტა – კვერცხით მოზეღილი, ერბოში მოხრაკული პური.

წინანი – ბაკანი (კუს ზურგი).

წინკიტელა – ყრმათ ისარი.

წკიპურტანა – მცირე მშვილდ-ისარი.

წმასნილი – მეტად შეგრეხილი.

წოქო – თოხლო კვერცხი.

წრაპაკანი – პატარა სირი (ჩიტი).

წრიაპი – სადედლე ვარია.

წუმწუბა – ზეცით ცეცხლი, რომელიც შთამოიჭრა სოდომს.

წუნუკუნი – ლეკვის ტირილი.

წყლტუ – უბალნო.

წყრთა – წყრთა არს იდაყვითგან თითის წვერამდე.



უსამართლო შირვან-შაჰი

იგაჲი

სულხან-საბა ორბელიანი



შირვან-შაჰი ერთი უსამართლო, დაუნდობელი და მაოხრებელი მეფე იყო. სადაც კი მომჩივანსა და გლახაკს ნახავდა, მაშინვე კლავდა ხოლმე. ააოხრა კიდევ მთელი თავისი სამეფო.

ერთ დღესაც ნახა მომჩივანი ვინმე. ბრძანება გასცა, მოეკლათ იგი.

იმ კაცმა უთხრა შირვან-შაჰს:

– მე მოსაკლავი კაცი არა ვარ, მე ფრინველთა და ცხოველთა ენა ვიცი, მათი მესმის!

მეფემ დაიჯერა გლახაკის ნათქვამი და არ მოკლა იგი; თანაც, მიაბარა თავის ვაზირს და უბრძანა:

– ამისგან შენ ისწავლე საიდუმლო ენა და შენ მე მასწავლე!

ნაიყვანა ვაზირმა ის კაცი, მაგრამ იცოდა, რომ მან ენათა ცოდნა სიცოცხლის გადასარჩენად მოიგონა. გაუშვა კიდევ ის კაცი.

გამოხდა ხანი. ერთ ღამეს შირვან-შაჰი ნადიმობდა. გაიგონა, გაღმიდან ორი ჭოტი როგორ იძახდა. შაჰს მაშინვე მოაგონდა ენათა მცოდნე კაცი და ვაზირს დაეკითხა:

– ხომ ისწავლე ფრინველთა და ცხოველთა ენა იმ კაცისგან?

ვაზირმა მოახსენა:

– რა თქმა უნდა, ვისწავლე!

ისევ ჩაეკითხა მეფე:

– აბა, მითხარი, ის ჭოტები რაზე საუბრობენ?

ვაზირმა მოახსენა:

– ერთ კაცს ქალი ჰყავდა, მეორეს კი ვაჟიშვილი. ბიჭის მამამ გადაწყვიტა, შვილი დაექორწინებინა და ქალის ხელი სთხოვა მამამისს. ქალის პატრონმა უთხრა: ვიდრე ჩემს ქალიშვილს შევიდას ნასოფლარს არ მიაერთმევ პირის სანახავად, არ მოგცემ. ვაჟის მამამ უპასუხა: შენს ქალს რომ შევიდასი ნასოფლარი მივართვა, ექვსი შვილი კიდევ მყავს და იმათ საცოლეებს რაღა მოვუხერხო. ქალის მამამ ისევ უთხრა:

რა გაფრთხობს და რატომ დაღონებულხარ? თუ შირვან-შაჰმა დიდხანს იცოცხლა, კიდევ ბევრ ვინმეს ააოხრებს!

შაჰს ძალიან ეწყინა ნათქვამი:

– განა, ასეთი

უსამართლო ვარ?

ვაზირმა მოახსენა:

– ჭოტები რასაც

ამბობენ, მე მხოლოდ ის გითხარი!

ამ სიტყვების შემდეგ შაჰი თურმე მონყალე გახდა.





სწენური თავდავინეების რაინდი



დომიტრი ჯაიანი

საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო, კომტა მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიუმის ლაურეატი, სოხუმის თეატრის ნამყვანი მსახიობი, დირექტორი და სამსახურო ხელმძღვანელი ათეული წლის მანძილზე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი (სცენასა და კინოში მის მიერ შესრულებულია 50-ზე მეტი როლი).

„მიყვარს მზის სადღეგრძელო, კოლხურში ზუა მზეურა და დედის რძე. სოხუმში სხვანაირად ამოდიოდა მზე და სხვანაირად ჩადიოდა... გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ. მჯერა, რომ ერთ უზენიერეს დღეს, ვალაქტიონისა არ იყოს, სოხუმში ხმამაღლა დავიძახებ: „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ – ამბობდა დიმა ჯაიანი. ოცნებობდა აფხაზეთში დაბრუნებაზე, მაგრამ დრო დასრულებულიყო. და დაგვიტოვა მის გარეშე დარჩენილი უამრავი როლი, პერსონაჟი: ყარაშანი, ალდეშარო, ლიბონა, ზახა, კომბლე, ბონდო ლანჩავა, ელიზბარ ერისთავი, ვახო ამბოკაძე, ზასანიო, გენერალი ოგენერი, ტიტე ნაჭუჭარი, ტრეპლერი, მეფე შარლე, კირილოვანოსი, დარისპანი, ტაგუ სამუშია, ლადო ასათიანი და, რა თქმა უნდა, გიორგი მეფე. დეკემბრის იმ რევ დღეს, იქნებ, უკანასკნელ როლს ირგებდა დიმა ჯაიანი, რომ სიწირხელისთან, საყვარელ სწენასთან განშორების ტკივილი ასე აუტანელი არ ყოფილიყო ოჯახის ნევრებისთვის, ახლობლებისთვის, მისი ნიჭისა და თავყვანისმრეშლებისთვის. დომიტრი ჯაიანს არასოდეს მოუსაკლისებია მასურების სიყვარული. დღეს ეს უკვე ხსოვნაა, რომელიც ასე ძალიან გვჭირდება ჩვენ და კიდევ ერთი გამორჩეული მსახიობით ნაკლებ სოხუმელთა დასს, ასე რომ უერთგულა ზოლომდე“.

„იალქნელები“. P.S.ის ჩვენი დიდი გულშემატკივარი იყო.

„ნამდვილი კოლხი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით: ტრადიციების ერთგული, ქეშმარიტი პატრიოტი, უფროსის პატივისმცემელი, უმცროსის ქომაგი. თამაშობს თავდავინეებით... მახსოვს, ერთხელ, უკრაინაში, ერთსა და იმავე დღეს, წარმოდგენაში ითამაშა, ღამით ბანკეტზე ითამადა, დილაზე ცეკვავდა. შემდეგ პირდაპირ თეატრში წავიდა და დილით სპექტაკლი ითამაშა... და ისევ თავდავინეებით“.

დავით კობახიძე, რეჟისორი

„იგი უყვართ; რეჟისორები მასთან სიამოვნებით მუშაობენ, მის სანახავად საგანგებოდ დადიან მაცურებლები. მისი უმთავრესი ღირსება უთუოდ მანც უდიდესი ადამიანური სიკეთეა“.

ნუგზარ ლორთქიფანიძე, რეჟისორი

„30 წელია, მისი პარტნიორი ვარ. ძნელია იდგე მის გვერდით სცენაზე და არ მოექცე მისი ქარიზმის, გარეგნობის, ენერგეტიკისა და ემოციის ჩრდილში. მაგრამ, ამავდროულად, მასთან ერთად თამაში მომგებიანიცაა, რადგან მისი პიროვნული და აქტიორული თვისებებიდან გამომდინარე, სპექტაკლი, სადაც ის თამაშობს, ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს“.

ლილი ხურთი, მსახიობი

„დიდმა ებრაელმა მწერალმა ჰაინემ, ერთხელ, ჯიბიდან ბიბლია ამოიღო და მრევლს განუცხადა: ეს არის ჩემი სამშობლო, რომელიც სულ თან დამაქვსო! შენ რომ ვინმემ გული ამოგგლიჯოს და ხელის წინ დაიდოს, მასზე დიდი ასობით იქნება ამოტვიფრული ერთადერთი სიტყვა – აფხაზეთი“.

რეზო ამაშუკელი, პოეტი



„დიდოსტატის მარჯვენა“. გიორგი მეფე – დომიტრი ჯაიანი



მიხეილ ძვლივიძე



რა ხშირად მოგვწონს, რა ხშირად გვიკვირს,
რა ხშირად გვხიბლავს ყველა სიახლე:
სიმაღლე კაცის, სიმაღლე ფიქრის...
ბოლოს და ბოლოს – რაა სიმაღლე?

განმარტებისთვის ესეც კი კმარა,
რა საჭიროა აყალმაყალი:
საკუთარ თავზე მალლა თუ დგახარ,
მაშინ ხარ სწორედ სხვებზე მაღალი!



მე მოვალ შენთან გუშინ ან შარშან,
შენ მოხვალ ჩემთან – ხვალ ან გაისად,
როცა კვირტები დაიწყებს გაშლას,
როცა ხეხილი ნაყოფს დაისხამს.
როცა მე და შენ იმდენად დაგვლლის
ამქვეყნად ჩვენი როლის თამაში,
რომ მე დაგიტოვებ შეხვედრის ადგილს
სადმე წარსულში ან მომავალში.



ზღვა მიყვარს, როცა კაციშვილი ნაპირზე არ ჩანს,
როცა ცისფერი გოლიათი არვის არ ართობს,
როცა ზღვა, მსგავსად მსახიობის,
სხვისთვის არ ხარჯავს,
თავის ნიჭს...
როცა ზღვა მხოლოდ თავისთვის, მარტო...
მაშინ მე მესმის,
კარგად მესმის გულისთქმა მისი,
ვიცი, რას ფიქრობს, როცა ტალღებს აბრუნებს მძიმედ,
და მიხარია,
რომ თავისი შფოთვით თუ რისხვით
ზღვა არ კეკლუცობს,
არც ცდილობს, მოხიბლოს ვინმე...





პაატა ქურდოვანიძე

მერი შარვაშიძის, ამ ულამაზესი ქართველი ქალის შესახებ არაერთი მხატვრული თუ ფოტოგრაფია არსებობს. მერი შარვაშიძე შესანიშნავი წერილი აქვს პაატა ქურდოვანიძეს თავის წიგნში "ქართულ-აფხაზური ალბომი" (რისთვისაც მას შარვაშიძის პრემია მიენიჭა). მაგრამ მასალა, რომელიც გატონმა პაატამ მოგვანოა და რომელსაც ექსკლუზიურად რამდენიმე ფოტოც ახლავს, შევსაბუღია ახალი ფაქტებითა და მოგონებებით. ავტორი კიდევ უფრო სრულად გვაცნობს ლეგენდარულ მერი შარვაშიძეს და კიდევ უფრო გვხიბლავს თავისი ფიზიკური და პიროვნული სილამაზით.

რად იგაჰდება პუბლიკაციის პირველი ნაწილი.

ლევნა - მერი შარვაშიძე-ჩაჩუა

პაატა ქურდოვანიძე

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კუთვნილებაა გასული საუკუნის დასაწყისის ორი ულამაზესი მანდილოსნის – მელიტა ჩოლოყაშვილისა და ელისო დადიანის პორტრეტები.

მე-20 საუკუნის ათიანი წლების მიწურულს, თბილისში, რუსი მხატვრის, საველი სორინის მიერ შექმნილ ამ ორ ტილოს მესამე აკლია – პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ლევნად და ქცეული მუზის – მერი შარვაშიძის პორტრეტი.

როგორც ამბობენ, ემიგრაციაში გარდაცვლილ მხატვარს სიცოცხლის მიმწუხრს, ანდერძით, სამივე ნამუშევარი საქართველოსათვის დაუტოვებია, მაგრამ, გარემოებათა გამო, მერი შარვაშიძის პორტრეტი ვერ დაბრუნდა.

განგებამ იწება, რომ ქართველ პოეტთა ამ სამივე მუზის ცხოვრება, ბავშვობიდან სილალითა და ბედნიერებით აღსავსე, შემდგომში უიღბლოდ წარმართულიყო. სამშობლოდან იძულებით განდევნილნი ემიგრაციაში ისე აღესრულნენ, რომ საფრანგეთის მოქალაქეობა ფიქრადაც არ გაუვლიათ.

1999 წლის ზაფხულში მე მქონდა პატივი, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ქართველ-აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებისადმი მიძღვნილი ფოტოდოკუმენტების გამოფენა მომეწყო. ექსპოზიციის ერთი კედელი მიძღვნილი იყო მერი შარვაშიძის პიროვნების, სანათესაო წრისა და იმ ლევნდისადმი, რომელიც ქუთაისს, გალაკტიონსა და მერის სახელს აერთიანებს.

წლების განმავლობაში მოძიებულ მერი შარვაშიძის არაერთ სრულიად უცნობ ფოტოსთან ერთად წარმოდგენილი იყო საველი სორინის იმ ტილოს ფოტო-ასლიც, რომელიც გამოსაფენად, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან მასალასთან ერთად, დიდსულოვნად დაგვითმო ან განსვენებულმა, საქართველოს სახალხო არტისტმა მარინა მხეიძე-დადიანისამ. ქალბატონ მარინას დიდი რუდუნებით ნაგროვებმა საოჯახო არქივის ფოტოდოკუმენტებმა დიდად შეავსო წარმოდგენილი ალბომი.



„მერი შარვაშიძე“. საველი სორინის ნახატი



მერი შარვაშიძე ქალბატონ მარინას მამის, ალექსანდრე მხეიძის მამიდაშვილი იყო. ქალბატონი მარინა იგონებდა:

– დეიდა მერის მამაჩემი ძმასავით უყვარდა; ასევე, ენათესავებოდა და ემეგობრებოდა დედას – ვერა შარვაშიძეს. ჩვენს საოჯახო არქივში ინახებოდა ლამაზი, მაგრამ გაკრული ხელით ნანერი (რუსულად), საოცრად ემოციური ბარათებიც, მერი რომ პარიზიდან გვიგზავნიდა მხეიძეებს. ახალ-სენაკში, ბალითა და ზვრით გარშემორტყმული ჩვენი სახლი ახლობლებისთვის, და საერთოდ, ყველასთვის მუდამ ღია იყო. მამაჩემის მშობლების – ბესარიონ მხეიძისა და ანეტა წერეთლის სტუმართმოყვარეობით განთქმულ ოჯახს არაერთხელ სწვევია და და სიძე, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო პირი



პროკოფი შარვაშიძე და მისი მეუღლე ნინო მხეიძე; მათ მუდამ თან ახლდნენ ქალიშვილები – მერი და ტყუპი დები – თამარი და ელენე. შემორჩენილია მე-20 საუკუნის დასაწყისში, ჩვენს ბაღში გადაღებული სურათები, სადაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მერი უკვე გამოირჩევა სილამაზითა და მომხიბვლევლობით.

უამრავ ფოტოთაგან ქალბატონი მარინა გამოარჩევედა ერთს, სადაც ახალგაზრდაწერილი – საშა მხეიძე და მისი უმშვენიერესი მეუღლე – ვერა შარვაშიძე, თამარ, ელენე შარვაშიძეები და თამარ მიქელაძე (დირიჟორ ევგენი მიქელაძის და) არიან გამოსახულნი. დეიდა ლენა ხუმრობდა, გვიამბობდა ქალბატონი მარინა, ხუთი წუთით ადრე დაიბადა თამარი და მთელი სილამაზე მან შეითვისაო (თუმცა თვითონაც ეშხიანი და კდემით აღსავსე იყო)...

გენერალ-მაიორი პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძე სამხედრო სამსახურიდან 1900 წელს გადადგა. შემდეგ ის კარგა ხანს ბათუმის საქალაქო საბჭოს წევრად მსახურობდა.

სწორედ ბათუმშია 1888 წელს მერი შარვაშიძე დაბადებული.

მერის უმცროსი და თამარი გრაფ პეტრე კონსტანტინეს ძე ზარნეკაუს (ქუთაისში დამკვიდრებული პრინცის, კონსტანტინე ოლდენბურგელისა და აგრაფინა ჯაფარიძის ვაჟი) მეუღლე იყო. ის რევოლუციამდე ქუთაისში ცხოვრობდა და ქალ-ვაჟს – ნინოსა და კონსტანტინეს (კოტეს) ზრდიდა. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ თამარი მალე გარდაიცვალა. ობლად დარჩენილ დისწულებზე მზრუნველობა უფროსმა დეიდამ – მერიმ იტვირთა და სიცოცხლის ბოლომდე დედობრივი ყურადღება არ მოუკლია მათთვის.

უკვე საკმაოდ ასაკოვანი წერდა კიდევ საშა და ვერა მხეიძეებს: „თუმცა ბედმა მრავალი წლით დაგვაშორა, ძნელია, გადმოგცეთ, როგორ მიყვარხართ ყველანი და როგორ ენატრებით ჩემს სულს თქვენ და ჩემი სამშობლო. აქ ჩემთვის ყველაფერი უცხოა – ხალხიც, ქვეყნებიც და ჩემი დისწვილების გამო შიში რომ არა, დიდი ხნის დაბრუნებული ვიქნებოდი თქვენთან“...



დები: ელენე, მერი და თამარ შარვაშიძეები



ალბერ კამიუ ერთგან წერს: „მწერლისთვის უმჯობესია, რაღაც ბოლომდე არ თქვას, ვიდრე თქვას ზედმეტი“.

ფიქრადაც არ გამივლია, ჩემი თავისთვის მწერალი მეწოდებინა; ამ პატარა ესეთი დაინტერესებულ საზოგადოებას, ძველი ფოტოების კომენტარებით, გარდასულ დროს ვახსენებ, წარსულ ეპოქას, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილებაა, დრო, რომელშიც სულ სხვა საზოგადოებრივი კანონები და სხვა წესები მოქმედებდა.

ძალიან ადრეული ბავშვობის ერთ ღირსსახსოვარ საღამოს მოვიგონებ, ჩემს ერთ-ერთ პირველ სტუმრობას სოხუმში, დედის ბიძაშვილის, ძმასავით საყვარელი დავით (ჯიტუ) დადიანის სახლში, ბაგრატის მთაზე.

საღამოსპირი იდგა; დედამ და მისმა დებმა მარიამმა და ქეთომ ჯიტუ ბიძის დედის, პაუსია დადიანისა (პაუდედა – მთელი სანათესაო ასე მიმართავდა მას) და მისი უფროსი დის, მწერალ ფუცუ დგებუაძის მონახულება გადაწყვიტეს. მსცოვანი დები ასაკის სუსხსა და უძლურებას არ უჩიოდნენ, მხნედ გამოიყურებოდნენ. უაღრესად საინტერესო, ამავე დროს, ტრაგიკული ხვედრის ამ ქალბატონებს ჭირიც და ლხინიც განუყოფელი ჰქონდათ. დიდი სიყვარულით მიგვიღო პაუდედამ. იმ დღეს მასთან სტუმრობდა ბიძაშვილი მელებან ლორთქიფანიძეც (სანდრო ახმეტელის დასის



მარცხნიდან: სამსონ მიმინოშვილი, ლუბა კოკაია (მეუღლე), მათი შვილები – მარიამი და მიშა. დგანან: მერი შარვაშიძე, დავით დადიანი; სხედან: თამარ შარვაშიძე-ზარნეკაო, ნინა მხეიძე-შარვაშიძისა, გიორგი დადიანი.



მერი შარვაშიძე

მსახიობის ელგუჯა ლორთქიფანიძის და). ცოცხალი პაუდრის უფროსი და ფუცუც გამოჩნდა და დაიწყო ძველისა და ახლის გახსენება...

მოსაგონარი კი მათ, დიხაჯ რომ, ჰქონდათ. ჯიტი ბიძია შეამჩნია, ამ უჩვეულო მარაქაში მე რომ არაფერი მესაქმებოდა და ეზოში გამიხმო, ბალი დამათვალეებინა. ხალასი იუმორი ჰქონდა, კარგა ხანს სასაცილო ამბებით გამართო. როცა ჩამობნელდა, აივანზე გამიყვანა და განათებულ ქალაქს გადამახედა...

დაუვინყარია ის თვალწარმტაცი პეიზაჟი, აივანიდან რომ წარმომიდგა. ვარსკვლავებით მოჭედებულმა ცამ, ლამპიონებით განათებულმა ქუჩებმა, ზღვის თვალწინდებულმა სიმავემ და ამ წყვილადში ორი გაჩახჩახებული სამგზავრო გემის ფერადმა სანახაობამ მომნუსხა. კონტრასტულმა და იდუმალებით მოცულმა პანორამამ, ეტყობა, ისე გამაბრუა, რომ ათწლეულების შემდეგაც სიამოვნებით ვიგონებ ამ დაუვინყარ საღამოს. ასე მგონია, სწორედ იმ წუთებიდანვე გაიბა დღემდე გაუნყვეტელი კავშირი ჯადოსნურ ქალაქსა და ჩემ შორის.

პაუდრად ჩაიხე მიმიხმო და დედას სთხოვა, ბავშვს ჩემი მოდულეული ალუბლის მურაბა გაასინჯეო. ულამაზესი მოხუცები (სხვა სიტყვებით ვერ შეამკობდი ღირსებით აღსავსე ამ მანდილოსნებს) საუბრისას თავიდან სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ. ქალბატონი ფუცუ ახალგაზრდობისდროინდელ ქუთაისს იხსენებდა. მეღებან დეიდამაც სიტყვა შეანია. პაუდრად მეღებანსა და ფუცუს რაღაც შეუსწორა. უფროსმა დამ შენიშვნა იუკადრისა და უშფოთველი დიალოგი მალე ისეთ კამათში გადაიზარდა, რომ ოთახში დაცხა...

გამართულ დისკუსიაზე საინტერესოს ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ის საღამო გონებაში ამოუშლელად იმიტომაც ჩამებეჭდა, რომ პირველად მაშინ მოვისმინე გალაკტიონისა და მერი შარვაშიძის სახელები.

წლების შემდეგ, როცა უკვე აღარც პაუდრად იყო და არც ქალბატონი ფუცუ, დეიდა ქეთოს გავახსენე ის სტუმრობა და ვკითხე, მომაგონე, რა თემაზე იყო კამათი-მეთქი? ასე მიპასუხა, აინტერესებდათ, ვის მიუძღვნა გალაკტიონმა „მერი“-ო!

გული მწყდება, ათწლეულებით გაგრძელებული ეს დისკუსია, თუნდაც, ფრაგმენტულად, არავინ რომ არ ჩაინერა. არადა, ქალბატონი პაუსიაც და ფუცუც გალაკტიონს, მერი შარვაშიძესა და მთელ იმდროინდელ ქუთაისს კარგად იცნობდნენ და უამრავი საინტერესო ამბის მომსწრენი და მონაწილენი იყვნენ.



მისი ნათლობის სახელი, მართალია, მარიამია, მაგრამ მას ყველა მერით მოიხსენიებდა. მას შემდეგ, რაც გენერალი პროკოფი შარვაშიძე ბათუმისა და სოხუმის მხარეებმა რუსეთის პირველი სახელმწიფო



ზღვის პანორამა სოხუმის ფუნქციონირიდან

დუმის წევრად აირჩიეს, მერის ცხოვრება პეტერბურგს დაუკავშირდა. დები შარვაშიძეების სილამაზემ მსწრაფლ მიიპყრო პეტერბურგის მაღალი საზოგადოების ყურადღება. მაგრამ, მართლაც რომ, ლვთიური სილამაზით, თანდაყოლილი დახვეწილი არისტოკრატიზმითა და იშვიათი კეთილშობილებით გამორჩეულ მერი შარვაშიძეზე მთელი ქალაქი ალაპარაკდა (პროკოფი შარვაშიძე დედა-დედოფლის – მარიამ თედორეს ასულის კარის პირველი მინისტრისა და მეუღლის – გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის ბიძაშვილი იყო; პროფესორ ლეო შარვაშიძეს კი უთქვამს ჩემთვის, მერი იმპერატრიცა მარიამ



თედორეს ასულის ფრეილინა იყო).

ქალბატონი მარინა მხეიძე ბავშვობის კიდევ ერთ ასეთ ეპიზოდს იხსენებდა:

– მგონი, 1915 წელი იდგა, მშობლებთან ერთად პეტერბურგს ვესტუმრეთ. დედამ დეიდა მერისთან და დეიდა თამართან ერთად დერბის* საყურებლად წამიყვანა. თან გვახლდა ჩვენი ნათესავი ლუარსაბ დადიანი. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგას ეს ლამაზი ქალბატონები, მათი გრაცია, საზოგადოებაში თავის დაჭერის მანერა, საუბარი, კდემა. პეტერბურგის არისტოკრატია დოღს ხშირად სტუმრობდა, მაგრამ რაღაც მიზეზით ის დღე განსაკუთრებული ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. გითხარით, პატარა კი ვიყავი, მაგრამ კარგად აღვიქვი, შარვაშიძეთა ასულების სილამაზით განცვიფრებული ეს ყოვლისმნახველი საზოგადოება ჩვენს ლოყას რომ მოსჩერებოდა.

ერთხელაც, საიმპერატორო კარის ცერემონიაღზე, ახალგაზრდა ფრეილინა მერიმ, ჩვეულებისამებრ, დაავიანა. მერი ყოველთვის და ყველგან იგვიანებდა! იმპერატორი და დედოფალი უკვე წირვაზე იდგნენ. სამეფო კარის ეტიკეტით გვირგვინოსნების შემდეგ ღვთისმსახურებაზე შესვლა დაუშვებლად მიიჩნეოდა. შავებით მოსიღმა მერიმ ტაძრის პარმაღზე პირჯვარი გადაიწერა და კუთვნილი ადგილი დაიკავა. როგორც გაღმოგვცემენ, ეს ისეთი ბუნებრივი და თან ისეთი ენით აღუწერელი სიღარბაისლითა და სიმშვიდით გაუკეთებია, რომ ახალგაზრდა ქალის უჩვეულო სილამაზითა და, ამასთან, მისი თამამი მანერებით გაოგნებული საზოგადოება სახტად დარჩენიღა. თქვენ წარმოიდგინეთ, წირვის აღმსრულებელ მოღღვარსაც, რაღაც წამებში, მზერა გარინდებია ამ გამაოგნებელი მშვენიერების წინაშე. **როგორც გაღმოგვცემენ, ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, იმპერატორი მერისთან შეჩერებულა და ღმიღლით შეუნიშნავს: „მკრეხეღობაა, მკრეხეღობა, თავადის ასუღო, ასეთი სიღამაზე!“**

ღეგენდები თან სღვედა მერი შარვაშიღის ცხოვრებას... ესეც ქალბატონმა მარინა მხეიღმ მიამბო: „ერთხელ შეუღლოდ მყოფ მამასთან მისი დიღი ხნის ნაცნობი ექიმი მოვიწვიეთ საკონსულტაციოღ. ისაუბრეს, უამრავი რამ მოიგონეს, შემდეგ წამღები გამოუწერა, დაარიგა. როცა ვაციღებღი, დარბაისელი მოხუცი მომიბრუნდა და მეუბნება: ნება მომეცით, ქალიშვიღო, შუბღზე გემთხვიოთ. რუსულად წარმოთქმულ ამ ფრაზაში იყო რაღაც ამალღებული, რიღიანი მოწინება. შევცბი, ექიმი მიხვდა, რომ მისი ნართაულად ნათქვამი ვერ გავიგე...“

– ძალიან ჰგავხართ მამიღათქვენს... ნესტეროვმა, აბასთუმნის კარის ეკღესიის მოხატვისას, ღვთისმშობღის სახე მერი შარვაშიღის შთაგონებით შექმნა! ნუთუ ეს არ იცოღით?!

ექიმი რომ გავაციღლე, მამას დავეკითხე ამის შესახებ.

– ეს მეც მსმენია, მაგრამ ვერაფერს დავადასტურებ, ჩვენი სტუმარი კი წღების მანდიღზე მუშაობდა აბასთუმანში, აღბათ, მან უკეთ იცის! – და სახეზე ღმიღღმა გადაუარა.



ქართული არისტოკრატიის უხუცესს, მერი შარვაშიღის მეგობარს, ბაბო დადიანს, ჩემთვის პირადად უამრავი რამ უამბნია მე-20 საუკუნის საქართვეღოს ტკივიღიან ისტორიაზე, ჩვენი წარსუღის თვალსაჩინო წარმომადგენღებზე. ქალბატონ ბაბოს, მართლაც რომ, იშვიათი მეხსიერება ჰქონდა.

განვღიღ ცხოვრებაზე მუღამ გულღინჯად, მიუკერძოებლად საუბრობდა. არაერთხელ გაგვიხსენებია მერი შარვაშიღე, შევხებივართ ფენომენს, გაღაკტიონს, მერისა და ქუთაისს რომ აერთიანებდა... მისთვის აპრიორი იყო, რომ გენიოსი პოეტის „მერი“ მერი შარვაშიღისადღია მიღღვნიღი; მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, თვითონ მერის ეს არასოღეს დაუდასტურებიაო. ერთხელ ვკითხე, მერი შარვაშიღე იქნებ არც ანიჭებდა ამ



მარცხნიღან: ლუარსაბ დადიანი, თამარ შარვაშიღე-ზარნეკაუ, თამარ მიქელაღე, მერი რიგში: ნიკოღოზ ერისთავი, აღექსანდრე მხეიღე, ეღენე შარვაშიღე. ახალი სენაკი 1914 წ.



მარცხნიღან: გიორგი ერისთავი, მერი შარვაშიღე-ერისთავისა, რიმა ერისთავი. 1921 წ.

* – სამ და ოთხწღიანი ცხენების დოღი.

**მერი შარვაშიძის
მეუღლე – გიორგი ერისთავი**

ლექსს რაიმე მნიშვნელობას-მეთქი. არ გაიმეორო, მიპასუხა, მერიმ შესანიშნავად იცოდა ამ ლექსის სიდიადეო!

ჩვენს პრესაში არაერთხელ დაფიქსირებულა, რომ ანალოგიური შეკითხვით მიუმართავთ-ხოლმე უკვე ემიგრაციაში მყოფი ქალბატონი მერისთვის. პასუხი ყოველთვის ერთი იყო: მე გალაკტიონ ტაბიძეს არ ვიცნობდი!

მკითხველო, ბევრი გეგულებათ ისეთი მანდილოსანი, რომელიც თავისი ბიოგრაფიიდან ასეთ ღირსსახსოვარ ეპიზოდს შეელევა? როცა მერი შარვაშიძეს ამ დღეს მოაგონებდნენ, დასმულ შეკითხვაზე ყოველთვის ღიმილით პასუხობდა: „იმპერატორი ფრეილინებს კომპლიმენტით არ ანებივრებდა!“

დანამდვილებით ცნობილია, რომ მერი პეტერბურგიდან საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა. 1919 წელს ის გიორგი (გიგუშა) ნიკოლოზის ძე ერისთავს გაჰყვა ცოლად. ლეიბ-გვარდიის* ოფიცერი გიორგი ერისთავი იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ადიუტანტი იყო და წლების განმავლობაში სამეფო კარზე მსახურობდა. საქართველოში დაბრუნების

შემდეგ ის გენერალ-მაიორის რანგში, ქართულ არმიაში მიიწვიეს და, ძირითადად, მენშევიკური ხელისუფლების მიერ წარმოებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, როგორც სამხედრო საქმის ექსპერტი. მას თანამედროვენი ერთხმად მოიხსენიებენ განათლებულ და უაღრესად კეთილშობილ პიროვნებად.


ქალბატონ მარინა მხეიძესთანაც მისაუბრია „მერის“ ლეგენდის შექმნაზე:

– მამაჩემისგან არაერთხელ გამიგია, ეს ყველაფერი ხალხის ფანტაზიააო. ქუთაისის საზოგადოებას, უბრალოდ, სხვა მერი ვერ წარმოედგინა. რევოლუციის შემდგომ მერი და დედამისი, დეიდა ნინა, ჩვენთან ჩამოვიდნენ და ერთად ვცხოვრობდით დათეშიძის გორაზე. მამამისი, პროკოფი შარვაშიძე, ამ დროისთვის გარდაცვლილი იყო. ის, 1915 წელს ახალ-სენაკში გარდაიცვალა და იქვე დავასაფლავეთ. როდესაც მერიმ გიგუშა ერისთავზე ჯვარი დაიწერა, ქორწილისთვის ხორაგი სენაკიდან მე და ვარლამ დადიანმა (მერი შარვაშიძის დეიდაშვილი) ჩამოვზიდეთო. ქართული არისტოკრატის ხელმოკლეობა ცნობილი ამბავია, მით უმეტეს, იმ საყოველთაო გასაჭირის წლებში. ქორწილში არც ხალხმრავლობა ყოფილა და არც ვინმე უცხო. ჯვრისწერის შემდეგ წყვილი დედაქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. მერის თან გაჰყვა დედამისიც. გალაკტიონის „მერიზე“ პარიზში მეც ვესაუბრე დეიდა მერის, მაგრამ მან იუარა, არც არაფერი ვიცი და ვერც ვერაფერს დაგიდასტურებო. მეუღლე ადრე გარდაეცვალა; შეეძლო, ოჯახიც შეექმნა, მაგრამ ყველა მთხოვნელი უარით გაისტუმრა: გიგუშას შემდეგ ჩემი ცხოვრება სხვასთან ვერ წარმომიდგენიაო.

ათწლეულების შემდეგ პოეტი კოლაუ ნადირაძე საჯაროდ გააცხადებს, რომ ის და გალაკტიონ

ტაბიძე ამ ჯვრისწერას ესწრებოდნენ... მაგრამ უფრო საგულისხმოა გალაკტიონის 1950-იანი წლების ერთი ჩანაწერი: „მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ჩემი ლექსი „მერი“, ძალიან ხშირად მკითხავდნენ, ვინ იყო ეს მერი, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი პასუხზე. როგორც პოეტი, მე ვსარგებლობდი უფლებით, თითოეული ლექსისთვის დამერქმია ის სახელი, რომელიც მსურდა. ერთხელ მე ამის გამო გულიც კი მომივიდა, თითქმის გაცოფებაში მოვედი და ამხანაგებმა გაიგეს, რომ მეტი აღარ შეიძლება მათი ჩაცვივება. მერი, ალბათ, არსებობდა, იყო ასეთი ქალი!“

ნებისმიერი ადამიანის, მით უფრო, საზოგადოებისათვის საინტერესო ბიოგრაფიული პორტრეტის სრულფასოვნად გადმოსაცემად პირადი არქივის გაცნობა აუცილებელია. სამწუხაროდ, მერი შარვაშიძის ცხოვრების აღსაწერად ჩვენ ამ სიამოვნებას მოკლებულნი ვართ. არ ვიცით, წერდა თუ არა დღიურებს, დროის მსახვრალ ხელს გადაურჩა თუ არა მისი არქივი... არადა, მეოცე საუკუნის რამდენი საინტერესო მოვლენის მოწმე და მონაწილე იყო ეს მართლაც ლეგენდარული ქალბატონი.

**მერი შარვაშიძე****(დასასრული შემდეგ ნომერში).**



ყველაზე პატარა, მაგრამ ულამაზეს ჩიტს – კოლიბრს წუთში გული 1220-ჯერ უცემს. ასეთი სიმკვირცხლე რომ შეინარჩუნოს, ჩიტმა ყოველ 10-15 წუთში უნდა ჭამოს. არადა, კოლიბრი ისეთი პატარაა, მისი ბუდე სარეცხის სარჭზეც კი დაეტევა.



კოლიბრი

1960-იან წლებში ისრაელში, მასადაში,* მეფე ჰეროდეს სასახლის გათხრებისას არქეოლოგებმა იპოვეს იუდეური ხანის ფინიკის პალმის მარცვლები, რომლებიც სულ მცირე, 2000 წლის იყო. 2005 წელს ერთი მარცვალი გაღვივდა და დარგეს. მას „მათუსალა“ დაარქვეს, მსგავსად ბიბლიური პერსონაჟისა, რომელმაც ამქვეყნად ყველაზე დიდხანს იცოცხლა.

მაისის ბუზი საერთოდ არაფერს ჭამს. ის სულ რამდენიმე საათს ცხოვრობს და ამ დროის უმეტეს ნაწილს გამრავლებაში ატარებს.

თურმე რიცხვი 18 ერთადერთია (ნულის გარდა), რომლის რიცხვების ჯამი ორჯერ ნაკლებია, ვიდრე თვითონ რიცხვი.

აკაკი წერეთლის მიერ 1913 წელს ჩანერილი რამდენიმე ლექსი და ცნობილი მიმართვა ახალგაზრდებისადმი (მონათლული „აკაკის ანდერძად“), 1943 წელს აღმოაჩინა აკაკი ძიძიგურმა, ქართული რადიოსა და ტელევიზიის ამგდარმა. ფირფიტა თურმე ინახებოდა კინორეჟისორ შაქრო ბერიშვილის ოჯახში. დიდი პოეტის იგივე ფირფიტის მეორე ეგზემპლარი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გურამ შარაძემ ჩამოიტანა ამერიკიდან (ქართველი ემიგრანტების მიერ აქედან წაღებული). დიდი აკაკის ხმის ეს ჩანაწერი ქრონოლოგიურად პირველია ქართული რადიოს „ოქროს ფონდის“ ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის არქივში.

შუა საუკუნეების მისიონერ-ინკვიზიტორები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეშმაკები და ჯადოქრები ინონიდნენ გაცილებით მეტს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები. სასამართლო პროცესის დაწყებამდე, როგორც წესი, წონიდნენ ნაფიც მსაჯულებს. ვინც მშვიდობიანად გაივლიდა გამოცდას, ეძლეოდა საბუთი, რაც მიუთითებდა, რომ ის თავისუფალია სატანური ზემოქმედებისგან.

აბაზი – 20 კაპიკის ღირებულების ვერცხლის ფული. თავდაპირველად ის სპარსეთში შემოიღო აბას I-მა (აქედან მოდის სახელწოდება). თბილისის ზარაფხანაში აბაზი XVIII ს.-ის ბოლომდე იჭრებოდა. ერეკლე II-ის დროინდელი თბილისური აბაზი „სირმა აბაზის“ სახელითაა ცნობილი.

მუნასიბი – მოუმზადებლად, დაუსწავლელად წარმოთქმული ლექსია, კაფიაა, ექსპრომტია.

XVI ს.-ის დასაწყისში რომში ერთდროულად სამი უდიდესი მხატვარი ცხოვრობდა: ლეონარდო და ვინჩი, რომელიც რაფაელზე 30 წლით უფროსი იყო და მიქელანჯელო, რომელიც რაფაელზე 5 წლით უფროსი იყო. მიქელანჯელოს ძალზე არაჯანსაღი დამოკიდებულება ჰქონდა ლეონარდოსთან. იმის გამო, რომ რაფაელს მასთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა, რაფაელიც საშინლად შეიძულა. ამ პერიოდში ლეონარდომ შექმნა ცნობილი ტილო – „მონა ლიზა“ (მუშაობდა 4 წელი); ცოტა არადამაჯერებლად უღერს, მაგრამ არაერთი ბიოგრაფის მტკიცებით, ეს ნახატი რაფაელმა დაასრულაო.

თუ ტიცინი გულზე მიბნეულ მიხაკს ატარებდა, იოსებ გრიშაშვილისთვის ასეთი სამშვენისი, პერანგზე მიკრული ჭიამაია იყო.

თბილისის 1936 წლამდე ერეკვა „ტფილისი“.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის დედაა და მფარველი, მაგრამ დედამიწაზე არის ოთხი ადგილი, სადაც უფლის დედის განსაკუთრებული კურთხევა გადმოდის. ღვთისმშობლის წილხვედრი ადგილებია: საქართველო, ათონის მთა, კიევ-პეჩორის ლავრა (1051 წელს აგებული და იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული) და დივეევოს დედათა მონასტერი (აგებული 1780-იან წლებში; მოსკოვთან ახლოსაა, ნიჟნი ნოვგოროდში).

გი დე მოპასანს მიაჩნდა, „თუ გინდა სიყვარული, უნდა დაბრმავდე, გონება დაიხშო, აღარაფერი დაინახო, აღარაფერი გაიგონო“.



ღვთისმშობლის წილხვედრი ადგილი: დივეევოს დედათა მონასტერი

* – უძველესი სასახლე და თავდაცვითი ნაგებობა ისრაელის სამხრეთში.

ქართულად ყოფნის მიხედვით

ნანა ძარღვაძე

ილია ჭავჭავაძე თეატრს უყურებდა, როგორც ერის იდეური აღზრდის უძლიერეს საშუალებას, რომელსაც ზემოქმედების მოხდენა შეეძლო ხალხზე და არასოდეს, არც ახალგაზრდობაში, არც ხანდაზმულობაში არ თვლიდა მას გართობის ადგილად.

ილია ჭავჭავაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად ქართულ თეატრს შეუქმნა ბრწყინვალე შემოქმედებითი ტრადიციები, საფუძველი ჩაუყარა და განავითარა იგი, მაყურებლისთვის ახლობელი გახდა სცენა.

ილია იყო ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი თავმჯდომარე წლების მანძილზე. იგი შეიქმნა 1879 წელს. „თავმჯდომარის ამხანაგი“ იყო აკაკი წერეთელი, მდივანი კი – კოტე ყიფიანი.

ილიამ საჯარო კრება მოინვია, რომ დრამატული საზოგადოების სამოქმედო გეგმა გაეცნო თანამოაზრეებისათვის, მოსანვევი ბარათებიც საკუთარი ხელმოწერით დააგზავნა. ამ ინიციატივას ბევრი დიდი ქართველი საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდა. სამწუხაროდ, მათ რიგებში იყო გრიგოლ ორბელიანიც, რომელმაც მოსანვევის საპასუხოდ მისწერა ილიას: „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ, ვერ ვიქნები ჩვენი საზოგადოების კრებაზე თეატრის გამო... მე არ მესმის, როგორ უნდა დაემყაროს თეატრი, რომელსა არა აქვს თავისი შენობა, რომელსა არა ჰყავს განსწავლული აქტიორები, რომელსა არ შეუძლიან შენახვა თავისა?!“

დღეს უკვე ძნელი წარმოსადგენია, თუ რამდენი უნდა გადაეტანა ილია ჭავჭავაძეს, რამდენი დაეთმინა, რამდენი უნდა ეშრომა და ეღვანა იმისათვის, რომ მუდმივი ქართული დასი ჩამოეყალიბებინა.

მართლაც, XIX ს.-ის 80-იანი წლებიდან ქართულ სცენისმოყვარეთა დასებმა მსახიობთა ამხანაგობები კერძო ოჯახებიდან გადაინაცვლეს სცენაზე. ამ საქმის მოთავეთა შორის იყო აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენციაც. ცნობილია მწერალ ივანე გეგეას ღვანლი, რომელმაც სამურზაყანოში ერთ-ერთმა პირველმა შეკრება



შალვა დადიანი – „გუშინდელი“. რეჟისორი: სერგო ჭელიძე. 1938 წ.

სცენისმოყვარულნი. **სოხუმში წარმოდგენების პირველი ორგანიზატორები და მსახიობები იყვნენ ანთიმოზ ჯულელი, სიმონ ფრანგულიანი, შალვა დადიანი, მიხეილ გვაზავა, თედო სახოკია, მაკრინე და მაშო თურქიები, მაშო ქავთარაძე, პეტრე ჩაჩავა, თეო გაბუნია, რაჟდენ ქუთათელაძე, ანასტასია და ტერეზია შარვაშიძეები, მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა...**

გასული საუკუნის დასაწყისში სოხუმში წარმოდგენებს მართავდნენ ქართული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, ვალერიან გუნია, მაკა საფაროვა-აბაშიძისა... აი, რას წერდა 1902 წლის 7 ივნისის

და აღტაცებულის ხალხის თანდასწრებით გამართულ იქნა სამი წარმოდგენა, არტისტებს მიართვეს ძვირფასი საჩუქრები. აფხაზეთსა და სამეგრელოს თავადაზნაურობამ, ინტელიგენციამ და ვაჭრებმა, ასე, 300-მა კაცმა, ვ. გუნიას მეთაურობით შემდგარ არტისტთა დასს გაუმართა მშვენიერი ვახშამი, რომლის დროსაც წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო. პირველი სადღეგრძელო იყო მისი, ვინც პირველად შეადგინა ქართველ არტისტთა დასი და დრამატული საზოგადოება, რომელიც იცავს ინტერესებს სამშობლო თეატრისას“.



სოხუმში პროფესიული თეატრი ქართული და აფხაზური დასებით შეიქმნა 90 წლის წინათ, 1928 წელს. ამჯერად დასს, ადგილობრივ, გამოცდილ და ნიჭიერ სცენისმოყვარეთ, დაემატა პროფესიონალი მსახიობები. დასის რეჟისორად დაინიშნა თბილისიდან გაგზავნილი საინტერესო მსახიობი და შემოქმედი – დუღუ ძნელაძე, დირექტორად – ვახტანგ (გარიკ) ვაჩნაძე.

საგაზაფხულო სეზონი გაიხსნა 1928 წლის 26 თებერვალს. პირველი პრემიერა შედგა ალექსანდრე შანშიაშვილის პიესით „ჰერეთის გამრები“. დასის პირველ გამგედ დაინიშნა მარიამ ანჩაბაძე.



1979 წლამდე, ანუ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ქართული თეატრი მოღვაწეობდა აფხაზურ თეატრთან ერთტერქვეშ. 1982 წელს ქართული თეატრისთვის გამოიყო დამოუკიდებელი შენობა და სოხუმის თეატრს ეწოდა გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელი. **დასს სათავეში ჩაუდგა ქართული თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი, რეჟისორი გიორგი (გოგი) ქავთარაძე. რომლის შემოქმედება, „ოქროს ხანად“ მიჩნეული, გამოირჩეოდა მკვეთრი ინდივიდუალურობით; მაყურებელს დღემდე ახსოვს 80-იანი წლების**



ქართული თეატრის რეპერტუარი, დღემდე მოჰყვება რალაც განსაკუთრებულისა და მნიშვნელოვანის შეგრძნება.

გიორგი ქავთარაძის პრემიერას „დიდოსტატის მარჯვენა“ კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი – ზვიად გამსახურდია ესწრებოდა; მაშინ ის დისიდენტი იყო და სახალხო არ გამოსულა; თუმცა დარბაზში მყოფმა მაყურებელმა ამის შესახებ იცოდა. მზერა ყველას მისი ლოჟისაკენ გაურბოდა. იმ დღისთვის საგანგებოდ ჩამოსულმა დიდმა რეჟისორმა რობერტ ტურუამ, აფხაზი კოლეგის რეპლიკას – „უმცროსი ძმა წავიდა სახლიდანო“ (გულისხმობდა ქართველთა ცალკე შენობაში გადასვლას), მშვიდად მიუგო – „არა მგონია, ქართველი უმცროსი იყო ამ მიწაზე“.



დავით საყვარელიძე და დიმა ჯაიანი



მაყურებელსა და სოხუმის თეატრის ყველა გულშემმატკივარს კარგად ახსოვს დევნილი თეატრისადმი თანადგომა. უპირველესად, რუსთაველის თეატრის მცირე სცენა, სადაც სოხუმის დასი წლების განმავლობაში მუშაობდა; ასევე, ახმეტელის, სამეფო უბნისა და მარჯანიშვილის თეატრები. ამ ურთულეს პერიოდში თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა დიმა ჯაიანი. კოლექტივის წინაშე იდგა უამრავი პრობლემა, რომელთა შორის უმთავრესი საკუთარი ჭერის არქონა იყო. ბევრი წინააღმდეგობა, აზრთა სხვადასხვაობა, გაუსაძლისი ეკონომიკური პირობები მშობლიურ ქალაქსა და მაყურებელს მონყვეტილი თეატრისათვის გადაუჭრელ პრობლემად არ რჩებოდა. ამ კოლექტივს არ შეუწყვეტია აზროვნება, შემოქმედებითი ცხოვრება. ვერაფერმა დააბრკოლა თეატრის უსაზღვრო ადამიანური რესურსი, ნიჭიერება, შემართება და ენთუზიაზმი.

და, აი, მიმდინარე 2018 წელს, თბილისში, მისამართზე – უზნაძის 68, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობაში გარემონტდა და სოხუმის თეატრს გადაეცა მყუდრო კერა; რაც მთავარია, საკუთარი. 2019 წლის იანვრის ბოლოს სოხუმის დრამატული თეატრი ახალსახლობას იზეიმებს.

მაყურებლისთვის ეს უზარმაზარი მოვლენაა, რადგანაც აფხაზეთის მკვიდრნი ამ თეატრს აღვიქვამთ, როგორც ჩვენი სამშობლო კუთხის ყველაზე დიდ სიმბოლოს, როგორც ჩვენი ყოფის მნიშვნელოვან კულტურულ ატრიბუტს, როგორც რწმენას – ჩვენს კუთხეში ღირსეული დაბრუნების ერთ-ერთ მებაირაღეს.

სოხუმის ქართული თეატრი ხომ არასოდეს ყოფილა მხოლოდ თეატრი ვინრო გაგებით; მას ეკისრებოდა აფხაზეთში ქართველად აღზრდის, ქართველად ყოფნის მისია. სოხუმის თეატრი ყოველთვის იყო აფხაზეთის კულტურის ისტორიაში ქართული ეროვნული იდეალებისა და ზნობრივი ფასეულობების ის თავფურცელი, რომელზეც სიამაყით ვკითხულობდით ღირსეულ სტრიქონებს, ვრწმუნდებოდით სიკეთის უპირობო გამარჯვებაში.

სოხუმის დევნილი თეატრის გადარჩენაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით რობერტ სტურუასა და გია თევზაძეს, გიზო ჟორდანიასა და გოჩა კაპანაძეს, გიორგი გეგეჭკორსა და ედიშერ მაღალაშვილს, ბორის ნიფურისასა და ლერი გაფრინდაშვილს ..., რომლებიც საკუთარი შემოქმედებით გვერდში ედგნენ თეატრს.

მათ შორის, იყო სოხუმის თეატრის ამჟამინდელი სამხატვრო ხელმძღვანელი დავით საყვარელიძე, რომელმაც სოხუმის თეატრში, ჯერ კიდევ 1997 წელს, განახორციელა სპექტაკლი „ვინრო ბილიკი ჩრდილოეთისაკენ“ (დავით საყვარელიძე 2015 წელს უშუალოდ დიმა ჯაიანის რეკომენდაციით დაინიშნა სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად).

თეატრის 90 წლის იუბილეზე საკუთარი, ახალი სცენა უდავოდ დიდი სტიმულია. თეატრის კოლექტივს აქვს მისიაც და შესაძლებლობაც, ხორცი შეასხას მნიშვნელოვანს, წარმოშვას ემოცია, გვარუქოს გრძნობები, მოგვცეს ესთეტიკური ტკობისა და თანაგანცდის საშუალება.

თეატრი ამჟამად მუშაობს კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაზე“, რომელსაც მაყურებელი 2019 წლის მარტის ბოლოს იხილავს. როგორც რეჟისორი გვპირდება, ეს იქნება კლასიკოსის ახლებურად გააზრება, სრულიად ნოვატორული წარმოდგენა. რასაკვირველია, სიახლეები ამით არ ამოინურება.

ჯერჯერობით სამხატვრო ხელმძღვანელი მხოლოდ მიგვანიშნებს, რომ თემატიკა გამრავალფეროვნდება, შეივსება ახალი დრამატურგებით. მაყურებელი საინტერესო წარმოდგენების, ღონისძიებებისა და სპექტაკლების მოლოდინშია. სოხუმის თეატრს ხომ ამისათვის უკვე ყველა პირობა აქვს ტექნიკური თვალსაზრისით, თორემ მაღალი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, საკუთარი ხელწერა მას ყოველთვის ჰქონდა.



ედუარდო დე ფილიპო – „მილიონრები“. რეჟისორი: დავით საყვარელიძე

ილია ჭავჭავაძე – „თეატრი იგივე სკოლაა“



კ. გამსახურდიას სახელობის ქართული თეატრის შენობა სოხუმში

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის 90-წლიანი გზა მდიდარი შემოქმედებითი ტრადიციების საინტერესო ფურცელია. ეს არის დიდებული ეპოქა, რომელსაც თაობები ქმნიდნენ.

არაერთ ცნობილ ხელოვანს აღუნიშნავს და, მათ შორის, კრიტიკოს ეთერ გუგუშვილს, რომ სოხუმის თეატრი განსხვავებული ესთეტიკის თეატრია, რომელიც ვერ თავსდება ე.წ. „პროვინციული“ თეატრის ჩარჩოებში.

„სოხუმის ქართული თეატრი არ იყო მარტო თეატრი; ეს იყო ქართული ხელოვნებისა და კულტურის ციხესიმაგრე და ჩვენ ვიყავით მეციხოვნე: ბევრ ალყას გავუძელით, ბევრ შემოტევას, მაგრამ ვიდექით ამაყად, როგორც შეურყეველი ბურჯი“.

გოგი ქავთარაძე

„მუდამ აღტაცებული ვარ თქვენი მაღალი ხელოვნებით, თქვენი სიღრმით“.

მედეა ჩახავა

„ბედნიერი თეატრი იყო მუდამ სოხუმის ქართული თეატრი. სისხლსავსე იყო მისი ცხოვრება – იდგმებოდა შესანიშნავი სპექტაკლები; არ მოკლებია იმის შეგრძნება, რომ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს ღირსეულად. ამიტომ იყო ბედნიერი თეატრი“.

ნათელა ურუშაძე

დღეს თეატრში მოღვაწეობენ: ლიანა მიქაშავიძე, ლილი და ნანა ხურთიები, მერაბ ყოლბაია, მარინა სოლომონია, ჯული პაკელიანი, ლონდა კაცია, ლეილა შარაბიძე, ნინო შავგულიძე, კახა შარაბიძე, სანათა ძაძამია, ნუგზარ და ნიკა წერედიანები, გიორგი გასვიანი, პაატა ვახტანგიშვილი, ბადრი ბეგალიშვილი, ბესო ქარჩავა, დათო ბერაძე, ვერიკო კალანდია, ედემ ხვიჩია, ეკა არჩაია.



ლიანა მიქაშავიძე



ლონდა კაცია



ლეილა კალანდია



ჯული პაკელიანი



„იაკიში და პუპჩე“. სპექტაკლის დასრულების შემდეგ. რეჟისორი – დავით საყვარელიძე



სოხუმი. 80-იანი წლები



თინა ბაბლიძე



ლილი ხურითი და დიმა ჯვანი



მიხეილ ჩუბინიძე

„თამაში მხოლოდ სცენაზე შეიძლება; სოხუმის თეატრის ბრწყინვალე სცენიდან მივხვდი, მივხვდი, რომ არაფერი შორს არაა. არც ჭეშმარიტება და არც უფალი; მით უმეტეს, შავი ზღვა; შავი ზღვა ახლოა; აი, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთმანეთთან ახლოს.“
ჯანსუღ ჩარკვიანი



„ახალგაზრდა მასწავლებელი“. მარცხნიდან: ნიკოლოზ მიქაშვიძე, მიხეილ ჩუბინიძე, ირინა დონაური, სალომე ყანჩელი, ოთარ კობერიძე, ნორა ყიფიანი, ვიქტორ ნინიძე, ელენე საყვარელიძე, სოსო კალანდაძე, ლეო ჭეღია, თინა ბოლქვაძე, შუშუ სანაძე.
XX ს.-ის 50-იანი წლები



ლორინა პაპუაშვილი და გიორგი რატიანი



სოხუმელი სცენისმოყვარენი. I რიგი: პირველი – ძუკუ ლოლუა, II რიგი: მეორე – ნ. ანჩაბაძე (ორგანიზატორი), III რიგი: მესამე – სანდრო სანაძე (დასის ხელმძღვანელი). 1908 წ.



ნანა ხურითი



მარინა სოლომონია



სოხუმი. 70-იანი წლები



მერაბ ყოლბაია და ნინო შავგულიძე

„სხვა საქართველო სად არის“. რეჟისორი – მერაბ ყოლბაია



XX საუკუნის 70-იანი წლები

ლეონიდ ზოხინის "ვაჩშაველი მელოდიები" აფხაზი სოფა აგუმაასა და ქათველი სეხგო ჰაჭკოხიას მონაწილეობით



დავით კობახიძე

თეატრალურებთან შეხვედრის დროს, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, ხელოვნებათმცოდნე ნიკა წულუკიძემ თქვა: დროა, თეატრმა დატოვოს სცენა და გავიდეს "გარეთ", ხოლო მაყურებელმა პარტნირიდან სხვა სივრცეში გადაინაცვლოს (მხედველობაში ჰქონდა თუმანიშვილის თეატრის ახალი სპექტაკლი, რომელიც დაიდგა სასტუმროს ნომერში).

მართლაც, XXI ს.-ის თეატრი არც თუ იშვიათად მიმართავს თამამ ექსპერიმენტებს. მაგრამ გასული საუკუნის საბჭოთა პერიოდის თეატრისთვის წარმოუდგენელი თუ არა, ცოტა ძნელად განსახორციელებელი მაინც ჩანდა მსგავსი გაბედული, ნოვატორული ნაბიჯი. ამიტომ სოხუმის ქართულ თეატრში 1975 წელს მთავარი რეჟისორის, დავით კობახიძის მიერ დადგმული ლეონიდ ზოხინის "ვარშაველი მელოდიები", სადაც მოქმედება სცენიდან ვესტიბიულშია გადატანილი, იმდროინდელ თეატრალურ სინამდვილეში სრულიად თამამი სიტყვა იყო. წესით, სპექტაკლს აფიოტაჟი თუ არა, დიდი ცნობისმოყვარეობა უნდა გამოეწვია თეატრალურებში, მაგრამ მაშინდელი პრესა მხოლოდ ძუნწი ინფორმაციით შემოიფარგლა (გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა ზოგად-მიმოხილვითი წერილი სოხუმის თეატრალურ ცხოვრებაზე, სადაც დადებითად შეფასდა ქართული დასის მუშაობაც).

თუმცა მაყურებელმა "ვარშაველი მელოდიები" მიიღო დიდი აღფრთოვანებით. სრული ანშლაგით მიდიოდა ორკაციანი სპექტაკლი, სადაც მთავარ როლებს ასრულებდნენ აფხაზური და ქართული დასის წამყვანი მსახიობები, აფხაზი სოფა აგუმაა და ქათველი სერგო პაჭკორია. ბატონი დავით კობახიძე დღესაც მადლიერებით იხსენებს, როგორ იდგმებოდა "ვარშაველი მელოდიები", გვიამბობს იმ ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე, რომელიც ორ მოძმე ხალხს აკავშირებდა ერთმანეთთან. ნომრის გამოცემამდე ცოტა ხნით ადრე "იალქანი" დაუკავშირდა საზოგადოებრივი არხის ერთ-ერთ მენეჯერს, რომელიც დაგვირდა, რომ უახლოეს ხანებში ტელეარქივში მოიძიებს "ვარშაველი მელოდიების" ჩანაწერს. ეს შესაძლებელს გახდის, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ პოეტური და ლამაზი სპექტაკლი, დავუბრუნდეთ დროს, როცა ქართველებსა და აფხაზებს სცენაც გვაერთიანებდა.

სოხუმი ინტელიგენტური ქალაქი იყო

დავით კობახიძე

სოხუმის თეატრში რეჟისორად სამი წელი ვიმუშავე. ეს იყო ჩემი რეჟისორული მოღვაწეობის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი.

ბევრჯერ მითქვამს, თბილისის გარეთ, პერიფერიაში ასეთი დონის თეატრი არ იყო.

ცნობილია, სიახლეები რეგიონებამდე გვიან აღწევს (ყოველ შემთხვევაში, ინტერნეტის ეპოქამდე ასე იყო). მხოლოდ სოხუმის თეატრს შეეძლო, მეორე დღესვე აეტაცა დედაქალაქში თავაჩენილი ინიციატივა. ეს თეატრალური დასი, სხვებისგან განსხვავებით, ერთი უპირატესობითაც გამოირჩეოდა – მისი მსახიობები სუფთა ლიტერატურული, გამართული ქართულით მეტყველებდნენ. სხვათა შორის, სოხუმი ჩემთვის თეატრალურთან ერთად ინტელიგენტური ქალაქიც იყო. ეს სოხუმელებს ჩაცმულობაზეც ეტყობოდათ. უმნიშვნელო ნოვაციასაც პირველად ეს პატარა ზღვისპირა ქალაქი ისრუტავდა და მერე უკვე სოხუმისთვის მკვიდრდებოდა.

განა შემთხვევითია, სოხუმსა და სოხუმის თეატრს განსაკუთრებული მიზიდულობა რომ ჰქონდა? ან

ის, რომ საუკეთესო მსახიობები თბილისიდან დიდი სიამოვნებით თანხმდებოდნენ, ემუშავათ ქართულ დასში. სოხუმის თეატრში მოღვაწეობდნენ: ოთარ კობერიძე, ბუხუტი ზაქარიაძე, მარინე თბილელი, თამარ ჭავჭავაძე, ირინა დონაური, სალომე ყანჩელი, თენგიზ არჩვაზე, შოთა გაბელაია, ჯემალ მონიავა, ბორის წიფურია, გივი ბერიკაშვილი, მედეა ბიბილეიშვილი, ლეო ფილფანი, გურანდა გაბუნია, ზურაბ ლაფერაძე, ვიქტორ ნინიძე, რეზო თავართქილაძე და სხვები. მართალია, საბოლოოდ ისინი მაინც დედაქალაქში ბრუნდებოდნენ, მაგრამ წარუშლელ კვალს ტოვებდნენ სოხუმზე, აყალიბებდნენ სოხუმის თეატრალური საზოგადოების მაღალ კულტურას.

სოხუმში სპექტაკლებს დგამდნენ ცნობილი რეჟისორები: გიორგი ყურული, სერგო ჭელიძე,



სოხუმის დრამატული თეატრის შენობა



ვასო კუშიტაშვილი, ლერი პაქსაშვილი, ანზორ ქუთათელაძე, გიზო ყორდანი, მედეა კუჭუხიძე, დიმიტრი ალექსიძე, დავით ცისკარიშვილი იური კაკულია და სხვები. იყო ერთი გარემოებაც: თბილისის თეატრები გასტროლებით ხშირად სტუმრობდნენ სოხუმს, რაც კიდევ უფრო ხვედდა სოხუმელ მსახიობთა და მაცურებელთა გემოვნებას.



ელენა – სოფა აგუმა

შესანიშნავი იყო სოხუმის თეატრის შენობაც, გარე ფასადიც, შიდა ინტერიერიც. როგორც მითხრეს, სოხუმში თეატრის აშენების იდეა თვით ბელადს მოუწონებია. მოლოტოვთან მიდით, ის დაგაკვალთანებო; მას ბელორუსიაში ეგულებოდა სამაგალითო სამშენებლო ტრესტი, რომელიც დაკომპლექტებული ყოფილა საუკეთესო ინჟინრებით; უბრძანებია სტალინს, რადგან სოხუმში ითვლება, ასე ვთქვათ, „გეოგრაფიულ ფანჯრად“, ისეთი თეატრი უნდა აშენდეს, რომ იქ ჩასული სტუმარი თუ ნებისმიერი სხვა მნახველი მოიხიბლოს.

სცენიდან ვესტიბიულში გადატანილი რეპერტიუნი

როცა სოხუმში სტუმრად მყოფმა (მაშინ ზუგდიდის თეატრში ვმუშაობდი მთავარ რეჟისორად) პირველად ვნახე სოხუმელთა წარმოდგენა (ქართული დასის სპექტაკლი „წმინდანები ჯოჯოხეთში“), მოვიხიბლე თეატრის შენობით, მარმარილოს გაშლილი, დიდებული თეთრი კიბეებითა და სვეტებით, ვესტიბიულით, იქვე დამონტაჟებული რიკულებიანი აივნით. პირველად მაშინ გავიფიქრე, როგორ შეიძლება, რეჟისორმა გამოიყენოს ფოიე, დაინტერესოს მაცურებელი მისი შიდა პერიმეტრის სხვადასხვა გამორჩეული დეტალით.

გასული საუკუნის 70-იან წლებში სოხუმის თეატრში მთავარ რეჟისორად მიმინვიეს; კითხვა ისევ არ მასვენებდა: როგორ შეიძლებოდა ვესტიბიულის სპექტაკლისთვის „ათვისება“? ფოიესთან დაკავშირებით ჩემი ასეთი ინტერესი შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

– რას ათვალისებ? – შემეკითხა ერთხელ თეატრის დირექტორი ალექსი არგუნი, როცა ფოიეში დამინახა.

ვუპასუხე, რასაც ვფიქრობდი. მომეჩვენა, თითქოს ჩემი ნათქვამისთვის მაშინ ყურადღება არ მიუქცევია. რამდენიმე ხნის შემდეგ კი კმაყოფილი სახით შემოვიდა ჩემთან კაბინეტში, თქვენი იდეა უდავოდ საინტერესოდ მიმაჩნიაო.

ეს იყო ბიძგი, ბოლოს და ბოლოს, განმეხორციელებინა ჩემი ჩანაფიქრი. და მაინც: რა შეიძლებოდა, დადგმულიყო ფოიეში? თითქოს გონება გამინათდა. მომაგონდა ლეონიდ ზორინის „ვარშავული მელოდები“ (მოსკოვში მქონდა ნანახი, მიხეილ ულიანოვისა და იულია ბორისოვას შესრულებით).

იმჟამად ქართული დასი მუშაობდა „მოკვეთილზე“ (რეჟისორი ბიჭიკო ტორონჯაძე). რატომღაც „გამოთავისუფლებული“ იყო მსახიობი სერგო პაჭკორია, რომლის სამსახიობო შესაძლებლობები ძალზე მეიმედებოდა და, ამასთან, ჩემი აზრით, ის თავისი ვიზუალთაც და შინაგანი ექსპრესიულობითაც უსუსტად ესადაგებოდა „ვარშავული მელოდების“ პერსონაჟს.

ქალის როლისთვის მოვიაზრებდი სოფა აგუმას, აფხაზური დასის ერთ-ერთ წამყვან მსახიობს (სხვათა შორის, აფხაზურ დასს ძალზე ნიჭიერი მსახიობები ჰყავდა). ყოველთვის მსურდა, სოფასთან მემუშავა; ვთვლიდი, რომ ის ძალიან მრავალმხრივი და გონიერი მსახიობი იყო. ჩემდა გასახარად, იმხანად სოფაც არ იყო დაკავებული.

უპირველესად, ჩემი მოსაზრება გავაცანი ალექსი არგუნს. დაინტერესდა, ქალს ვინ ითამაშებსო? როცა სოფა აგუმა დავუსახელე, ძალიან გაუხარდა. მე ეჭვი გამოვთქვი, ვაითუ, არ ისურვოს თამაში-მეთქი. მან დამამშვიდა, აბა, ერთი გაბედოს უარიო!

სპექტაკლში მთავარი, წამყვანი



სცენა სპექტაკლიდან „ვარშავული მელოდები“



ვიქტორი – სერგო პაჭკორია

ფიგურაა ქალი, ეროვნებით პოლონელი, რომლისთვისაც რუსული არამშობლიურია და ამიტომაც ამ ენაზე ის აქცენტით საუბრობს; სოფაც ქართულად ძალზე საინტერესო აქცენტით მეტყველებდა. არც ქართველებიდან მეგულებოდა ვინმე, ამ როლს მასავით წარმატებით რომ გაართმევდა თავს. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ქართულ დასში ნიჭიერი მსახიობი ქალები არ იყვნენ. უბრალოდ, სოფა როგორც ლაპარაკობდა ქართულად, ჩემს პერსონაჟს ზუსტად ისე უნდა ემეტყველა, „უცხოელის“ ბუნებრივი აქცენტით (აქცენტი ხომ მახვილის არასწორი ხმარებაა და არა დამახინჯებული ლაპარაკი ან ენის არცოდნა).

სოფას იმდენად მოეწონა პერსონაჟი, მთელი არსებით გაითავისა იგი. მან გამიმხილა, ტელევიზიით შეგნებულად არ ვნახე „ვარშავული მელოდები“, გავლენებისგან თავისუფალი რომ ვყოფილიყავიო.

მართლაც, იულია ბორისოვასგან განსხვავებით, სოფას პერსონაჟი

იყო სადა, უბრალო, შინაგანად მდიდარი; კაცს გააოგნებდა მისი ემოციის უეცარი აფეთქება.

სოფა, რომელსაც უფრო და უფრო მოსწონდა როლი, აღფრთოვანებული იყო რეპეტიციებით; მახსოვს, აფხაზებიც როგორი გახარებულები იყვნენ; ამკარა იყო, ვმუშაობდით არაორდინალურ სპექტაკლზე; განსხვავებული ეროვნების მსახიობთა დაკავებამ, სცენიდან ფოიეში გადატანილმა მოქმედებამ თავიდანვე ყველას ყურადღება მიიქცია.


როგორც სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და ამ ჩანაფიქრის ავტორი, საკუთარ პასუხისმგებლობას ვაცნობიერებდი: უნდა გვეცადა, ექსპერიმენტს გაემართლებინა და სპექტაკლიც წარმატებული ყოფილიყო.

თეატრალური სიურპრიზები

სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაც ჩემს თავზე ავიღე. ისე, დიდი ჯაფა კოსტიუმებისთვის არ მჭირდებოდა – ერთი კაბა სოფასთვის, ერთი შინელიც – სერგოსთვის.

მთავარი სარისკო საქმე წინ იყო – ფოიე უნდა გადაკეთებულიყო. დირექტორმა მითხრა, სხვა გზა არ გაქვს, ვა-ზანკზე უნდა ნახვიდეო! მართლაც, დიდი რისკი იყო, ვესტიბიული, არც მეტი, არც ნაკლები, ერთდროულად სცენადაც და მასურებელთა დარბაზადაც უნდა ქცეულიყო (ახლო მანძილიდან ხომ თვალშისაცემია ყალბი დეკორაცია).

ნამდვილი იყო კიბეები, მარმარილოს სვეტები, რიკულებიანი აივანი (სადაც დაიდგმებოდა მაგიდა). კოლონებზე რკინის ქამრებით უნდა დაკიდებულიყო ჩარჩოები პიკასოს ნახატებით (ერთი ეპიზოდი მუზეუმში გადავიტანე). კონცერტმაისტერს – მანანა გეგეჭკორს მთელი სპექტაკლის მსვლელობისას პოლონელი კომპოზიტორის – შოპენის ულამაზესი ნაწარმოებები უნდა შეესრულებინა). მაგრამ იქ არ იდგა როიალი. რა უნდა ქნას კონცერტმაისტერმა როიალის გარეშე?



სცენა სპექტაკლიდან „ვარშავული მელოდები“

აღრე მქონდა ნანახი და გამახსენდა: სცენის სიღრმეში, კულისებში იდგა ერთი უზარმაზარი, უძველესი როიალი. თეატრი რომ აშენდა, ვგონებ, იმდროინდელი საჩუქარი იყო; სქელი ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული და უკვე დიდი ხანი იყო, აღარავის მოგონებია მისი არსებობა. რეკვიზიტორს ვთხოვე, მანახე, როგორია, როგორი ჟღერადობა აქვს-მეთქი. გადახადეს გადასაფარებელი, გაასუფთავეს. არაჩვეულებრივი, შავი ფერის მდიდრული საკონცერტო როიალი აღმოჩნდა. კლავიშები მოვსინჯე – აშლილი იყო.

ყველაფერი მოვასხენე არგუნს. მახსოვს მისი მყისიერი რეაქცია: სცენის რვა მუშას სთხოვა, როიალი ფოიეში გადმოეტანათ.

მართლაც, მუშებმა როიალი ჯერ კულისებიდან სცენაზე გამოაგორეს; მერე კი, ინსტრუმენტი სცენიდან ავანსცენასა და პარტერს შორის ორკესტრისთვის განკუთვნილ ორმოზე გადებულ ფიცრულზე რომ უნდა გადმოეტარებინათ, ვილაცამ დაიძახა, დარბაზის კარებში არ გაეტევაო. გავზომეთ, მართლაც ასე იყო. გავიფიქრე, რას ვიზამთ, სხვა როიალს დავდგამთ-მეთქი. გული კი ძლიერ დამწყდა.

მეორე დღეს მივედი თეატრში და გავოცდი: აგერ, არ დგას



ჩემი როიალი! გაკვირვებული ვიხედები აქეთ-იქით, ვკითხულობ, ეს საოცრება როგორ მოხდა? მუშები მეუბნებიან, თქვენ რომ წადით, დირექტორმა სატვირთო მანქანით ჯარისკაცები მოიყვანა, როიალი უკანა კარებით ქუჩაში გაატანინა, მერე კი ყველამ ერთად ცენტრალური შემოსასვლელიდან ვესტიბიულამდე მოვალნიეთო; ინსტრუმენტთან უკვე როიალის ამწყობიც მუშაობდა.

მუშებთან საუბრის დროს ფოიეში დირექტორი შემოვიდა, პირზე ემპაკური ღიმილი დასთამაშებდა. მე, რა თქმა უნდა, გულითადი მადლობა გადავუხადე. მან დაუდევრად ხელი აიქნია, სალაპარაკოდ არც ღირსო.

უეცრად შემეკითხა: სად იქნება მაცურებელი? ცოტა გავცეცხლდი, ეს რა კითხვაა-მეთქი? სინამდვილეში, თურმე იმდენად გავერთე მუშაობით, ამაზე არც დავფიქრებულვარ. მივიხედე სავარაუდო პარტერისკენ და რამდენიმე სკამი გადავითვალე.

- ეს არ ეყოფა, ასე არ გამოვა, აქ კლუბი არა გვაქვს! - ჩაილაპარაკა დირექტორმა.

გამიხარდა. ვიცოდი, რაღაცას აუცილებლად მოიფიქრებდა.


მართლაც, მეორე დღეს თეატრის ვესტიბიულში შესულს სასიამოვნო სანახაობა დამხვდა - მაცურებლისთვის გათვალისწინებული ფართობი სკამებით იყო სავსე! სუნთქვა შემეკრა. როდის მოასწარი, გაცეცხებით ვკითხე. მისი დავალებით სცენის მუშებს თურმე მთელი ღამე უშრომიათ; თეატრის მეორე იარუსიდან ერთიანად აუყრიათ ძვირფას მენამულ ხავერდში ჩასმული, კომფორტული სავარძლები, ფოიეში ჩაუნიკნიკებიათ და, აი, ასე სახელდახელო პარტერიც გაუმზადებიათ.

მაგრამ სკამების განლაგებას რომ დავაკვირდი, იძულებული გავხდი, მცირე კორექტირება შემეტანა.

- კარგია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, - ვთქვი მე, - ყველა სკამი თანაბარ სიმაღლეზეა.

სიტყვა არ შემოუბრუნებია. ეს პრობლემაც მეორე დღესვე წარმატებით გადაჭრა: რიგები თანდათან აამაღლებინა.*

აი, ასე იდგებოდა „ვარშავული მელოდიები“; ამდენი წლის შემდეგაც თამამად ვამბობ: ვემზადებოდით პრემიერისთვის, ყველანი ვლელავდით, მაგრამ არც მანამდე და არც მაშინ არავის დასცდენია სიტყვა ქართველობა-აფხაზობაზე! იყო მხოლოდ სცენის, თეატრისა და ერთმანეთის სიყვარული.



ელენა - სოფა აგუმაა

თუ ძმები ვართ, ერთად ვიყოთ!

ქართული და აფხაზური თეატრების გაყოფის შემდეგ (ქართულმა დასმა 1979 წელს დატოვა თეატრი და სხვა შენობაში გადავიდა), სოხუმში რომ ჩავედი, ერთ-ერთ სუფრაზე ბატონმა ბორის ადლეიბამ** ბრძანა:

- განა რა არის იმაში ცუდი, რომ გავიყავით? ძმებიც ხომ იყოფიან!

ამ სიტყვებზე ფეხზე წამოდგა აფხაზური დასის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი, აკაკი ხორავას ყოფილი სტუდენტი ნურბეი კამკია:

- შეიძლება, ბატონო ბორის, რაღაც გითხრათ?

საუბარი ისევ რუსულად გააგრძელა (თუმცა ქართულიც შესანიშნავად იცოდა):

- მე კი ეს არ მომწონს!

ყველა გაისუსა, ამას არავინ ელოდა. ნურბეის ხმა ახლაც ჩამესმის:

- თუ ძმები ვართ და ერთმანეთი გვიყვარს, კვლავაც ერთად ვყოფილიყავით!

ადლეიბამ დუმილი არჩია: არაფერი უპასუხა.



სცენა სპექტაკლიდან „ვარშავული მელოდიები“

* - სავარძლებისთვის შესაბამისი ფიცრის ნაჭრები „სოხუმხელსაწყოს“ დირექტორმა ალუ გამახარიაშვილმა უსასყიდლოდ დაგვიმზადა. ** - აფხაზეთის ა/რ პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.



მარიამ კუკავა

"ეს საექტაკლი არ ყოფილა" ასე ჰქვია სალომე კუკავას მხატვრულ ნააზრავს, რომელშიც რეალური და გამონათქვამი ორგანულადაა შერწყმული. ავტორი ოსტატურად იყოლივას გიჟთხველს და თავისი საგყაროს თანაზიარს ხდის. გასახარია, რომ "ილაქნის" ავტორთა რიგავს შვევატა კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა საგურზაყანოდან.

სალომე ამაგად ილიაუნის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტიტს IV კურსის სტუდენტი.

ეს სჰექტაკლი არ ყოფილა

მარიამ კუკავა

ყველაფერი დაიწყო მაშინ, როცა სოხუმში ვიყავი არდადეგებზე. აფხაზეთში წასვლას სულმოუთმენლად ველოდები ხოლმე... იქ დავიბადე და გავიზარდე, სკოლაც იქ დავამთავრე. შემდეგ თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. ამ ქალაქს ვერ ვეგუები; ალბათ, იმიტომ, რომ აქ ზღვა არ არის, ან იმიტომ, რომ ის ხმაურიანია. ერთი რამ ზუსტად ვიცი – თბილისი სოხუმს ვერასდროს შემეცვლის. ხანდახან ისე ძლიერ მენატრება იქაურობა, რომ თვალებს ვხუჭავ და წარმოვიდგენ, როგორ მივრბივარ ქვიშიან სანაპიროზე, როგორ ჩამესმის ტალღების ხმა. ესეც რომ აღარ მშველის, ვინცებ დღეების დათვლას.

ეს არდადეგები ყველაზე გამორჩეული იყო. პირველად მომეცა იმედი, იმედი იმისა, რომ ჯერ კიდეც ყველაფერი დაკარგული არ არის.

სოხუმში ჩემს ქართველ მეგობრებთან ჩავდივარ ხოლმე. მათთან გატარებული დრო არის უაზრო ხეტიალის, გაუთავებელი სიცილისა და მხიარულების დღეები. ამასთან, ყოველთვის დანაშაულის გრძობა მიპყრობს ხოლმე ჩემი ბედნიერების გამო იმ ადამიანების წინაშე, რომლებსაც ოცნებად აქვთ ქცეული სოხუმის ნახვა...

იმ დღეს, როცა ეს ყველაფერი დაიწყო, ახალ ათონში უნდა წავსულიყავით, მაგრამ გეგმები შეიცვალა – ჩემს მეგობრებს არ ეცალათ. სხვა გზა არ იყო, სახლში უნდა დავრჩენილიყავი; არადა, საოცრად თბილი სექტემბრის დღე იყო. ძალიან ბევრი ვინუნუნე ამის გამო და ჩემმა მეგობარმა ლიკამ შემომთავაზა, წავსულიყავი თანამედროვე აფხაზი მხატვრების გამოფენაზე; ის ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის ფოიეში იმართებოდა და დამპირდა, რომ, როგორც კი მორჩებოდა თავის საქმეებს, იქ გამომივილიდა.

ჭანბას თეატრი მუჰაჯირების სანაპიროზეა*. იქამდე არც ისე შორია. დიდ საგამოფენო სივრცეში ძალიან ცოტა ხალხი იყო. ისიც, ძირითადად, მხატვრები; საკუთარი ნამუშევრების აღწერით იყვნენ გართულნი.

ნახატების თვალყურებით იმდენად გავერთე, რომ სულ გადამაგინწყდა იქ მყოფთა არსებობა, სანამ ვილაცის მოახლოება არ ვიგრძენი. მოვტრიალდი. ჩემს წინ იდგა მალალი, შავგვრემანი, სიმპათიური ბიჭი, ასე, 24-26 წლის. ორივე ხელში ეჭირა თითო-თითო ჭიქა, შამპანურით სავსე. გაღიმებულმა გამომიწოდა ბოკალი: – ипшзоупн ус ауми? – და ნახატს მიაჩერდა.

– უკაცრავად, არ მესმის კარგად აფხაზური! – ვუპასუხე რუსულად. ოდნავ შეცბა, დაჟინებული მზერა მომაპყრო და მერე რუსულად განაგრძო: – მე ვიკითხე, ხომ ლამაზია ეს ნახატი?.. აშკარად ყველაზე გამორჩეულია, ფერების შეხამებას დაუკვირდით, საოცარი სინთეზია; შუქ-ჩრდილების ასეთი ოსტატური თამაში, დიდი ხანია, არ მინახავს; რემბრანდტის ხატვის მანერას ჰგავს; რას იტყვი?

საუბრისას თვალი არ მოუშორებია ტილოსთვის, აღფრთოვანებით საუბრობდა. ცალი ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი, მეორეთი შამპანურის ჭიქა ეჭირა. საოცრად მეტყველი და თბილი თვალები ჰქონდა. – შუქ-ჩრდილების თამაში ოსტატურად რომ არის გადმოცემული, ამაში ნამდვილად გეთანხმებით; ფერებზე რა გითხრათ; ამ ნახატში არ ქმნიან ფერები ერთ მთლიანობას; კომპოზიციის სრულად აღქმაც მიჭირს. ტილო თითქოს დანანევრებულია. შეიძლება, მხატვარს სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა. იქნებ, მე ვცდები. სიმართლე გითხრათ, მხატვრობაში დილეტანტი ვარ; შეიძლება, ეს ჩემი უვიცობიდან გამომდინარე დავასკვენი.

– მე კი პირიქით მგონია... რაიმე შეხება გაქვთ ხელოვნებასთან? იცით, რაც შემოხვედით, იმის შემდეგ გაკვირდებით; თქვენ ჩვეულებრივ დამთვალეირებელს ნამდვილად არ ჰგავხართ. თქვენს გარეგნობასა და მანერებში არის რაღაც ისეთი, რაც მიბიძგებს, ვიფიქრო, რომ „უვიცი“ ნამდვილად არა ხართ! პასუხის მოლოდინში ზუსტად ისე მიმზერდა, როგორც ნახატს რამდენიმე წამის



* – ომამდელი რუსთაველის გამზირი სანაპიროს გასწვრივ.



ნინ.

საოცრად თბილი და სასიამოვნო ტემპრის ხმა ჰქონდა, ისეთი, სულ რომ გინდა უსმინო მუსიკასავით, მუსიკასავით, რომელიც გამშვიდებს.

გამელიმა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობდით.

– მხატვრობასთან არაფერი მაკავშირებს; უბრალოდ, ის გამორჩეულად მიყვარს. ასე ვთქვათ, მენმარება, ვიზუალურად შევიგრძნო სილამაზე. ისე, თეატრის მსახიობი ვარ.

ეს რომ ვუთხარი, სახეზე გაკვირვებისა და სიხარულის მსგავსი რაღაც შევნიშნე. მერე თვითონ განაგრძო:

– მე დრამის რეჟისორი ვარ... ამ თეატრში ვდგამ სპექტაკლებს... ზეგ პრემიერა მაქვს... და ძალიან გამახარებთ, თუ მობრძანდებით... აუცილებლად უნდა მოხვიდეთ... დამპირდით, რომ მოხვალთ... რეჟისორის სპეციალური სტუმრის სტატუსი გექნებათ. უბრალოდ, ჩემი სახელი ახსენეთ და მორჩა. მაშ, ასე, მპირდებით?

დაჟინებულ თხოვნაზე უარის თქმა შეუძლებელი იყო.

– რა თქმა უნდა, მოვალ! – ჩემი პასუხით კმაყოფილი დარჩა.

– იცით რა, მე მგონი, აქ ცოტა არ იყოს, დახუთულია, სანაპიროზე ხომ არ გაგვესეირნა?

– დიდი სიამოვნებით, ისედაც ვაპირებდი გასეირნებას, – ვუპასუხე მე.

მასხოვს, რა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ამ უცნობ ადამიანთან საუბარი.

ვსაუბრობდით თეატრზე, ჩვენს საყვარელ დრამატურგებზე, იმ ახალ მიმდინარეობებზე, დღეს დიდი პოპულარობით რომ სარგებლობს ევროპაში. ჩვენი გემოვნება ერთმანეთს დაემთხვა. თურმე, ორივეს ძალიან მოგვწონდა პინა ბაუმის, საშა ვალცის, პიტერ ბრუკის სპექტაკლები. დროისა და სივრცის შეგრძნება დაკვარგე. თითქოს ყველაფერი გაჩერდა. საოცრად კარგად ვგრძნობდი თავს. მგონი, ისიც.

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, ოღონდ არა ის უხერხული სიჩუმე, როდესაც არ იცი, რა თქვა. ეს სხვა რამ იყო. ამის სიტყვებით გადმოცემა და ახსნა შეუძლებელია.

უცებ სიცილი მომესმა. მიყურებდა და იცინოდა.

– იცით, რა არის ყველაზე საინტერესო? უკვე მესამე საათია, ვსაუბრობთ და ერთმანეთის სახელებიც კი არ ვიცით?!

გაჩერდა და ხელი გამომიწოდა:

– მე მქვია სანდრო...

– მარიამი...

– ძალიან სასიამოვნოა... თუ, როგორ ამბობენ მსგავს სიტუაციაში? – და ისევ გაეცინა.

მეც სიცილი ამიტყდა. ქვიშიან სანაპიროზე ფეხშიშველა მივსეირნობდით და უაზროდ ვიცინოდით. პირველად ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, რომ სრულიად უცხო ადამიანთან ასე კარგად ვგრძნობდი თავს. კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით.

მერე ლიკამ მომწერა, თეატრთან გელოდებიო. სანდროს ვუთხარი, რომ უნდა წავსულიყავი. სანაპიროდან ამოვედით. უცებ მომიტრიალდა და მკითხა:

– იცი, სოხუმში არასდროს მინახიხარ... აქ არ ცხოვრობ? სად გაქვს თეატრალური დამთავრებული?

– თბილისში ვცხოვრობ, თეატრალურიც იქ დავამთავრე.

თვალეში ვუყურებდით ერთმანეთს. წამებში გამომეტყველება შეეცვალა, თითქოს რაღაც ძალიან არასასიამოვნო ამბავი ვუთხარი. გაქვავდა. შემდეგ ფიქრებიდან გამოერკვია და მითხრა:

– აჰაა, ახლა გასაგებია, რატომ არასდროს არ შემხვედრიხართ ჩემს ქალაქში!

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ეს ფრაზა სრულიად სხვა ადამიანმა მითხრა. დარჩენილი გზა არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. ძალიან ცივად დამემშვიდობა. გული დამწყდა. თუმცა ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ასეთ დამოკიდებულებას მიჩვეული ვიყავი, მაგრამ ადრე გული მაინც არ მწყებოდა...

ლიკა შორიდან ხელს მიქნევდა. უნდა გაგვესეირნა. უარი ვუთხარი. სახლისკენ რომ მივდიოდით, მკითხა:

– ამ ბიჭს საიდან იცნობ?

– დღეს გავიცანი გამოფენაზე.

– მართლა? და იცის, რომ ქართველი ხარ?

– თვითონ მიხვდა.

– მერე?

– მერე არაფერი, ზეგ პრემიერა აქვს და დამპატიყა. თუმცა ეს მანამდე იყო, სანამ თბილისი ვუხსენე.

თავიდანვე რომ სცოდნოდა, ალბათ, არ დამპატიყებდა თავის წარმოდგენაზე; მით უმეტეს, არც სასეირნოდ... შენ იცნობ? საოცრად საინტერესო ადამიანად მეჩვენა.





– არ ვიცნობ, უბრალოდ, ვიცი, რომ სანდრო ინალ-იფაა. მის ძმას ვიცნობ, მხატვარია. მისი ბიძაც და მამაც ომობდნენ. ქართველებს ვერ იტანენ!.. გულში რაღაც მეორედ ჩამწყდა... სანდროზე საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. სახლამდე დუმილი არც ერთს არ დაგვირღვევია.

მთელი ღამე ფორიაქში გავატენე. ჩემს ისედაც არეულ ფიქრებს კინოფირივით წინ და უკან ვახვევდი. ვისხენებდი ჩვენი საუბრის თითოეულ დეტალს, თითოეულ რეპლიკას, ყოველ მოძრაობას. გამთენიისას რეალობა და გამონაგონი ერთმანეთში აიხლართა... ეს წყეული ომი... აჩრდილივით დამყვება უკან და ყველაფერს მიმნარებს!..

მეორე დღეც დაუსრულებელ ფიქრში გავატარე. ძალიან მიჭირდა გადანყვეტილების მიღება. ლიკა მეუბნებდა, რომ არ ღირდა სპექტაკლზე წასვლა. მე კი ის აზრი არ მაძლევდა მოსვენებას, რომ თუ ხვალ არ წავიდოდი პრემიერაზე, მთელი ცხოვრება ვინანებდი. ბოლოს მაინც წასვლა გადაწყვიტე. მახსოვს, ამ გადანყვეტილებამ სიმშვიდე მომგვარა. უცებ ყველაფერი გამარტივდა. იმ ღამეს მშვიდად მეძინა.

დილით ბილეთის საყიდლად წავედი. არ ვიცოდი, ე. წ. რეჟისორის სპეციალური სტუმრის სტატუსით ისევ ვსარგებლობდი თუ არა. რაც უფრო ახლოვდებოდა თეატრში წასვლის დრო, უფრო ვლელავდი.

გზაში საშინლად მიკანკალებდა ხელ-ფეხი. მეშინოდა... მეშინოდა იმედების გაცრუების...

პარტერში ბილეთით განკუთვნილ ადგილზე დავეჯექი. სპექტაკლი აფხაზურ ენაზე იყო. ტექსტი კარგად არ მესმოდა. მოქმედებებით ვხვდებოდი, რომელი სცენა თამაშდებოდა. თუმცა განსაკუთრებულ გულისყურს არც მე ვიჩინე. სპექტაკლი რომ დამთავრდა, აპლოდისმენტების ზღვა წამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზი სავსე არ იყო.

ფოიეში რომ გამოვედი, სანდროს ვეძებდი თვალებით. კარებთან მოვკარი თვალი, სტუმრებს ესაუბრებოდა. დამინახა, მაგრამ არ მომსალმებია; პირიქით, თვალი ამარიდა. კარებთან ერთმანეთს რომ გავუხსნორდით, არც მაშინ მომესალმა. სწორედ ამ იმედგაცრუების მეშინოდა...

თეატრიდან რომ გამოვედი, ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ჩემს თავს ვამშვიდებდი:

– შენ ეს იცოდი; შენ ეს ძალიან კარგად იცოდი... არ გჯეროდა? სამაგიეროდ, ახლა ეჭვები აღარ დაგტანჯავს!..

თეატრიდან კარგა შორს ვიყავი, როცა ვილაცის ძახილი მომესმა. მოვტრიალდი – ჩემსკენ სანდრო მორბოდა.

– მარიაააამ... მარიააამ!.. ძალიან დიდი მადლობა, რომ მაინც მოხვედი! შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა მნიშვნელოვანი იყო ეს ჩემთვის!

ვუყურებდი და არ მჯეროდა, რომ ის ჩემს წინ იდგა. არაფერი მითქვამს, ისევ თვითონ დაიწყა:

– მარია, ხვალ შეიძლება, რომ გნახო? ძალიან გთხოვ, მე და შენ უნდა ვილაპარაკოთ, ხვალ საღამოს ისევ თეატრთან შევხვდეთ, ძალიან გთხოვ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია!..

თვალებით მემუდარებოდა. უარი ვერ ვუთხარი.

– კარგი, მოვალ...

– ძალიან დიდი მადლობა. უნდა დავბრუნდე, მელოდებიან... კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა!

ხელი ჩამომართვა და ჩქარი ნაბიჯით უკან გაბრუნდა. ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი იყო, არც კი ვიცოდი, უნდა გამხარებოდა თუ არა.

ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა; ვგრძობდი, ამ დღეზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

დათქმულ ადგილას რომ მივედი, სანდრო თეატრის კარებთან დამხვდა. ძალიან მხიარული ჩანდა. უფრო სწორად, აფორიაქებული. თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი გადანყვეტილება მიიღო. მითხრა, ჩემს საყვარელ ადგილას უნდა წავიყვანო.

თეატრიდან კელასურამდე მთელი გზა ფეხით ვიარეთ. შემდეგ სანაპიროს ჩავუყევით და პატარა კუნძულზეც აღმოვჩნდით. ამ ადგილას ერთი ბენო მდინარე ზღვას უერთდება და ქმნის ასეთსავე სივრცეს, რომელიც შეუმჩნეველია.

– ბავშვობიდან აქ დავდივარ ხოლმე, ოღონდ მარტო. დღეს პირველად მოვედი სხვასთან ერთად, – დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო:

– სულ ვფიქრობდი, რომ აქ კარგი ფილმის გადაღება შეიძლება. ახლა კი ზუსტად ვიცი, რომ მე აქ ფილმს



გადავიღებ და იქ აუცილებლად შენ ითამაშებ!..

მიზანსცენებიც კი ჰქონდა მოფიქრებული; მიხსნიდა, სად რის გადაღებას აპირებდა. საოცრად ბედნიერი ჩანდა. ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ რეალობად ვერც აღვიქვამდი. უშიშვროდ ბედნიერი ვიყავი; უფრო სწორად, მაშინ მიზეზს ვერ ვაცნობიერებდი.

ძალიან ბევრს ვსაუბრობდით და ვიცინოდით. მე სულ ჩვენს პატარა თეატრზე ველაპარაკებოდი, იმ ლამაზ უბანზე, სადაც ის მდებარეობდა. მერე უცებ მომიტრიალდა და თითქმის ჩურჩულით მითხრა:

– იცი, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შენ რომ ქართველი ხარ!..

და ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა... მივხვდი, რატომაც იყო აღელვებული. მან საკუთარ თავში გადალახა ის აზრი, რომ მე ქართველი ვარ და რომ ამ ფაქტს ვერსად გაექცეოდა. აშკარა იყო, ჩემგან პასუხს ელოდა. მე ვღუმი. მერე ისევ თვითონ განაგრძო:

– და შენ? შენთვის აქვს იმას მნიშვნელობა, რომ მე აფხაზი ვარ?

– ჩემთვის ამას მნიშვნელობა რომ ჰქონდეს, მე აქ და შენს გვერდით ახლა არ ვიქნებოდი! – ვუპასუხე საკმაოდ ცივად.

ორივენი გავჩუმდით. როგორ ვერ ვიტან ამ უხერხულ დუმილს! ისევ სანდრომ დაიწყო:

– 30 სექტემბერს ხომ იქნები აქ? – მზერას ვერ მისწორებდა.

ვიგრძენი რომ ხელები ამიკანკალდა, მაგრამ მშვიდად განვაგრძე:

– შენ ხომ ჩამოხვალ თბილისში ჩემი სპექტაკლის სანახავად?

– მე ჩემი ქვეყნის მტრის დედაქალაქში არასდროს ჩავალ!

კანკალმა ამიტანა. ჩემს თავს ველარ ვაკონტროლებდი. გიჟივით წამოვხტი და ყვირილი დავიწყე:

– მე 30 სექტემბერს აქ არ ვიქნები!.. და იცი, რატომ? არა, შენ ეს არ იცი!.. და არც გაინტერესებს! ან საიდან უნდა იცოდეს!.. იმიტომ, რომ შენ ზეიმობ!.. მე ვგლოვობ!.. გინდა, იცოდე, რას ვგლოვობ? გგონია, ამ მიწის დაკარგვას (გამწარებით ვურტყამდი მიწას ფეხს)? არა, არც ამ ზღვის დაკარგვას!.. არა!.. მე ამ მიწაზე უაზროდ დაღვრილ სისხლს ვგლოვობ! ამ მიწაზე უაზროდ დაკარგულ სიცოცხლეს დავტირი!.. იმ ჩემი ხნის ახალგაზრდებს ვგლოვობ, ვინც უაზროდ შეენირა ამ ომს!.. მე ამას ვგლოვობ!.. შენ? შენ? და შენ რას აღნიშნავ 30 სექტემბერს? რას? იმას, რომ მე და შენ აქ, შენს ქალაქში, რუსულად ვსაუბრობთ? იმას აღნიშნავ, რომ არც ერთს არ გვესმის ერთმანეთის ენა!.. კი, ბატონო, ეს შენი ნებაა! მე და შენ ჩვენი არჩევანი ჯერ კიდევ დაბადებამდე გავაკეთეთ!..

ვრემლები წამსკდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. მე გამოვიქეცი, სანდრო იქ დარჩა. არც შეპასუხება უცდია და არც ჩემი შეჩერება.

იმ საღამოს თბილისში წამოვედი. დეპრესიამ მომიცვა. სანაპიროზე გატარებული საათებით ვცხოვრობდი, კინოფილმივით ვუყურებდი ჩემს მოგონებებს. შემდეგ ნელ-ნელა მივეჩვიე ამ მდგომარეობას და ყველაფერი გამისულერთდა. ერთადერთი ის მახარებდა, რომ ოქტომბრიდან ჩემი სპექტაკლები განახლდებოდა და ფიქრისთვის დრო აღარ დამრჩებოდა.

გუშინწინ ჩემი სპექტაკლით გაიხსნა სეზონი ჩვენს პატარა თეატრში. ძალიან ბედნიერი ვიყავი მაყურებლების აპლოდისმენტებითა და მეგობრების მილოცვებით. აჟიოტაჟი მორჩა, საგრიმიოროში შევედი და მოვწესრიგედი. როცა სახლში წასასვლელად გავემზადე და გამოვედი თეატრიდან, კარებთან ვილაცამ გამაჩერა:

– მადმუზელ მარი, ტკვენ შუდარებელი იყავი!

დიდი ხანია, ქართული ასეთი საშინელი აქცენტით არ მომიხმენია. ჩემს წინ მომლიმარი სანდრო იდგა...





ოსიპ მანდელშტამი

ოსიპ მანდელშტამი - XX ს.-ის ერთ-ერთი უდიდესი რუსი პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი.

1933 წელს მანდელშტამმა თავისი ანტისაბჭოური ეპიგრამა, "ჩვენ ვცხოვრობთ და ვერ ვბრძნობთ ძველსა", გააცნო აუდიტორიას. პორის პასტერნაკმა, მისმა მეგობარმა, ეს აქტი შეაფასა, როგორც თვითმკვლელობა. მართლაც, მანდელშტამი მალევე დააპატიმრეს და გადაასახლეს ვორონეჟში, სადაც შიმშილით გარდაიცვალა კიდეც.

უპოლიკაცი "მენვეციკები საქართველოში" პოეტმა დაწერა კავკასიაში, კერძოდ, ერევანში, თბილისში, სოხუმსა და ბათუმში მოგზაურობის დროს. სამწლიანი დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში (1918-1921 წ.წ.). აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მოიწვიდა რუსეთის რეპულარული საოკუპაციო არმია, სამხრეთიდან კი - "დასახმარებლად" თურქეთის სპეციალური სამხედრო შენაერთები.

ეს ხდება მანამდე, ვიდრე თურქეთი ოფიციალურად უარს იტყვის ბათუმზე და მის ოლქზე (თუმცა შინარჩუნებს საქართველოს ისტორიულ მიწებს (კოლა არტაანი, ოლთისი და ა.შ.), ვიდრე საქართველოს მენვეციკური ხელისუფლება გამგზავრება ემიგრაციაში. ეს

ხდება 1921 წლის მარტამდე. მანდელშტამი თავისი მსხვილი კალმით მხატვრულად, მაგრამ სარკაზმით აღწერს იმპერიული ბათუმის ყოფას. ბათუმური ცხოვრების ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური ესე რუსულიდან მთარგმნა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტმა დავით ესათიამ.

მენშევიკები საქართველოში

ოსიპ მანდელშტამი

რუსულიდან მთარგმნა დავით ესათიამ

ორანჟერეა. ქალაქი-კოლიბრი. პალმების ქალაქი. მალარიისა და იაპონური სინაზის გორაკებიანი ქალაქი. ქალაქი, კოლონიალური ევროპის ნებისმიერ კვარტალს რომ ჰგავს, ზაფხულში მოსკიტებით მოზუზუნეს, დეკემბერში კი ახალი მანდარინის ულუფებით შემომთავაზებელს. ბათუმი, 20-იანი წლების აგვისტო. მალაზიები და დუქნები დაკეტილია. სადღესასწაულო სიჩუმეა. თეთრი კოლონიალური სახლები მორთულია ნითელი დროშებით. პორტში ორ ათეულამდე უსაქმურს აკონტროლებს ადმინისტრაცია და პოლიცია. რეიდზე ირწევა კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული გიგანტი ხომალდი „ლოიდ ტრიესტინო“. ქალბატონები, ხელში ნითელი ვარდების თაიგულებით და პატივცემული ჯენლტმენები სხდებიან ძრავიან კატერში და მიიჩქარიან სამგემბანიანი სასახლისკენ.

დღეს მედუქნებსა და მკვდრეთით აღმდგარ ბურჟუებს მოუნდათ, ენახათ თვით კაუტსკი. და, აი, კატერიც სასწრაფოდ ბრუნდება: და ხის ტრაპზე ჩნდებიან „ნამდვილი ევროპული სოციალიზმის“ მომღიმარი ბელადები. ცილინდრები. თვალისმომჭრელი სამოდულო კაბები და უამრავი, უამრავი ცვრიანი ნითელი ვარდი.

თითოეულ სტუმარს, ბამბის ყუთში ჩასადები საგანივით, ფაქიზად სვამენ ავტომობილში და აცილებენ შეძახილებით. სანაპიროს უმეცარი ბრბო ერთ-ერთ დელეგატს კაუტსკად* მიიჩნევს – მაგრამ ირკვევა, რომ ეს შეცდომაა და იმედგაცრუება: კაუტსკი ძალიან სწუხს, ყველას მოკითხვას უთვლის – მოსვლას ვერ ახერხებს. აქვე ვრცელდება მეორე ვერსია: ანტანტისადმი ქართული ხელისუფლების მხრიდან გადაამეტებულმა ფლირტმა შეურაცხყო კაუტსკის გერმანული გრძნობებიო. გერმანია ჯერ კიდევ ახალ ჭრილობებს იშუშებს... სამაგიეროდ, ჩამოსულია ვანდერველდე**. ყველანი უკვე პროფკავშირის „შრომის სასახლის“ აივანზე დგანან. ვანდერველდე სიტყვით გამოდის: მე არასოდეს დამავინყდება ეს გამოსვლა. ეს იყო მჭერმეტყველების ნამდვილად ცარიელი და ფუფი, თავისი არსით კომიკური ნიმუში. ყველა გრძნობდა, რომ მათ წინაშეა ბურჟუა, რომელიც ამბობს: მე ბედნიერი ვარ, რომ ფეხი დავადგი ნამდვილი სოციალისტური რესპუბლიკის მიწაზე, მაგრამ მე მზარავს (და ამას გამოხატავს ფართო ყესტით) ეს დროშები, ეს დაკეტილი მალაზიები, სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლით გამოწვეული არნახული სანახაობა.



– თქვენ გახადეთ აზიის ეს კუთხე ცივილიზებული (აქ გამოავლინა ფრანგმა ბურჟუამ უპატივცემულობა და ზიზღი უძველესი, საუკუნოვანი ტრადიციებისადმი). თქვენ აქციეთ ის მომავლის კუნძულად. მთელი მსოფლიოს მზერა მიმართულია ჩვენი ერთადერთი სოციალისტური გამოცდილებისკენ.

* * *

ვანდერველდეს ჩამოსვლამდე ერთი კვირით ადრე ბათუმს მოადგა სხვა გემი. არა კონსტანტინოპოლიდან, არამედ ფეოდოსიიდან – მგზავრებიანი, პატარა, ბრტყელძირიანი, შავი ზღვისთვის საფრთხის შემცველი აზოვის ბარჟა, რომელიც ზღვაში შვიდი დღე იმყოფებოდა.

ამ ხომალდით ჩამოაღწიეს ყირიმის დევნილებმა. იფიგენიას

* – ცნობილი გერმანელი ეკონომისტი და პოლიტიკოსი.

** – ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი.



სამშობლოს ძალ-ღონე გამოაცალა დამპყრობლის ჩექმამ და მე მომიწია, ციხის ფანჯრიდან მეცქირა უნაღებო, გასხივოსნებული, საყვარელი ფეოდალის საოცარი გორაკებისთვის და მესიერნა გავერანებულ ეზოში, სადაც ერთ მუჭად შეგროვილიყვნენ შეშინებული ებრაელები; მათ ჩაესმოდათ ჯარისკაცების ველური ღრიალი – ასე ესალმებოდნენ სანაპიროსთან მთავარსარდალს.



ამ დღეებში საქართველო იყო ერთადერთი იმედი ყირიმისათვის, ერთადერთი გზა რუსეთისკენ. კონტრდაზვერვა საქართველოს ვიზებს შედარებით მარტივად გასცემდა. მენშევიკებსა და ვრანგელის კონტრდაზვერვას შორის მჭიდრო კავშირი იყო.

შვიდი დღე ლელავდა ზღვა. ჩოხებში გამონყოფილი დაღესტნელები ხომალდ „იონანეს ვორტზე“ გეპატიყდებოდნენ და გთავაზობდნენ ზღვის ცხოველებს. ნამდვილად კარგია ციხიდან პირდაპირ დიდი სივრცითა და ნესტიანი ხალიჩით განყოფილ გემზე მოხვედრა.

ქალაქში გაფრთხილებენ: არ გაეკაროთ საბჭოთა წარმომადგენლობას – გიპოვიან და დაგიჭერენ. არ დავედვართ. გავემგზავრებით თბილისში, მაინც დედაქალაქია. ეს ქალაქი ცხოვრობს ინგლისელებზე სასიამოვნო მოგონებებით.

ბათუმში შვიდი წლის ბავშვმაც იცის ლირის კურსი. ნებისმიერი პროფესია და საქმიანობა, დიდი ხანია, აქ არავის სჭირდება. ადამიანის ერთადერთი ღირსება ვაჭრობაა, უფრო ზუსტად კი, ცხელი, კალიფორნიული, მალარიული ჰავის პირობებშიც სარგებელის ნახვა. მენშევიკური ბათუმი ცუდი ქართული ქალაქი იყო.

ყველანი – ქართველები, სომხები, ბერძნები, სპარსელები, ინგლისელები, იტალიელები – საუბრობდნენ რუსულად. ველური ვოლაპიუკი (ხელოვნური ენა) და შავი ზღვის რუსული ესპერანტო (ესეც ხელოვნური ენა) ისმოდა ირგვლივ.

* * *

ჩამოსვლიდან სამ დღეში მე შემთხვევით გავიცანი ბათუმის სამხედრო გუბერნატორი. ჩვენ შორის ასეთი საუბარი შედგა:

– საიდან ჩამოხვედით? – ყირიმიდან. – ჩვენთან ჩამოსვლა არ შეიძლება. – რატომ? – ჩვენ ცოტა პური გვაქვს. მოულოდნელად მიხსნის: – ჩვენთან იმდენად კარგია, რომ თუკი ნებას დავრთავდით, ყველა ჩვენთან ჩამოვიდოდა.

ეს გამაოგნებლად გულუბრყვილო, კლასიკური ფრაზა ღრმად ჩამებეჭდა მესსიერებაში. პატარა „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს, სხვის სისხლში გასვრილს, უნდოდა, უსისხლო ყოფილიყო. ის იმედოვნებდა, სუფთა და წარმატებული შესულიყო მრისხანე ძალებით გაჯერებულ ისტორიაში, დამსგავსებოდა ახალ შვეიცარიას, ნეიტრალურ და დაბადებებიდანვე „უდანაშაულო“ რალაც მინის ნაგლეჯს.

აუდიენცია დასრულებულია. საუბრის დროს ოთახში ირეოდნენ შავგვრემანი ადამიანები და, აფორიაქებულად, ღვარძლიანად თითს იშვერდნენ ჩემსკენ და რალაცაში არნმუნებდნენ გუბერნატორს. გაუგებარი სიტყვების ნიაღვარში გამუდმებით იკვეთებოდა ერთი – ბოლშევიკი.

ადამიანები წვანან იატაკზე. საქათმეშია ასეთი სიმჭიდროვე. ავსტრიელი სამხედრო ტყვე, მეზღვაური ქერჩიდან, ადამიანი, რომელიც გაუაზრებლად შევიდა რუსულ მისიაში, ბურჟუა კონსტანტინოპოლიდან, მოსულელო ახალგაზრდა თურქი, რომელსაც იატაკს კბილის ჯაგრისით ახეხინებდნენ, განჯიდან გამოქცეული თეთრი ოფიცერი. თურქს მუჯღუგუნით აგდებენ გარეთ. დანარჩენებს – ყირიმში. ჩვენ ბევრნი ვართ. არაფერს გვაჭმევენ, როგორც აღმოსავლეთის ციხეში. რამდენიმეს ფულიც აქვს. და ბადრაგიც სიამოვნებით გარბის პურსა და ყურძენზე. იღება კარი და მაღალ, დაჟღაჟა მედუქნეს ლანგრით სპარსული ჩაიც შემოაქვს. ვკითხულობ ამოკანრულ წარწერებს; ერთი დამამახსოვრდა: „ჩვენ არ გვაშინებს ბანდიტების წამება, ჩვენ მოხერხებულად ვაყალბებთ ჟორდანას კრედიტებს“.

ბათუმ-თბილისის მატარებელი. ბიჭები და გოგონები კალათებით ყიდიან ყურძენს – იზაბელას, მკვრივსა და მძიმეს, ღამესავით შავს. ვაგონში კონიაკს მიირთმევენ. პიკნიკითა და მხიარულებით იქაურობა ხურს. ვანდერველდე მეგობრებთან ერთად უკვე თბილისშია. წითელი დროშები ფრიალებს სახლებსა და ავტომობილებზე. თბილისი, როგორც მარიონეტი, იმართება კონსტანტინოპოლიდან. ის იქცა კონსტანტინოპოლის ბირჟის განყოფილებად. დიდი რუსული გაზეთები გამოირჩევა სიკეთითა და რბილი ტოლერანტობით, იგრძნობა „რუსული სიტყვა“, თითქოს არაფერიც არ მომხდარა, თითქოს რევოლუცია კი არა, მსოფლიო ომიც არ ყოფილა.





ბათუმი



მთელი ბათუმი თითქოს ხელის გულზეა. არ იგრძნობა მანძილი მის თავსა და ბოლოს შორის. მიმორბინარ აქ, როგორც ოთახში, სადაც მუდამ დახუთულია ჰაერი. თანამედროვე პირობებში ამ პატარა, თითქმის სათამაშო ქალაქის მექანიზმი, რუსულ-სპეკულაციური, კალიფორნიული დონის, უჩვეულოდ მარტივია. არის ერთი დეტალი – თურქული ლირა: კურსი, ალბათ, იცვლება ღამით, როცა ყველას სძინავს, რადგან დილით მცხოვრებლები იღვიძებენ უკვე ლირის ახალი კურსით და არავინ იცის, როგორ ხდება ეს. ლირა ყველა ბათუმელის სისხლში პულსირებს, დილის კურსს კი მეფუნთუშეები აჟღერებენ. ისინი, ძალზე მშვიდი, თავაზიანი და სასიამოვნო თურქები, საოცრად სუფთა და უმარილო ამერიკული ხორბლით დამზადებულ ტრადიციულ ლავაშს ჰყიდიან.

აქაური მცხოვრებლები არ არიან დასაქმებულნი. ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად ითვლება ვაჭრობა. ადგილობრივი მოსახლეობის ფონზე იკვეთება საბჭოთა უპოვარი მუშაკი, რომელსაც არც ლირა გააჩნია და შავი პური თვალითაც არ უნახავს.

ბათუმის სპეკულაციური იერარქია, ასევე, ნათელი და მარტივია. სისტემის ცენტრში დგას ათობით მსხვილი უცხოური ფირმა, ყოველი ბავშვისთვის ცნობილი და ღვთაებრივად სათაყვანო: „ვალაცი“, „ლოიდ

ტრიესტინო“, „საგა“, „სალა“, „ვიტალი“, „კამკა“ და ა.შ.

მბრწყინავი, ყვითელნალებიანი ახალგაზრდა კონსტანტინოპოლელი კომერსანტები ქარვის კრიალოსანს ათამაშებენ და სანაპიროზე დანავარდობენ. ბზინვარების მიუხედავად, ისინი რალაცით გვაგონებენ ზანგებს, გადაცმულებს ევროპულ ტანისამოსში. ყველა დუქნის კარი სანაპიროზე ღიაა.

აქვე, მყუდრო ნახევრადსიბნელებში მედიდურად საუბრობენ მსუქანი და აპათიური სპარსელები, თავიანთი ტვირთის სიმძიმით – მანუფაქტურებით, შაქრით, საპნით, ფეხსაცმლებით, ლამის, მინამდე დასულელები. კარგი დღე არ დაგადგებათ, თუ გადანყვეტთ, შეიჭვრიტთ ერთ-ერთ ასეთ დუქანში და რამე შეარჩიოთ; უნებურად თქვენ, შეიძლება, მოგყიდონ ერთ-ორი მილიარდის საქონელი – ყველაფერი აქ საბითუმოა.

ბათუმში მეფობს ერთი ენა – რუსული; ყველაზე ხანდაზმული უცხოელებიც კი მესამე დღესვე რუსულად იწყებენ საუბარს. ეს მით უფრო სასაცილოა, რადგან ბათუმში რუსები თითქმის არ არიან, ალბათ, არც ქართველები. ესაა ქალაქი ეროვნების გარეშე – სიმდიდრეს გამოკიდებულმა ხალხმა ის დაკარგა.

აი, მაგალითი, რუსეთის მიმართ ბათუმის გაუცხოებას რომ გამოხატავს: ყველაზე დიდ, ადგილობრივ კინოთეატრში გადის იტალიური ფილმი რუსული ცხოვრებიდან – „ვანდა ვარენინა“ (მარტო სახელწოდება რად ლირს?). ამ გამაოგნებელ სცენარში რუსი ქალები, თურქების მსგავსად, დადიან შავი პირბადით და იხსნიან მას მხოლოდ ოთახში; რუსი თავადები დაბრძანდებიან საოპერო კოსტიუმებში გამონყობილები. დასაყრდენ ინგლისურ ეტლში შებმული „ტროიკით“; მე დავესწარი ამ წარმოდგენას. გადავსებულ დარბაზში არავინ იცინოდა და არავის არაფერი უკვირდა – ყველას, როგორც ჩანს, ეგონა, რომ ეს ბუნებრივია.

ბათუმისთვის მკვეთრად დამახასიათებელია ყირიმიდან ემიგრაცია. ყირიმი ახლა დასუსტებულია. იქ რაიმე საქმის აგორება ძალზე ძნელია; და აი, ხომალდ „პესტელს“ ყოველ ჯერზე ბათუმში ემიგრანტების ახალი ჯგუფი ჩამოჰყავს ფეოდოსიიდან, იალტიდან და სევასტოპოლიდან. თავიდან ისინი ბერძნულ ქუჩებში გაუბედავად დახეტიალებენ; მაგრამ გადის რამდენიმე დღე და ისინი, უკვე მოლონიერებულნი, თავისუფალი ქალაქის სრულუფლებიანი მოქალაქეები ხდებიან.

ბათუმში არავინ უჩივის მძიმე დროებას და მხოლოდ რალაც წვრილმანი თუ მოგვაგონებს იმას, რომ არსებობენ ადამიანები ლირის გარეშე – ეს ურიცხვი პლაკატია, რომლითაც მორთულია თითოეული მაღაზია,

თითოეული პატარა დუქანი: „კრედიტი არავის“, „არავის კრედიტი“ და „კრედიტები არავის“ – სხვადასხვა ორთოგრაფიით. თუმცა რეალური ვაჭრობა კრედიტის გარეშე შეუძლებელია. სინამდვილეში საკმარისია, სადმე პაპიროსის ყუთი აიღო, რომ მეორე დღესვე მეორე ყუთს კრედიტით მოგცემენ.

ეს ლირისადმი თავყვანისცემაა, მაგრამ ბათუმს აქვს სხვა მოთხოვნილებებიც, ის ამაღლებული რალაცეები სულისათვის. მარინის ქუჩაზე „სმს“-ს წრეა – „ხელოვნების მუშაკთა საზოგადოება“. აქ იმართება სასაცილო, მაკულატურულ მხატვართა გამოფენები, რომლის ნახატებიც ბითუმად მიაქვთ ჩამოსულ ბერძნებს, ადგილობრივი ესთეტიკები და სნობები კი ისე გადი-გამოდინან მოხატული ოლეოგრაფიების ქვეშ, თავი ვერნისაჟზე ჰგონიან. აქვე დარგის მუშაკები





ქალბატონებს ასწავლიან სიმღერას, მუსიკას და პლასტიკას. ბათუმში არიან პოეტებიც – მათზე უფრო დახვეწილი ნარმოდგენა შეუძლებელია. ქალაქს არ აკლდება შარლატანების თარეშიც – „ვაი-პროფესორებისა და ლექტორების“ სახით. ერთ-ერთმა მათგანმა მუსიკის თანხლებით გამართა იუდა ისკარიოტელის სასამართლო პროცესი.

შაბათობით ქალაქი გაბრუნებულია სამხედრო მუსიკით, მთელი ღამე გრძელდება ნადიმი, მშვივების სასიკეთოდ მორიგი საქველმოქმედო თავყრილობით, ლოტოთი, ამერიკული აუქციონითა და მსგავსი სამშვენისებით. აქ მილიარდები რჩება.

თუ საღამო (წვეულება) ქართულია – წუთითაც არ ჩუმდება საზანდარის ჰიპნოზური მუსიკა; დამკვრელები გადადიან მაგიდიდან მაგიდამდე, ვიდრე მოქიფეთაგან რომელიმე ცივად არ ადგება და ლეზგინკას არ დაუვლის გულშიჩამწვდომი აკომპანიმენტის თანხლებით.

რა არის ახლანდელი ბათუმი: თავისუფალი სავაჭრო ქალაქი, კალიფორნია – ოქროსმადიებელთა სამოთხე, მტაცებლობისა და სიცრუის ბინძური ორმო, საბჭოთა ქვეყნის საექვო ფანჯარა ევროპაში, ნახევრადამოსავლური თვალწარმტაცი ხმელთაშუა პორტი თურქული კაფებით, თავაზიანი ვაჭრებითა და რუსი მოვაჭრე მეზღვაურებით, რომლებიც ტკეპნიან მის ველურ მიწას, ისევე უდარდელად, როგორც ტკეპნიდნენ შანხაისა და სან-ფრანცისკოს ნიადაგს!



წვიმიან ქალაქში

წვიმა, წვიმა, წვიმა – ეს ნიშნავს: შეუძლებელია, გახვიდე ქუჩაში. შეიძლება, წვიმდეს ხვალაც და ზეგაც: ზამთრის წვიმა ბათუმში – ეს გრანდიოზული თბილი შხაპია რამდენიმე კვირით. არავის მისი არ ეშინია და თუ საქმე ითხოვს, ასეთ თავსხმაშიც ყოველი ბათუმელი წავა იქ, სადაც სურს, მაშინ, როდესაც ნოესაც კი შეეშინებოდა კიდობნიდან თავის გამოყოფა.

ცეკავშირი გარედან ყვავის; დილიდან საღამომდე პატარა სუფთა სასახლეში ზღვისპირა ბულვართან, ოლეანდრებთან და პალმებთან საქმე დულს, სწორედ იმ სახლში, სადაც, უახლესი გადმოცემით, ამერიკელებს სამხედრო სასამართლო ჰქონდათ.

– ჩვენ, „საზოგადოებრივი ვაჭრები“ ვართ, – სიამაყით აცხადებენ ბათუმელი კოოპერატორები. – ჩვენ არც გვცხელა, არც გვცივა „ცეკავშირისგან“, – ამტკიცებს უბრალო ადგილობრივი.

მაგრამ წვიმაც არ არის დაუსრულებელი. მერე თითქოს ჯადო აშრობს სუფთა ქუჩებს. წვიმის შემდეგ ქალაქი ირეცხება. იწყება ზამთრის გასეირნება სანაპიროზე. იანვარში ხალხი სანაპიროს თბილ ხრემზე ზის, ტალღებთან ახლოს, მაგრამ არ ბანაობს. აქ თურქული ყავახანების დღესასწაული იწყება. აქ მთელი ქალაქის შუაგულია პატარა კლუბებითა და ბირჟებით. ყავახანაში ბნელა და გავსებულია თამბაქოს ბოლით. არომატული, მიმზიდველი სურნელი ტრიალებს ჰაერში.

აი, შემოდის გაზეთებით მოვაჭრე. მას ყველა ენაზე აქვს გაზეთები მომარაგებული, თითოეულს – თავ-თავისი.

ხნიერი პატივცემული თურქი ყიდულობს თურქულ „კომუნისტს“ და რიგ-რიგობით უკითხავს სხვებს. რას გაიგებს ის, ვაჭარია თუ პატრიარქი, რას სთავაზობს მას ახალი სწავლება? ეჭმუნება შუბლი, მაგრამ არ ელიძება, ისევე, როგორც მთელ მის ერს; ის კარგად აღზრდილია და მიჩვეულია, პატივი სცეს სხვის აზრს.

სავაჭრო ბათუმში ყველაზე სასიამოვნო – სავაჭრო სახლებია. აქ სუფევს განათლება და კულტურა, რასაც მოკლებულია ახლადშექმნილი იტალიური და სხვა ევროპული ფირმები, სადაც ამაოება და მიუღებელი ველური სული ბატონობს.

ბათუმში თუ ჩამოხვალთ, არავინ გეკითხებათ, სად ცხოვრობთ, არამედ გეკითხებიან, სად ათენებთ ღამეს.

უსახლკარო ჩამოსულების მიმართ ისეთი დიდი შიშია, რომ არც ერთ კაფეში არ შეიძლება სადგურიდან წამოღებული ნივთების დატოვება: მეპატრონეები დარწმუნებულები არიან, რომ ამ ნოვთებისთვის დაბრუნდებით და ღამეს გაათევთ, ამიტომაც ჭირივით ეშინიათ ამის.

მაგრამ ქალაქში მაინც იგრძნობა განსხვავებული გამოცოცხლება, თითქოს ემზადება უზარმაზარი ეკონომიკური ამოცანის შესასრულებლად. ჯერ ცარიელ, გაყინულ დახლებში გმირი კომვოიაჟერები, ქურდული მანერით, ცივბცხელებით ავსებენ ჩემოდნებს ბათუმური ძაფებით და ასპროცენტთან საექვო ტვირთს მიაქანებენ საშიში და ბნელი გზისკენ, სამუდამოდ მიისწრაფვიან თავისი არკადის* ნაპირებისკენ.



* – ილიური პოეზიაში: „მწყემსების ბედნიერი ქვეყანა“.



თეკლა ჭუმბურიძე

ამ წერილის ავტორი 13 წლისაა. თბილისის 47-ე საჯარო სკოლის მეოთხე კლასში სწავლობს. ქართულის პედაგოგმა იზა ჩომახიძემ კლასს მორიგი წერიტი დაავალა მისცა: "როგორ მიულოცავდი სამომავლოს ახალ წელს?" თეკლამ საქართველოს "წერილი მისწავრა"...

გაეცანი, მკითხველო, ამ წერილს, ამაღლებულ სტრუქტურას, ფაქიზი სულის გომონას სურვილს, ეკაბათოს სამომავლოს იმის გამო, რომ სიყვარული ძალიან სტაბილურ და გაბრაზებისთვის მაინც გომონდეს ახალი თაობის იმედით, პოდიუს ითხოვს.

წერილი საქართველოს

თეკლა ჭუმბურიძე

შენ გაზარდე რუსთაველი, ჭავჭავაძე, ვაჟა, გალაკტიონი, კალანდაძე... შენი ენა ქართული და შენი სარწმუნოება დღემდე მოიტანე. წაგებულ ბრძოლებსაც კი იგებდი შენი სიმამაცით. რამდენი რამ გამოიარე. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულია. ახლა? ახლა რა ხდება?

როგორ მინდა, ვინმე შენზე რომ მკითხავს, წარსულით კი არ გაქო, არამედ აწმყოთი.

არ მინდა ჭავჭავაძე. არც შოთა მინდა. არავინ მინდა.

არ შეიძლება, ახლა მადლევდე საბაბს შენი სიყვარულისთვის?

მაგრამ რა შენი ბრალია?

შენ რა შეგიძლია?

არავის გვინდა ბრძოლა. გვგონია, სხვა გამოგვეცხადება ხანჯლით ხელში და აგვალორძინებს. ველოდებით გმირს, სასწაულთმოქმედს. არ გვინდა გმირის ჩვენს თავში ძიება. რა თქმა უნდა, ყველას გვირჩევენია, გავიქცეთ იქ, სადაც ბრძოლა არ მოგვინვეს, იქ, სადაც უკვე ყველაფერი დაღეჭილია და ჩვენ მარტო გადაყლაპვა დაგვჭირდება.

ნურც შეეცდები, გაამტყუნო ხალხი, რომელიც გტოვებს.

ნუ გაბრაზდები ბავშვებზე, რომლებსაც არ უყვარხარ. მათ შენს სიდიადეზე მხოლოდ წიგნებიდან იციან.

მეც მაპატიე, რომ ასე ვარ შენზე გაბრაზებული. მაპატიე, რომ ხშირად მინდება, აქედან წავიდე და აღარასდროს დავბრუნდე. მაგრამ მე ხომ ასე ძალიან მინდა, მიყვარდე?!

მეც გაპატიებ, რომ საბაბს არ მადლევ სიყვარულისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, სიყვარულს საბაბი არ სჭირდება.

... მაინც გქონდეს ახალი თაობის იმედი. ეს მდგომარეობა მათში ისეთ ბრაზსა და უსამართლობის განცდას იწვევს, რომელსაც ისევ შენს სასიკეთოდ გამოიყენებენ.

და ბოლოს, გილოცავ ახალ წელს.

2019 წელი მოდის. 2019-ე იმედი, იმედი სასწაულის, სასწაულის, რომლისთვისაც ხელს არავინ ატოვებს.

იქნება ჭიქების ჭახუნი. ქეიფი – იხარე! მაგრამ საქმე?..





ვისაც ზღვა, რომელიც შორია

ნანა ჭანტუაშვილი

„ზღვა, რომელიც შორია“ – ამ პრემიერით გახსნა 2005 წლის თეატრალური სეზონი კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა; სპექტაკლით, რომელმაც პოლიტიკურ თუ თეატრალურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

წარმოდგენა გაიმართა სამეფო უბნის თეატრში. მას ორი ნიჭიერი ავტორი ჰყავს: დიდი მანესტრო – თემურ ჩხეიძე და ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი – გურამ ოდიშარია.

დრამატურგიულ-რეჟისორული კონცეფცია, სათაურშივე იკითხება: ზღვა, რომელიც შორია – ჩემია, შენია თუ ჩვენია; დაუბრუნდებით მას თუ ომით მოვიპოვებთ, ვის ვანდობთ ამ პრობლემის მოგვარებას – პოლიტიკოსებს თუ ადამიანურ ურთიერთობებს?

სოხუმელთა წარმოდგენა ის სცენური ნაწარმოებია, სადაც უამრავ კითხვაზე მოძიებული პასუხი ერთისთვის საინტერესოა, მეორისთვის კი – სადავო. და არ ტოვებს ეს სპექტაკლი არავის გულგრილს. მაყურებელი ეკამათება ასტამურს და აგრძელებს ზურაბის მონოლოგს, სხვა დროისა და სივრცის სათქმელსაც რომ იტევს.

ამიტომაც შეფასდა თეატრალურების მიერ „ზღვა, რომელიც შორია“ „სოხუმის თეატრის შემოქმედებითი ბიოგრაფიის გვირგვინად“, სპექტაკლი, რომელიც რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა თავისუფალი თეატრის რეპერტუარში შეიტანა.

„ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ არ ყოფილიყო თამაში ცალ კარში. ერთ-ერთ აფხაზ პერსონაჟს ვათქმევინეთ კიდეც: „თუ აფხაზეთი ტერიტორიულად თქვენია, აფხაზეთიც ხომ თქვენია“. ერთმანეთის პირისპირ დგანან ბავშვობისდროინდელი მეგობრები – ქართველი ზურაბი, რომელიც ომის დასრულებიდან წლების შემდეგ ჩადის სოხუმში და ქართველზე გამარჯვებული აფხაზი ასტამური, ვისაც ომმა შედეგზე მეტად პასუხგაუცემელი კითხვები დაუტოვა. ისინი, ერთნაირად გამეტებულნი და ერთმანეთის მეტოქენი, მაინც ცოდვანი არიან უერთმანეთოდ, თითოეული თავის გულისტკივილს, თავის სიმართლეს ატარებს. ჩვენი მისია იყო, მაყურებელამდე მათი საერთო საწუხარი მიგვეტანა. სწორედ ამან გამოიწვია დიდი ინტერესი, როგორც აფხაზურ, ისე ქართულ საზოგადოებაში. მიმაჩნია, რომ ეს მამაკაცური სპექტაკლია და არა ჟენევისა თუ სხვა რომელიმე შეხვედრათა ფორმატის“, – მიაჩნია გურამ ოდიშარიას.

სპექტაკლში რეალობაც სასტიკია და განაჩენიც: ის, რომ აფხაზმაც და ქართველმაც ერთმანეთი დავამარცხეთ არა ტერიტორიულ, არამედ ზნეობრივ ომში (როგორც ამას ამბობს პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი).

„ზღვა, რომელიც შორია“ გვიყვება ამბავს, პოლიტიკოსთა მიერ მოგონილ ომში როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს ბრმა იარაღად ქცეული ადამიანები, როგორ ეწირება ამ უსამართლო აქტს ათასწლოვანი ურთიერთობები, ტრადიციები. ეს წარმოდგენა ტკივილია, რომელიც ხვალ უნდა განელდეს, რომელმაც ხვალ მაინც უნდა ამოგვათქმევნოს: მე დაუბრუნდი. შეუძლებელია, მშვიდად უსმინო იმ დიალოგს, რომელიც იმართება აფხაზსა და ქართველს შორის, მეგობრებს შორის, რომელთაც წარსული მოსვენებას არ აძლევს.

დიმა ჯაიანი, რომელმაც ხარკოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „რემარკა – 2007“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (ზურაბის როლი) პრემია მიიღო და რომლისთვისაც



გურამ ოდიშარია



„ზღვა, რომელიც შორია“. თემურ ჩხეიძე და დიმა ჯაიანი რეპეტიციის დროს



„ზღვა, რომელიც შორია“. საიდა – ლილი ხურითი

ეს სპექტაკლი სოხუმის დაკარგვის შემდეგ წარსულის გავლით მომავალთან შეხვედრაც იყო, მაშინ ასე გაგვენდო:

„თემურ ჩხეიძემ დამანახა (და ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ), რომ რეჟისურა მის ხელში სხვაა, პროფესია კიდევ სხვა. მე მიმუშავებია რეჟისორებთან – მიხეილ თუმანიშვილთან, რობერტ სტურუასთან, გოგი ქავთარაძესთან, დავით კობახიძესთან. ვიცი, რომ თითოეულს განსხვავებული ხელწერა აქვს. თემურ ჩხეიძის რეჟისურა არავისას არ ჰგავს. ეს მუშაობის განყენებული სტილია: თითოეული მიზანსცენა, რომელსაც მაყურებელი ხედავს, უფრო ადრე თამაშდება, ვიდრე ეს სჩანს სცენაზე.

რა შემძლია ვთქვა ზურაბზე, ჩემს პერსონაჟზე? ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, როგორც აფხაზეთის მკვიდრისთვის, ალბათ, ძალიან ადვილია თქვენთვის ამ როლის თამაში (შეკითხვამ ცოტა გამაკვირვა). თქვენ გგონიათ, იმ ბოლო სცენაში, როცა მინას ვეფერები, მართლა ვთამაშობ? მე ისე ვცხოვრობ იმ წუთებით, ისე მტკივა, იმდენად ცუდად ვარ, რომ მგონია, ცოტაც და დასრულდება ყველაფერი. მაშინაც, როცა ასტამურს ვეკამათები, ჩემს თავს არ ვეკუთვნი“.

როცა ამ სპექტაკლს ესწრებოდი, მიგაჩნდა, რომ სათქმელი, ურთიერთობები რაღაც ახალ, განსხვავებულ

ადამიანურ ხარისხში იყო აყვანილი. თეატრალურ ნიღაბს ვერც ერთი პერსონაჟის სახეზე ვერ ამჩნევდი და სცენური სიმართლეც ზუსტი ფსიქოლოგიური აქცენტებით იყო გადანაწილებული.

ფინალი, როგორც თემურ ჩხეიძის ყველა სპექტაკლში, განსხვავებული სიმძაფრისაა. მინაზე, სანაპიროსთან თავდამხობილ, სველ კენჭებზე გართხმულ ქართველ ზურაბს ეძნელება მშობლიურ ქალაქთან, ზღვასთან განშორება. გესმის ზურაბის შემზარავად მოგუდული ხმა და ისიც იცი, რომ სხვა რამეც უფორიაქებს სულს, სხვაა მამაკაცური ცრემლის მიზეზი; რომ ასტამურთან პოლიტიკური ბატალიების შემდეგ და სიყრმისდროინდელ მეგობრებთან განშორებამდე ვერ ამბობს ხმამაღლა (ახლა ეს არ შეუძლია), რომ ეს მინა, რომელსაც მიხუტებია, მისიცაა და არავის დაუთმობს. ეს ეპიზოდი (ერთ-ერთი ძლიერი რეჟისორულადაც და გამომსახველობითი შესაძლებლობებითაც) იქვე, მის გვერდით მყოფი აფხაზეთის საბრალდებო განაჩენიცაა.

როცა ქართველის სიმართლე, ტოლერანტობის გამოვლენასთან ერთად, წართმეული სოხუმის ვერდათმობაა, როცა კონტრარგუმენტები სოხუმში ჩასული ქართველისგან აფხაზმაც უნდა მოისმინოს, ზურაბი ასტამურ ხვარნკიას ქართულ ენაზე „უმტკიცებს“, რომ საქართველო მისი სამშობლოა მაშინაც, როცა პოლიტიკოსები უშვებენ შეცდომებს.

„ასტამურივით მეგობარი“ ბევრი დავტოვეთ აფხაზეთში. ის ბუნებით კეთილშობილია; იცის თანადგომისა და თანაგრძნობის ფასი. ისიც იცის, რომ გავა დრო და შესაძლოა, თავის ქალაქში თუ დამოუკიდებელ ქვეყანაში ერთი აფხაზური სიტყვაც ვერ გაიგონოს, მაგრამ შენ მაინც არ გენდობა, შენ მისთვის უკვე წარსული ხარ და იმიტომ. შეცვლილია მისი მენტალიტეტი, კონიუნქტურული



„ზღვა, რომელიც შორია“. მარცხნიდან: ასტამური (მერაბ ბრეკაშვილი), ზურაბი (დიმა ჯაიანი)

გარემო. აფხაზი ასტამურის არგუმენტები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ქართველი ზურაბის. ის ვერ უმტკიცებს მას, რომ ძმაც არის და მეგობარიც მისი. მე არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ყველა ბერკეტი – ეკონომიკური და პოლიტიკური – უნდა გამოვიყენოთ, რომ დავამტკიცოთ: ომი ქართველს არ დაუნყია, იგი სხვებმა დაიწყეს,“ – აღნიშნა საუბარში ასტამურის როლის შემსრულებელმა, მერაბ ბრეკაშვილმა (დიმა ჯაიანსა და მერაბ ბრეკაშვილს ზურაბისა და ასტამურის როლებისთვის მარჯვნივ მისი სახელობის პრემიები მიენიჭათ).

მართლაც იმ „სხვაგან დაწერილი სცენარით“



ყველაზე უარესი მაინც მოხდა. სპექტაკლში არის ერთი ძალზე საინტერესო მიზანსცენაც: გამორჩევა სამხედრო კატერი, იგივე უცხო ძალა (მესამე ძალად მონათლული) და პერსონაჟებს ეუფლებათ შიში. ეს ნუთები თუ განგება მათ პატარა გამოცდას უწყობს და ხდება უჩვეულო რამ: მაყურებელი ხედავს, რომ დროის პატარა მონაკვეთში ქართველსა და აფხაზს შორის არ დგას ომი, მიტევებული და დავინყებულისა წყენა, ბოლმა, „დაბრუნებულ“ წარსულში არ არსებობს უერთმანეთოდ ჩავლილი წლები. ისინი ახლა ისევე ძალიან ჰგვანან ბავშვობისდროინდელ მეგობრებს. როგორც ჩემმა ერთმა მეგობარმა და კოლეგამ აღნიშნა, იქნებ, სწორედ ამით უნდა დამთავრებულიყო სპექტაკლი, ამ იმედია დასასრულით და არა იქვე გაგრძელებული იმ „მეორე“, ძალზე ემოციური ფინალით.

„მოვა ის ერთი დღე, როდესაც ჩვენ ერთმანეთისკენ ნაბიჯს გადავდგამთ – ეს არის სპექტაკლის მთავარი სათქმელი. მშვიდობის ფასი ყველაზე მეტად ჩემმა პერსონაჟმა, შავებში ჩაცმულმა ქვრივმა საიდამ იცის.. ისიც იცის, რომ შურისძიება უნდა დათრგუნოს და მოუხმოს გონიერებას. ის მზად არის, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ომი არ განმეორდეს, საფრთხე აარიდოს შვილს, რომელიც ენგურის საზღვართან მსახურობს. ხომ შეიძლება პირველი ტყვია მას მოხვდეს. საუბედუროდ ეს მოხდება კიდევ.“

მაგრამ ამ პერსონაჟის ტრაგიზმი ფსიქოლოგიურად უფრო დიდ მასშტაბებს მერე და მერე იძენს. რატომ არ ასვენებს ეჭვი – ვინ წევს მისი ქმრის საფლავში, ქმრის მკვლეელი ქართველი, თუ ის, ვინც მისი ქმრის ტყვიით მოკვდა. ეს კითხვები მისთვის დილემას არ წარმოადგენს. მთელი არსებით გრძნობს, რომ მოკლული ქმრის დატირება

მას ღირსებას ანიჭებს. მზად არის, მკვლელსაც შეუნდოს. ამიტომ, უნდა თუ არ უნდა ეს, მშვიდობა მისთვის ამქვეყნად გადარჩენის ტოლფასია. სათქმელიც ესაა: თუ ქვრივი საიდა მზადაა, უძვირფასესი ადამიანის მკვლელსაც შეუნდოს, მაშინ რა უფლება აქვს მას, ვისაც ეს ტრაგედია ყველაზე ნაკლებად შეეხო, მშვიდობის გარდა სხვა არჩევანი გააკეთოს“, – თვლის საიდას როლის შემსრულებელი ლილი ხურიითი.

ეს პერსონაჟი სცენაზე ნაკლებად ჩნდება. ძუნწი, თუმცა, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი შტრიხებით ლილი ხურიითი განაცდევინებს მაყურებელს პიროვნულ ტრაგიზმს, რაც ომს მოაქვს, რასაც ომი ჰქვია.

გულით უნდოდა დიმა ჯაიანს, დიდი საერთო ტკივილის, დიდ საერთო ტრაგედიის ამსახველ სპექტაკლს „ზღვა, რომელიც შორია“ სადადგმო ჯგუფთან, ხუთკაციან გამორჩეულად ინტელექტუალურ-სამსახიობო გუნდთან ერთად გადაელახა ენგური, შლაგბაუმით მონიშნული მიჯნა, ჩაელნია სოხუმამდე და ყოფილი ახლობლებისა და მეგობრების ერთმანეთთან შეხვედრით ცოტა ხნით მაინც განელელებულიყო წყენა, „იმ მეორე მხარესაც“ განეცადა, მიელო ან არ მიელო (როგორც ეს მოხდა ჩვენთან) შეულამაზებელი სიმართლე, მოესმინა თამამი მონოლოგები, შეეფასებინა მოცემულობა და დრო, რომლის გადასარჩენად დაიწერა და დაიდგა პიესა „ზღვა, რომელიც შორია“.

მე რომ ომის დროს თქვენსავით იქ ვყოფილიყავი, ანალიზისთვის არ მეცლებოდა, ომში ანალიზი არ ხდება, – მიაჩნია თემურ ჩხეიძეს, – მაგრამ ფაქტია, რომ ორივე მხრიდან გამოუსწორებელი დანაშაული არის ჩადენილი. აფხაზსაც და ქართველსაც თავ-თავისი სიმართლე აქვს. ეტყობა, დრო კიდევ უნდა გავიდეს; ისე, დროსთან ერთად, ალბათ, უფალსაც უნდა მივენდოთ. რალაც-რალაცები არ არის ჩვენი განსასჯელი.

სპექტაკლის მორიგი ჩვენებისას ინგლისელ კონფლიქტოლოგს უთქვამს: წელს რომ ნობელის პრემია გაიცემოდეს მშვიდობის დარგში, უსათუოდ ამ სპექტაკლს მივანიჭებდი.



„ზღვა, რომელიც შორია“. მარცხნიდან: გივი (ნუგზარ ჩიქოვანი), ასტამური (მერაბ ბრეკაშვილი), რომა (მერაბ ყოლბაია)

ლუვრის მუზეუმი 225 წლისაა

ფილი მინიყაუაძე ბიძია



ლუვრი. პარიზი

ლამით მუზეუმიდან გამოიტანო „ჯოკონდა“, რათა ნაცისტებს არ მისცე ამ მსოფლიო შედევრის მიტაცების საშუალება – ეს კიდევ ერთი ბლოკბასტერის სცენარი კი არა, ნამდვილი ისტორიაა.

როგორც ლუვრის ადმინისტრაციაში ჰყვებოდნენ, ჟოჟარმა საკუთარი ინიციატივით მოხერხებულად გადაძალა „მონა ლიზა“, მუზეუმის ყველა უძვირფასესი ექსპონატი.

საიდუმლო ოპერაცია, ლუვრის თანამშრომლების მიერ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ჩატარებული, ასახულია ახალ დოკუმენტურ ფილმში, სადაც ვეცნობით მთავარ მოქმედ პირს – ჟაკ ჟოჟარს.

1939 წელს, როცა მსოფლიო ომის საშიშროება რეალური იყო და უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი გერმანიის აგრესიაში, ლუვრის დირექტორმა ჟაკ ჟოჟარმა, გულმხურვალე პატრიოტმა და ლუვრის სიძველეებზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ადამიანმა, ამოცანად დაისახა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა,

შენარჩუნებინა მსოფლიო ცივილიზაციის შეუფასებელი განძეული, დაეცვა იგი და გაერიდებინა ომის მოსალოდნელი საფრთხისგან.

ხელოვნების სამყარო უნდა იცნობდეს თავის გმირებს!

ფრანგული დოკუმენტური ფილმი ჟაკ ჟოჟარზე უკვე გაყიდულია მსოფლიოს ათობით ქვეყანაში. კინონამუშევარში ჟან-პიერ დევილერსმა და პიერ პოჩარტმა გააერთიანეს საარქივო და მხატვრული გადაღება ანიმაციასთან. ისტორია, ფრანგი მსახიობის მატეი ამალრიკის მიერ ნაამბობი, ფოკუსირდება ჟაკ ჟოჟარზე – ფრანგების მიერ უსამართლოდ მივიწყებულ გმირზე.

ჟოჟარის ერთ-ერთი კოლეგა, როზა ვალანი, ზედმინევიტ იწერდა ყველა იმ ნამუშევრის დასახელებას, რომელიც ომის დროს ნაცისტებმა კერძო კოლექციებიდან მოიპარეს (ომის შემდგომ ვალანის სიის მიხედვით სამშობლოში დააბრუნეს მუზეუმის 45.000-მდე დასახელების ექსპონატი).

ჯორჯ კლუნის ფილმში „განძე მონადირენი“ სწორედ ამ ქალბატონის როლი ითამაშა ცნობილმა მსახიობმა ქეთ ბლანშეტმა. მაგრამ აი, ჟაკ ჟოჟარზე ცოტა ვინმეს თუ გაუგია; ამიტომ, როცა ამ ცოტა ხნის წინათ ახალი დოკუმენტური ფილმი პირველად აჩვენეს ფრანგული ტელეარხით „France 3“, როგორც ამბობენ, ფრანგები ეკრანების წინ გაშემდნენო.

«ჯოკონდა» «ბიჭია» სასწაულო ეხმაიების მანქანით



ჟაკ ჟოჟარი. ლუვრის დირექტორი, მუზეუმის საგანძურის მცველი

აღმოჩნდა, რომ ლუვრის ოპერაციას წინ უძღოდა კიდევ ერთი ეპოქალური ფაქტი: ომის ქარცეცხლისგან რომ ეხსნა, პრადოს (მადრიდი) მუზეუმის ყველა ექსპონატი 1938 წელს ჟოჟარმა შვეიცარიაში გადაიტანა.

1939 წლის 25 აგვისტოს ჟოჟარმა ლუვრი, როგორც საინფორმაციო წყაროები იუნეზკოდნენ, სამი დღით დაკეტა, თითქოსდა „სარემონტო სამუშაოების გამო“. სინამდვილეში კი მუზეუმის თანამშრომლები, მხატვარ – სტუდენტები და უნივერსიტეტის Crands Magasins-ის მუშები დიდი სიფრთხილითა და გულმოდგინებით ფუთავდნენ და ათავსებდნენ ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურს მუყაოს თეთრ ყუთებში (4.000-მდე ხელოვნების ნიმუშს).

მაგალითად, „ჯოკონდა“ „გაიპარა“ სასწრაფო დახმარების მანქანით, ვერონეზეს „ქორწილი გალილეის კანაში“ ცილინდრულად გაახვიეს, ხოლო ჟერიკოს ტილო „მედუზის ტივი“ პლედგადაფარებული გადაიტანეს დიდი სატვირთო მანქანით.



შედეგებს ჰქონდათ თავისი აღნიშვნები: ყველაზე ძვირფასი, ღირებული ექსპონატი ყვითელი ფერით იყო გამორჩეული, მთავარი – მწვანით, წითლით – მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოები, ხოლო სამი წითელი რგოლით მონიშნული იყო ის თეთრი ყუთი, სადაც „ჯოკონდა“ ინახებოდა.

შედეგების გადარჩენის ოპერაციაში მონაწილეობდნენ კერძო მანქანები, სატვირთოები, ფურგონები, ტაქსები... აგვისტოს იმ დღით 203 ერთეული სატრანსპორტო საშუალებით დაკომპლექტებული ავტოკოლონა, 1862 ხის ყუთით დატვირთული, საფრანგეთის სხვადასხვა ციხესიმაგრისკენ (შამბრი, მონტაბანა) გაემზა. „სამოთრაკიელი ნიკე“, 11 ფუტის სიმაღლის ქანდაკება, იყო ბოლო ექსპონატი, რომელიც იატაკქვეშეთში დამალეს სწორედ იმ დღეს, როცა ნაცისტური გერმანია პოლონეთში შეიჭრა.

1939 წლის 28 აგვისტოს წყალგაუმტარი ქალაქის მრავალ შრეში შეფუთულმა „მონა ლიზამ“ ლუვრი საიდუმლოდ დატოვა, ომის მიმდინარეობის დროს კი მას რამდენიმეჯერ შეუცვალეს სამალავი ადგილი. „ქალმერთ ნიკეს“ ქანდაკება, ფაქიზად შეხვეული თეთრ კარკასში, დააბინავეს ვალანსში მდებარე ციხესიმაგრეში. უძველესი ნაკეთობები რომ უვნებლად გადაერჩინათ, თითოეული სამალავი ადგილი იჭურვებოდა სპეციალური გამათბობლითა და ჰიდრომეტრიული ხელსაწყოთი.

კულტურულ ფასეულობათა სამალავ ადგილად ამოირჩიეს შატო – საომარი, სტრატეგიული მიზნებისგან დაშორებული წყნარი სოფელი, რომელიც ყველანაირად იყო დაცული დაბომბვის საფრთხისგან.

მთელი ომის მანძილზე შოჟარი და დამცველთა რაზმი ექსპონატებს ხშირად ადგილებს უცვლიდნენ. როდესაც 1944 წელს მოკავშირეებმა ჯარები ნორმანდიაში გადმოსხეს, ყოველ საცაგზე დიდად ენერა „ლუვრი“, რათა მფრინავებს შეენიშნათ და შენობები არ დაეზომათ.

საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ შოჟარი ელოდა, რომ ფაშისტები მას აუცილებლად მიაკითხავდნენ. მართლაც, 1940 წლის 16 აგვისტოს ჰიტლერის მიერ დანიშნული პირი, ფრანც ვოლფ მეტერნიხი მუზეუმში მივიდა. შოჟარი იგონებდა, მეტერნიხმა შვებით ამოისუნთქა, ლუვრი თითქმის ცარიელი რომ დახვდა. როგორც ბევრი სხვა მრავალი გერმანელი არისტოკრატი, მეტერნიხი არ იყო ნაცისტური პარტიის წევრი. სანამ შესაძლებლობა ჰქონდა, ის ცდილობდა, დახმარებოდა შოჟარს, რომ საფრანგეთის განძი დაეცვა გერინგის, გებელსისა და რიბენტროპისგან.

ნაცისტურმა გერმანიამ, რომელმაც მოინდომა, პარიზისთვის მსოფლიო კულტურის ცენტრის სახელი დაებრუნებია, 1940 წლის სექტემბერში ხელმეორედ გახსნა ლუვრის მუზეუმი, თუმცა უნიკალური ექსპონატებიდან აქ თითქმის აღარაფერი იყო დარჩენილი.

ოკუპაციის პერიოდში ნაცისტებმა ხელოვნების ის ნიმუშებიც დაიტაცეს, რაც მუზეუმის გალერეებს შემორჩა. მათი განსაკუთრებული ყურადღება ახლა აღმოსავლეთის კულტურამ მიიქცია.

პარიზის გათავისუფლების შემდეგ მოხდა ლუვრის რეკონსტრუქცია და 1945-1947 წლების განმავლობაში მუზეუმის საგამოფენო ოთახები თანდათანობით გაიხსნა საზოგადოებისთვის.

ჟაკ შოჟარის წყალობით ყველა მნიშვნელოვანი შედეგრი უვნებლად დაუბრუნდა ლუვრს.

არც ერთი ნაწარმოები არ იყო დაზიანებული. როცა ევროპაში დამყარდა მშვიდობა, შოჟარმა თხოვნით მიმართა შარლ დე გოლს, მეტერნიხის საპატიო ლეგიონის ორდენით დაეჯილდოებინათ.



„ჯოკონდა“ – მუზეუმიდან „გაპარვამდე“

ლუვრის ისტორია

ლუვრი არქიტექტურის ძეგლი და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მუზეუმი.

ლუვრი თავდაპირველად იყო სამეფო ციხე-დარბაზი, რომელიც XVIII ს.-ში საფრანგეთის მეფის ფილიპე II-ის ბრძანებით ძველი ციხესიმაგრის ადგილზე პარიზის დასაცავად ააგეს. მაშინ ლუვრი პარიზის გარეუბნად ითვლებოდა. აქ იყო ციხე, ბიბლიოთეკა. ეს იყო დიუმას სათავგადასავლო ნაწარმოებებში აღწერილი ამბების ადგილი.

ცნობილია, რომ ფილიპე II იყო დიდი ფორტიფიკატორი*. მისი მმართველობის დროს საფრანგეთში, დედაქალაქის მსგავსად, აიგო მრავალი ციხესიმაგრე. თუმცა თვითონ მეფე სიტეს კუნძულზე მდებარე სამეფო დარბაზში ცხოვრობდა, ლუვრი კი სამეფო რეზიდენციად მოგვიანებით იქცა.



მუზეუმის ექსპონატების შეფუთვა. 1939 წლის აგვისტო

* – სამხედრო-საინჟინრო შენობათა ამგები.



დომინიკ ვივან დენონი – ლუვრის პირველი დირექტორი. XIX ს.-ის ნახატი

სიტყვა „ლუვრი“, ვარაუდობენ, მომდინარეობს ძველსაქსონურიდან „Lower“, რაც ციხესიმაგრეს ნიშნავს. სხვა ვერსიით „Loup“ მგელს ნიშნავს; შეიძლება იმიტომ, რომ ამ მხარეში უძველესი დროიდან უამრავი მგელი დაძრწოდა. და მას „მგლების ადგილს“, „ლუვენას“ ეძახდნენ.

ლუვრის ციხე-დარბაზი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა XIV ს. შუა ხანებში, როცა იქ საცხოვრებლად მეფე კარლოს V გადაბრძანდა და თან გადაიტანა თავისი ცნობილი ბიბლიოთეკაც. გაჩნდა სპეციალური კოშკი, სადაც ინახებოდა ათასი ხელნაწერი წიგნი, მეფის ბრძანებით შეგროვილი. ეს კოლექცია შემდგომში საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ნაწილი გახდა.

კარლოს V ბრძენი, როგორც მას თანამედროვენი ეძახდნენ, ესწრაფვოდა, ფილიპე II-ის პირქუში ქმნილებისთვის მყუდრო იერი მიეცა. როცა კარლოს V-ის ბრძანებით პარიზს ახალი თავდაცვითი კედელი შემოავლეს, ლუვრმა დაკარგა პირვანდელი დანიშნულება. მეფემ ლუვრი თავის საცხოვრებელ რეზიდენციად აქცია.

შენობის გადაკეთება მომდევნო მეფეების კვალდაკვალ გაგრძელდა. ლუვრის ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღია 1527 წელი. ციტადელის ადგილზე ფრანცისკო I-მა გააშენა ბაღი, წამოიწყო ახალი ნაგებობის მშენებლობა: ლუვრმა ამჯერად რენესანსული სასახლის იერი მიიღო. XVII ს.-ში ლუი XVI-ემ პარიზის კარიბჭესთან ააშენებინა ვერსალის სასახლე – ახალი სამეფო რეზიდენცია. სამეფო კართან ერთად მეფე ლუვრიდან გადავიდა ვერსალში.

ჩა ბაღაწყვიტაჲ იაქობინაება

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ საბოლოოდ განსაზღვრა ლუვრის ბედი. იაკობინელებმა გადაწყვიტეს, აქ მოეწყო ხელოვნების საზოგადოებრივი მუზეუმი.

225 წლის წინ, 1793 წლის 10 აგვისტოს ლუვრში გაიხსნა პირველი ფრანგული ნაციონალური მუზეუმი. გამოიფინა სამეფო კოლექციის დაახლოებით 600 ექსპონატი. სასახლის დარბაზებმა პირველად უმასპინძლა უზრალო პარიზელებს. ნაპოლეონის ეპოქაში კი ლუვრი სამხედრო კამპანიების დროს სხვადასხვა ქვეყნის კოლექციიდან წამოღებული ხელოვნების შედეგებით გამდიდრდა.

1870 წელს დაიწყო ლუვრის შენობების საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა და მხოლოდ 1980 წელს მთელი ნაგებობების კომპლექსი, ჩრდილოეთის ფრთის ჩათვლით, სადაც ფინანსთა სამინისტრო იყო განთავსებული, მუზეუმს სრულად გადაეცა.

„დიდი ლუვრის“ პროექტი პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის დროს განხორციელდა: ლუვრის ცენტრი გადაკეთდა და მუზეუმის ახალი შესასვლელი მოეწყო. ჩინური წარმოშობის ამერიკელმა არქიტექტორმა ეო მონგ ჰიმე შექმნა დიდი შუშის პირამიდა (პირამიდის შუშისთვის რეცეპტი სპეციალურად შემუშავდა უახლესი ტექნოლოგიით), რომელიც ასხივებს სინათლეს.

დღეს მუზეუმის შესასვლელი მოქცეულია დიდ პირამიდაში. ცენტრალურ კოლონაში დამონტაჟებულია ლიფტი.



დამთვალიერებლები მუზეუმში

მთავარ ვესტიბულში განთავსებულია მუზეუმის სხვადასხვა სამსახური, ბილეთების სალაროები, განცხადებების დაფა, გარდერობი და სხვა. იქ დამონტაჟებული ესკალატორით შეიძლება მუზეუმის სხვადასხვა დარბაზში ასვლა.

ჩობოჩი შახოვია ჟოქაქსიაჩი

ჯერ კიდევ XV ს.-ში საფრანგეთში ხელოვნების ნიმუშების შეგროვების ინტერესმა გაიღვიძა. ფრანგი მეფეები იტალიაში საომარი ლაშქრობების დროს ხელიდან არ უშვებდნენ შანსს, ქვეყნიდან გამოეტანათ ფერწერული ტილოები, ანტიკური ქანდაკებები თუ სხვა მხატვრული ნაწარმოებები. მაგალითად, კარლოს VIII-მ,



დაიპყრო რა ფლორენცია, საფრანგეთში ჩამოიტანა მედიჩების მთელი საგანძური. თუმცა ხელოვნების მფარველი და კოლექციების გეგმაზომიერი შემქმენი იყო ფრანცისკო I. მან საფრანგეთში გადმოიყვანა ყველაზე საუკეთესო იტალიელი ოსტატები. 74 უცხოელ მხატვარს შორის 73 იტალიელი იყო. მათ შორის, ვინც ამ ქვეყანაში მეფის მონვევით გამოცხადდა, იყვნენ ლეონარდო და ვინჩი, ფლორენციელი სახელგანთქმული იუველირი და სკულპტორი ბენვენუტო ჩელინი, ანდრია დელი სარტო, როსსო და სხვა მრავალი.

ლეონარდო და ვინჩი გარდაიცვალა საფრანგეთში. ყველა ნახატი, რაც მხატვარს სახელოსნოში დარჩა, ფრანცისკო I-ის ხელში გადავიდა (მან ისინი შეიძინა), მათ შორის, სახელგანთქმული „ჯოკონდა“. იმ პერიოდში საფრანგეთში ჩამოიტანეს მიქელანჯელოს „მონებიც“, რომელმაც მოგვიანებით ლუვრის კოლექცია დაამშვენა.

კოლექციების შექმნა გრძელდებოდა შემდეგ წლებშიც. **მარია მედიჩმა რუბენსს შეუკვეთა 21 ნახატისაგან შემდგარი ციკლი**, სადაც თავისი ცხოვრების მოვლენები აისახა. ნახატები განკუთვნილი იყო ლუქსემბურგის სასახლისთვის, მაგრამ 1846 წელს იგი გადაეცა ლუვრს.

კოლექციების შეგროვებამ განსაკუთრებული მასშტაბი XVII ს.-ში მიიღო. უკვე არა მარტო მეფეები, არამედ ხელოვნების სხვა მრავალი მოყვარული ფლობდა უმდიდრეს კოლექციებს. მაგალითად, ყოვლისშემძლე მინისტრები: რიშელიე, მაზარინი, ბანკირი კროზა. მათი კოლექციების დიდი ნაწილი გადავიდა ლუდოვიკო XIV-ის ხელში, რომელიც დღეს ლუვრის საკუთრებაა. **ამ პერიოდში მეფის ბრძანებით შეისყიდეს რემბრანდტის ნახატები (სიკვდილის შემდეგ).**

ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობისას ლუვრი აღმოსავლური კულტურის ნიმუშებით შეივსო. **ბონაპარტეს დროს ლუვრი გამოცხადდა ევროპის ცენტრალურ მუზეუმად.** ის იქცა მსოფლიო ბატონობისა და იმპერიის სიმბოლოდ.

ლუვრის მუზეუმის პირველმა დირექტორმა, მწერალმა, არქეოლოგმა, დიზაინერმა და კოლექციონერმა დომინიკ ვივან დენონმა ლუვრის კოლექციები სისტემაში მოიყვანა გეოგრაფიული და ქრონოლოგიური პრინციპით. იტალიაში გაემგზავრა და მუზეუმისთვის შეიძინა ჩიმბუზეს, ჯოტოსა და სხვა იტალიელი მხატვრების ნახატები. ეს იყო სამუზეუმო საქმეში კოლექციების სისტემური შევსების ერთ-ერთი პირველი მაგალითი.


ლუვრში შევიდა ფრანგი მხატვრების: **დავიდის, ენგრის, დელაკრუას ნამუშევრები.** მათი ბევრი კერძო კოლექცია შეიძინა ლუვრის დირექციამ, ზოგიც გადაეცა ანდერძით, აგრეთვე, საჩუქრის სახით.

მემფისიდან (ეგვიპტე) არქეოლოგიური გათხრების შემდეგ ჩამოიტანეს „**მჯდომარე გადამწერი**“, 1819 წელს საფრანგეთის ელჩმა მეფეს აჩუქა „**ვენერა მილოსელი**“, რომელიც კუნძულ მილოსზე იპოვეს გლეხებმა, ხოლო 1863 წელს ლუვრისთვის შეიძინეს „**სამოთრაკიელი ნიკე**“.

ლუვრში წარმოდგენილია იტალიელ ფერმწერთა ყველაზე მდიდარი კოლექცია. **მსოფლიო დიდებით სარგებლობს რაფაელის 7 ნახატი, ტიციალის, ტინტორეტოს, ვერონეზეს, ბასანის ტილოები. ლუვრშია „სოფლის კონცერტი“, რომელიც ჯორჯონემ დაიწყო და რაფაელმა დაასრულა.**

ლუვრი თავს იწონებს ბოლონის აკადემიის მხატვართა შორის უდიდესი მხატვრის – კარავაჯოს ნამუშევრებით. აქაა წარმოდგენილი სხვა ევროპული ნაციონალური სკოლების წარმომადგენელთა: **გოიას, ველასქესის, დიურერის, რემბრანდტის** ფერწერული ტილოები. აღსანიშნავია ფლამანდიური სკოლის ფუძემდებლის – **რუბენსის** ნამუშევრების კოლექცია. დღესაც, როგორც მანამდე, ლუვრი განუწყვეტელი მოდერნიზაციისა და სრულყოფის პროცესშია.

P.S. 1942 წლის საშობაო წერილში ჟაკ შოჟარი ექსპონატების ერთგულ მცველთ ასათი სიტყვებით ამხნეობდა: **"ჩვენთვის მინდობილი ამ უზარმაზარი საბანძურის შენახვისა და დაცვისათვის უნდა ვიფხიჯოთ, ვიმოქმედოთ და ვიზრდოლოთ. დღემდე ჩვენ იგი გავარიდეთ საფრთხეებს. თქვენ ხართ მცველები ხელოვნების ნივთებისა, რომლებიც ეკუთვნის ქვეყანას. ჩვენი ვალდებულებაა, ეს ძმნილები გადავცეთ მომავალ თაობებს. ეს არის ჩვენი მისია".**



გერმანელი გრაფი ფრანც ვოლფ მეტერნიხი. საფრანგეთის საპატიო ლეგიონერი



ლუვრის ერთ-ერთი გამორჩეული დარბაზი

**თბილისელ სცენისმოყვარეთა დასი. 1892-93 წ.წ.**

წევრსა და სამშობლოში მაიორის ნოდებით დაბრუნებულ ვინმე გაბრიელს თბილისში, სასახლის ახლოს, თეატრი გაუმართავს. მაყურებელი წარმოდგენებს ესწრებოდა ბილეთებით, რომლებსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „შაური ორი. გაბრიელ მაიორი“.

XIX ს.-ის 50-იანი წლების ბოლოს არქიტექტორ გრიგორ ივანოვის პროექტით აშენდა ქობულაშვილების სასახლე, სადაც დღეს (1922 წლიდან) სამხატვრო აკადემია ფუნქციონირებს. 1869-86 წლებში აქ „საარტიტო წრის“, იგივე, „კრუჟოკის“ წევრები იკრიბებოდნენ.

XIX ს.-ის მინურულს თბილისში დაიდგა აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. სპექტაკლს ავტორიც დაესწრო. ცნობილი მსახიობი კოტე ყიფიანი გივი ჩოლოყაშვილის როლს ასრულებდა. მეორე მოქმედების მონოლოგი ასე მთავრდებოდა: „თუმცა უდროოდ დაგვისწულდა ძველი არწივი – თეიმურაზი“. მაგრამ მსახიობმა მისებური ინტერპრეტაციით მიაწოდა ეს ფრაზა დარბაზს: „თუმცა უდროოდ დაგვიორსულდა ეს ჩვენი მეფე – თეიმურაზი“. დარბაზში სიცილ-ხარხარი ატყდა. აკაკი წარმოდგა და თქვა: აქედან უნდა გავასწრო, თორემ კი ვიცი მე მსახიობების ამბავი, მეც რაიმეს დამწამებენ!

**კოტე ყიფიანი**

1900 წლის 11 ნოემბრის გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „კვირას, 5 ნოემბერს, სოხუმის სცენის მოყვარულთ კენიან ტერეზია შარვაშიძის მეთაურობით... წარმოადგინეს ვოდევნილები „ძუნწი“ გ. ერისთავისა და „ვასი გავეყარე, ვუის შევეყარე“ ვლ. გუნიასი... მიუხედავად იმისა, რომ სცენის გვიან მოწყობის გამო არც ერთი ხეირიანი რეპეტიცია არა ჰქონიათ მოყვარულთ, არა ჰყოლიათ არც რეჟისორი და არც სცენარიუსი, წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა.“

აი, რას წერდა 1902 წლის 1 დეკემბერს გაზეთ „კვალში“ კორესპონდენტი, ვინმე ღუნდუა: „ვინც სოხუმში ყოფილა და აქაურ თეატრში წარმოდგენას დასწრებია, უთუოდ პირველად გაკვირდებოდა თეატრის გარეგანი და შინაგანი მორთულობით... დარბაზი ძლივს იტევს 100 კაცს. ზალაში 80-მდე

**სოხუმელ სცენისმოყვარეთა დასი. 1912 წ. მათ შორის: შალვა დადიანი, ვასო აბაშიძე, მაკა საფაროვა-აბაშიძისა (შუაში)**

სკამია, 4 ლამპა და ფარდა – აი, მთელი მორთულობა აქაური თეატრისა... მაღალი წრის საზოგადოება არ კადრულობს თეატრში სიარულს. მიზეზი ბევრია. უმთავრესი კი ჩვენი გაუნათლებლობა, უკულტურობა... თეატრის გამგე თვალცრემლიანი თხოვს საზოგადოებას, გვიშველეთ, შემოდით, აიღეთ ბილეთები, თორემ მარტო კლუბის ხარჯსაც ვერ ვიხდით“.



1910 წელს, ჩიკაგოში, სპექტაკლ „ოტელოს“ მსვლელობის დროს დარბაზში გაისმა გასროლის ხმა და სცენაზე დაეცა ტყვიით განგმირული მსახიობი უილიამ ნუტცი. ის წარმოდგენაში იაგოს როლს ასრულებდა.

მკვლელი აღმოჩნდა ამერიკელი ოფიცერი, რომელმაც ვერ აიტანა მუნდირის შეურაცხყოფა. როცა დარწმუნდა რომ ნუტცი ნამდვილად მოკვდა, ოფიცერმა იქვე მოიკლა თავი.

ამერიკელებმა ისინი ერთად დაკრძალეს, საფლავის ქვას კი წაანერეს: „აქ განისვენებენ ზეიდეალური მსახიობი და ზეიდეალური მაცურებელი“.



ჩიკაგოს თეატრი. 1910 წ.

1911 წლის 12 ივნისს გაზეთი „კოლხიდა“, „დიდცხვირას“ ხელმოწერით, აქვეყნებს ინფორმაციას: „4 ივნისს, სოხუმში სამურიდის თეატრში იყო დანიშნული შ. დადიანის

საბენეფისო ბერნშტეინის პიესა „ქურდი“ და ვ. გაბუნიას ერთმოქმედებიანი ვოდევილი „არც იქით – არც აქით“... ხალხი ბლომად დაესწრო, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ წესიერების მხრით უხეიროდ იქცეოდნენ. სანამ თამაშს არ შეუდგნენ სცენაზე, მანამდე არავინ დაჯდა, ხოლო შემდეგ შეიქმნა ადგილების ძებნა და ნახევარი მოქმედება არავის მოუსმენია... ხალხს ინტერესი დაეკარგა კიდევ; ძალას ატანდნენ თავს, რომ არ ჩამოძინებოდათ და ტაშს წარამარა უკრავდნენ... შეიძლება არტისტები კმაყოფილნი დარჩნენ, გარდა შალვა დადიანისა“.

გერმანიის ქ. ბრაუნშვეიგის მუზეუმში ახლაც ინახება ერთობ არაორდინალური შინაარსის, 1734 წლით დათარიღებული თეატრალური აფიშა, სადაც ვკითხულობთ: „მაცურებლისათვის ხელსაყრელია, რომ პირველი რიგი იწვეს, მეორე – იყოს ჩაცვუქული, მესამე – იჯდეს სკამებზე, მეოთხე რიგი – იდგეს. ასე ყველანი კარგად დაინახავენ სცენას. სიცილი აკრძალულია, ვინაიდან იდგმება დრამა.“

მაცურებლის მიზიდვის მიზნით თეატრის ხელმძღვანელობამ ასეთი საზრიანობა გამოიჩინა.

გაზეთ „კოლხიდაში“ (1911 წლის 30 დეკემბრის ნომერი) ივანე თურქია სოხუმელ სცენისმოყვარეთა მოღვაწეობას ასე აფასებს: „თუ საზოგადოება წარმოდგენებს არ ესწრება, აქ ბრალი თვით სცენის მოყვარეებს ედება... თუ წარმოდგენას დაესწარი, მეორე დღე უნდა დაკარგო; მიუხედავად იმისა, რომ აფიშაში გამოცხადებულია 9, სპექტაკლი იწყება 11, 12 საათზე და გრძელდება 3-საათამდე. საზოგადოებამაც იცის, რომ ეს ასეა და არც ესწრება, ვინაიდან არ შეუძლია, მეორე დღე ძილში გაატაროს... კაი მოქართულებით ისეც კოჭლობს ჩვენი სცენა და თუკი ყური ძალიან დაცქვეტილი არ გაქვს, ისე ვერაფერს გაიგებ. თუ ადგილობრივ არტისტებს სურთ, რომ მათი საქმე წინ წავიდეს, წარმოდგენა უსათუოდ დანიშნულ დროს უნდა იწყებოდეს; ფარდა აიხდება თუ არა, შესასვლელი კარები იმწამსვე უნდა იკეტებოდეს. ჩიქორთულს სცენაზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ჯიბის ქურდბაცაცებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს“.

1962 წლის 17 აპრილს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თამაშდებოდა „ურთელ აკოსტა“, კოტე მარჯანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი. ურთელს თამაშობდა პიერ კობახიძე, ივდითს – ვერიკო ანჯაფარიძე. სპექტაკლის მსვლელობისას ქალბატონ ვერიკოს ფეხი დაუცდა, დაეცა და ხელი მოიტეხა. რა თქმა უნდა, მსახიობი კლინიკაში გადაიყვანეს. მაცურებელს საათზე მეტხანს დარბაზიდან ფეხი არ მოუცვლია. ვერიკო ანჯაფარიძე სცენაზე დაბრუნდა თაბაშირიანი ხელით და დაასრულა როლი.



ივდითი – ვერიკო ანჯაფარიძე



უბელური ადამიანები

ვიქტორ ჰიუგო (გადმოსცა ლევ ტოლსტოი)
რუსულიდან თარგმნა თათული რუხაძე

მეთევზის ქოხში აგიზგიზებულ ცეცხლს მიფიცებია მეთევზის ცოლი, ჟანა. ქალი ძველი აფრის შეკეთებითაა გართული. გარეთ ქარი სტვენს და ღმუის, აბობოქრებული ზღვის ნაპირს მძვინვარე, მოგუგუნე ტალღები ტლამუნით ეხეთქება. ეზოში ბნელა და ცივა. ზღვაზე ქარიშხალი მძვინვარებს, მეთევზის ქოხში კი სითბო და სიმყუდროვე სუფევს. მინის იატაკი დაგვილ-დანმენდილია. ღუმელში ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩამქრალა. თაროებზე ჭურჭელს წკრიალი გაუდის. თეთრ, ფარდაჩამოფარებულ სანოლში ჟანას ხუთივე შვილს მშვიდად და უშფოთველად სძინავს. ზღვის დაუცხრომელი ხმაური შორიდან აღწევს.

ქმარი მეთევზეა. თავისი ნავით გამთენიისას გავიდა ზღვაზე და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. ქარის ღმუილი და ტალღების გუგუნი შიშის ზარს სცემს ჟანას.



ბის ძველი საათი ხრიალით რეკავს ათს, თერთმეტს... ქმარი ისევ არ ჩანს. ჟანა ჩაფიქრებულია. მისი მეუღლე თავს არ ზოგავს, სიცივესა და ქარბუქში გადის სათევზაოდ. თვითონაც დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად შრომობს. და რა? თავი ძლივძლივობით გააქვთ. ბავშვებს ფეხსაცმელები არ აქვთ: ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველები დატანტალებენ; და ხორბლის პურსაც ვერ ჭამენ; თუმცა ისიც კარგია, ჭვავის პური რომ ჰყოფნით. ოჯახის ძირითადი საკვები თევზია. „მადლობა უფალს, რომ ბავშვები ჯანმრთელი არიან, რა საჭიროა წუნუნნი?“ – ფიქრობს ჟანა და სმენაგაფაციცებული ყურს უგდებს ქარიშხლის გუგუნს; „სადაა, ნეტა, აქამდე? ღმერთო, მენ უშველე და დაიფარე იგი!“ – უფალს ავედრებს თავის ქმარს და პირჯვარს იწერს. დაძინებამდე ჯერ კიდევ დროა. ჟანა სასწრაფოდ დგება, თავზე სქელ თავშალს იფარებს, ფანარს ანთებს და ქუჩაში გადის. ქალს თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებს: დაცხრა თუ არა ზღვა? ანთია კი ლამპა შუქურაზე, ხომ არ გამოჩნდა ქმრის ნავი ჰორიზონტზე? ჟანა ზღვის უკიდევანო სივრცეს დაჟინებით გასცქერის, მაგრამ ამაოდ. ზღვაზე არაფერი ჩანს. ქალს ძლიერი ქარი თავშალს თავიდან გლეჯს. მის სმენას რალაც რაკარუკის ხმა წვდება... ჟანას აგონდება, შეუძლოდ მყოფი მეზობელი ჯერ კიდევ საღამოს უნდა მოენახულებინა. „არავინ ჰყავს მიმხედავი საბრალოს!“

– ივლებს გულში და მეზობლის კართან ჩერდება, აკაკუნებს. პასუხი არაა.
„ცუდადაა ქვრივის საქმე! მართალია, მას მხოლოდ ორი შვილი ჰყავს, მაგრამ მათი პატრონი მხოლოდ ისაა და სხვა არავინ. ახლა ეს ავადმყოფობა-ლა აკლდა! ეჰ, მძიმეა ქვრივის ბედი. შევალ, მოვინახულებ“, – ფიქრობს მეზობლის კარის ზღურბლთან მდგარი ჟანა და კარებზე კვლავ აკაკუნებს. ისევ არავინ ეხმინება.
– ჰეი, მეზობელო! – იძახის ჟანა, – ვაითუ, რამე უბედურება შეემთხვა?! – შფოთავს ქალი. გული რალაც ცუდს უგრძნობს და კარს ხელს ჰკრავს.
ნესტიან ოთახში ცივა. ქალი ფანარს მაღლა სწევს, ავადმყოფი რომ უკეთ დაინახოს. პირველი, რაც თვალში ხვდება, კარების მოპირდაპირე მხარეს მდგარი სანოლია. სანოლში მყოფი მისი მეზობელი მიცვალებულივით ჩუმად და გაუნძრევლადაა. ჟანას კიდევ უფრო ახლოს მიაქვს ლამპა; ხო, ისაა, თავი უკან აქვს გადაგდებული; ცივ, გალურჯებულ სახეზე სიკვდილით მოგვრილი სიმშვიდე განფენილია. უფერული, მკვდარი, თითქოსდა რალაცისთვის განწვდილი ხელი უსიცოცხლოდ ჩამოვარდნია; იქვე, გარდაცვლილი დედის სიახლოვეს, ორ ხუჭუჭთმიან და ფუმფულალოყებიან პატარას უდრტვინველად



სძინავს. როგორც ჩანს, დედამ სიკვდილამდე მოასწრო და ბავშვებს ძველი თავშლით ფეხები დაუთბუნა, ზემოდან კი თავისი კაბა გადააფარა. პატარებს ქერაკულულებიანი თავები ერთმანეთისთვის მიუდვიათ და მოკუნტულებს ტკბილი და ღრმა ძილით სძინავთ.

ჟანა ხსნის აკვანს, რომელშიც ბავშვები წვანან, მათ თავშლით კარგად ფუთავს და აკვნიტ ხელში სახლისკენ მიემართება. გული გამალებით უცემს; თვითონაც არ იცის, თუ რატომ ან რისთვის აკეთებს ამას, თუმცა იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ არ შეეძლო, არ გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა.

სახლში მისული, ჯერ კიდევ მძინარე ბავშვებს სანოლში, თავისი შვილების გვერდით აწვენს და ფარდას ნაჩქარევად აფარებს. ქალი ფერმკრთალი და აღელვებულია. სინდისი ქენჯნის. „რას იტყვის ის? – თავის თავს ესაუბრება – ხუმრობა ხომ არაა, საკუთარი ხუთი შვილის გაზრდა; განა ცოცხალი საზრუნავი აქვს მას... ისაა?... არა, ჯერ არა!.. რა საჭირო იყო ბავშვების წამოყვანა?... მომკლავს! თუმცა ღირსი ვარ, ვიმსახურებ ამას, აი, ისიც! არა!.. მით უკეთესი!..“

კარი ჭრიალებს, თითქოს ვიღაცა შემოდისო. ჟანა შიშისგან კრთის და სკამიდან იწევს.

„არა, ისევ არავინაა! ღმერთო, რატომ გავაკეთე ეს?... როგორ ჩავხედო მას თვალებში?..“ ჩაფიქრებული ჟანა სანოლთან დიდხანს ჩუმად ზის.

წვიმა წყდება, თენდება. ქარი კი მაინც გუგუნებს, ზღვაც ძველებურად შფოთავს.

უეცრად კარი იღება და ოთახში ზღვის სუფთა ჰაერის ნაკადი იჭრება. მაღალი, შავგვრემანი მეთევზე, სველი, დაგლეჯილი ბადეებით ხელში, ქოხში შემოდის:

– ეს მე ვარ, ჟანა!

– ოჰ, ეს შენ ხარ? – ამბობს ჟანა და ჩერდება; ვერ ბედავს, მეუღლეს მზერა გაუსწოროს.

– აი, ღამე! საშინელებაა!

– კი, კი, ამინდი საშინელი იყო! როგორი თევზაობა გქონდა?

– ცუდი, ძალიან ცუდი! ვერაფერი დავიჭირე, მხოლოდ ბადეები დამეხა. ცუდი, ცუდი!.. მე შენ გეტყვი, ამინდი იყო! ვფიქრობ, ამ ღამეს ვერასოდეს დავივიწყებ! რისი თევზაობა?! მაღლობა უფალს, სახლში ცოცხალი რომ დავბრუნდი... აბა, შენ რას აკეთებდი აქ, უჩემოდ?

მეთევზეს ბადეები ოთახში შემოაქვს და ღუმელთან ჯდება.

– მე? – ამბობს სახეგაფითრებული ჟანა, – მე... რა... ვიჯექი, ვკერავდი... ქარი ისე ყმუოდა, რომ საშინელ დღეში ჩავვარდი. შენს გამო ვშიშობდი.

– ჰო, ჰო, – ბუტბუტებს ქმარი, – ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ამინდი! რას იზამ!

ორივე ჩუმდება.

– იცი, – აგრძელებს ჟანა, – მეზობლის ქალი, სიმონი გარდაიცვალა.

– ჰო?

– არ ვიცი, როდის. ნამდვილად, ჯერ კიდევ გუშინ ცოცხალი იყო. ჰო, მძიმე იქნებოდა მისთვის სიკვდილი. როგორ სტკიოდა, ალბათ, ბავშვების გამო გული! ორი პანია შვილი ჰყავს... ერთი ჯერ კიდევ ვერ ლაპარაკობს, მეორე კი ახლა-ღა იწყებს ხოხვას...

ჟანა დუმს. მეთევზე მძიმედ იყურება სადღაც, სახე შეფიქრიანებია.

– რა საშინელებაა! – ამბობს ქმარი, – რა უნდა გააკეთო? მოგვიწვევს წამოყვანა, თორემ გამოიღვიძებენ და, როგორია მათთვის მკვდრის გვერდით ყოფნა? რას იზამ, როგორმე გავუმკლავდებით! სწრაფად წადი! იჩქარე!

ჟანა ადგილიდან არ იძვრის.

– რა ხდება? არ გინდა? რა გემართება, ჟანა?

– აი, ისინიც, – ამბობს ჟანა და ფარდას სწევს.



მარია სკლოდოვსკა-კიური

**მარია სკლოდოვსკა-კიური**

მარია (მანია) სკლოდოვსკა-კიური - მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, ნობელის ორგანოს ლაურეატი პირველი ქალი (ფიზიკა და ქიმიაში), მრავალი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მათ შორის, პატარა შარბის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1907 წ.) და სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1926 წ.), პარიზის უნივერსიტეტის პირველი პროფესორი ქალი, ვარშავის რადიუმის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი; მეუღლაც, ქალიშვილიც და სიძეც ნობელის ლაურეატები იყვნენ.

მშობლები

დაიბადა 1867 წლის 7 ნოემბერს, ქალაქ ვარშავაში.

მამა – ვლადისლავ სკლოდოვსკი პოლონეთის პოლიტიკური

ბედუქულმართობით გაღარიბებულ წვრილ აზნაურობას მიეკუთვნებოდა. მან დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი და დაინიშნა ვარშავის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად. ღრმად განათლებულ ვლადისლავს აინტერესებდა ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის უახლესი მიღწევები. ლაპარაკობდა რუსულ, ლათინურ, ბერძნულ,

ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე, წერდა ლექსებს.

დედა – ბრონისლავა ბოგუსკა წარჩინებული წარმომავლობის ლამაზი ქალი იყო. ვარშავაში შესანიშნავი განათლება მიიღო, ხელმძღვანელობდა ვარშავის გოგონათა ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლას.

1860 წელს ბრონისლავა და ამავე სკოლის მასწავლებელი ვლადისლავ სკლოდოვსკი დაქორწინდნენ. 5 შვილი შეეძინათ. ყველაზე უმცროსი იყო მარია (მანია). ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფისთვის ვლადისლავმა საცხოვრებელი სახლი აქცია პანსიონად, სადაც მოსწავლეები სწავლობდნენ და ცხოვრობდნენ კიდევ. სწორედ პანსიონი გახდა მათი უბედურების მიზეზი: ერთ-ერთი მოსწავლისგან, რომელსაც თურმე ტიფი სჭირდა, დაავადდა უფროსი ქალიშვილი (რამაც იგი იმსხვერპლა). ქალბატონ სკლოდოვსკას კი ჭლეტი ჰქონდა და მან მალევე გაიზიარა უფროსი ქალიშვილის ბედი.

1878 წლის 9 მაისს მასთან მიდის არა ექიმი, არამედ მოძღვარი. მხოლოდ მას ანდობს ბრონისლავა თავის სულიერ ტანჯვას, მწუხარებას ძვირფასი მეუღლის გამო, რომელსაც აღსაზრდელად უტოვებს ოთხ ბავშვს, თავის მტანჯველ ფიქრებს უდევოდ დარჩენილი ბავშვების მომავალზე და, მათ შორის, ყველაზე უმცროს მანიუშაზე, რომელიც ჯერ მხოლოდ 10 წლისაა. მომაკვდავის უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა, ბავშვებისა და ქმარისთვის ნათქვამი, იყო – მიყვარხართ. მანიას უსაზღვროდ უყვარდა დედა, მიაჩნდა, რომ მსოფლიოში არ მოიძებნებოდა დედამისზე უფრო ლამაზი, უფრო კეთილი და ჭკვიანი არსება.

მართლაც, დაქვრივებულმა ვლადისლავმა 4 შვილის (1 ვაჟისა და 3 ქალიშვილის) აღზრდა თავის თავზე აიღო. ბავშვები განსხვავებულ ინტელექტუალურ გარემოში გაიზარდნენ. ოჯახში ერთი იდეალი – ცოდნა მეფობდა. სკლოდოვსკები გამოირჩეოდნენ მძაფრი ეროვნულით, მათ გეგმებში უპირველესი ადგილი პოლონეთისადმი სამსახურს, შემდეგ კი საკუთარ კეთილდღეობას, სიყვარულსა და ქორწინებას ეკავა.

პატარა მანია

მანიას არაჩვეულებრივი ნიჭი ადრევე გამოემჟღავნა. გოგონამ კითხვა ოთხი წლის ასაკში დამოუკიდებლად ისწავლა. ერთხელ, მშობლების თანდასწრებით უფროს დას, რომელიც მარტივ ტექსტს ბორძიკით კითხულობდა, წიგნი ხელიდან გამოსტაცა და გადაშლილი გვერდის პირველი სტრიქონი სხაპასხუპით წაიკითხა. მსმენელთა სიჩუმით გათამამებულმა ბავშვმა გატაცებით გააგრძელა კითხვა, მაგრამ მშობლების განცვიფრებული სახეები რომ შეინიშნა, შეშინებული შეჩერდა და რაღაც უთავბოლო, გაუგებარი სიტყვები წამოილულულა თავის გასამართლებლად: „მაპატიეთ!.. მაპატიეთ!.. ჩემდა უნებურად მომივიდა... არა ვარ დამნაშავე, უბრალოდ, ეს ძალიან იოლია!

შემდეგ კი ღრიალი მორთო... ოთხი წლის პანანინა გოგონას ვერ გაეგო, რატომ არ აპატიეს, დაუკითხავად რომ ისწავლა კითხვა.

პატარა მანია წესიერი, მგრძობიარე, მხიარული, მოსიყვარულე



ვლადისლავ სკლოდოვსკი შვილებთან ერთად (მარცხნიდან): მარია, ბრონესლავა, ელენა. 1890 წ.



გულის პატრონი იყო, მასწავლებლების აზრით კი ბრწყინვალე მოსწავლე. მართალია, თანაკლასელებზე ორი წლით უმცროსი იყო, მაგრამ გასაოცარი მეხსიერების წყალობით, ყველას სჯობდა არითმეტიკაში, ისტორიაში, ლიტერატურაში, გერმანულსა და ფრანგულ ენებში, კატეხიზმოში! შესანიშნავად ფლობდა რუსულს. თითქმის ყოველ დღე იძახებდნენ დაფასთან.

გიმნაზიაში

მარია ბუნებით ჯიუტი და თავისუფლებისმოყვარეა. პოლონური სულისკვებით გამსჭვალული სიკორსკის კერძო პანსიონიდან სახელმწიფო გიმნაზიაში გადასვლა, სადაც რუსიფიკატორული რეჟიმი მეფობდა,* მძიმე, მაგრამ აუცილებელი იყო: მხოლოდ სახელმწიფო საიმპერიო გიმნაზიები იძლეოდნენ ოფიციალურ ატესტატებს.

მარიამ თავის მეგობარ კაზიასთან ერთად გააპროტესტა იძულებითი გადასვლა და დაუპირისპირდა გიმნაზიის მასწავლებლებს; განსაკუთრებით, კლასის საძულველ ზედამხედველს – მადმუაზელ მეიერს.

ეს პატარა, შავგვრემანი ქალი მარიას დაუძინებელი მტერი გახდა. მას აღიზიანებდა შეუსმენლობა და ირონიული ლიმილი, რომლითაც გოგონა შეურაცხმყოფელ შენიშვნებს იგერიებდა.

- უფლებას არ მოგცემ, ასე მიცქირო... ზევიდან! – გაბოროტებული ყვიროდა მეიერი.
- რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია! – ჯიუტად პასუხობდა მარიაც.

ასე გრძელდებოდა ბრძოლა მეტისმეტად ამაყ მოსწავლესა და კლასის გაღიზიანებულ ზედამხედველს შორის.

ერთხელაც მადმუაზელ მეიერმა იმ დროს წაასწრო მარიასა და მის მეგობარ კაზიას, როდესაც გოგონები ალექსანდრე II-ის გარდაცვალებით გახარებულნი მერხებს შორის ცეკვავდნენ; და ეს მაშინ, როცა მთელი იმპერია ძაძებში იყო გახვეული... ეს მოსწავლე-მასწავლებელს შორის კიდევ ერთი უთანხმოების მიზეზი გახდა.

მიუხედავად ყველაფრისა, გოგონებს, ბუნებით სულგრძელებსა და ნაზებს, აქვთ, მეორე, თავისებური მორალი, რომლის მიხედვითაც სიძულვილი სიკეთედ ეთვლებათ, ხოლო მორჩილება – სულმდაბლობად. კაზიასადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში მანია დარცხვენილად და ამაღლელებლად აღიარებს: „იცი, კაზია... მე მაინც მიყვარს გიმნაზია. შენ, შეიძლება, დამცინო კიდევ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც ვიტყვი, რომ მიყვარს და ძალიანაც მიყვარს იგი. მხოლოდ არ იფიქრო, რომ მენატრება!..“

სკლოდოვსკების ოთხივე შვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა გიმნაზია.

“არჯთუ ისე რუდად მოეწყო!”

ოჯახს მამის ხელფასი ძლივს ჰყოფნიდა; ამიტომაც სკლოდოვსკებმა არსებობისათვის საჭირო შემოსავალზე ზრუნვა რეპეტიტორობით დაიწყეს. უკვე 16 წლის მარიამ იწვინა სიძნელები, დამცირებაც. წვიმასა და სიცივეში ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში გადარბოდა. უზნეო და ზარმაცი მოსწავლეების მშობლები აიძულებდნენ, მეცადინეობის დაწყებამდე ორპირ ქარსა და ვესტიბიულში ყოფილიყო („პანა სკლოდოვსკამ კეთილი ინებოს და დაიცადოს, 15 წუთში ჩემი გოგონა მზად იქნება!“). და მაინც, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეზარდა თავისი მოსწავლეების რაოდენობა, საარსებო მინიმუმით რომ შესველებოდა ოჯახს, დებს, მამას...

1886 წლის 1 იანვრის პირქუში, სუსხიანი დილა გათენდა. ის მიემგზავრება. ეს იყო ერთ-ერთი მძიმე დღე მარიას ცხოვრებაში. გოგონა გაბედულად გამოეთხოვა მამას და ცხოვრებაში პირველად, სრულიად მარტოდ აღმოჩნდა უცხო ადამიანების გარემოცვაში. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა! ახალ სამსახურში ხელფასი საკმარისზე მეტი იყო და, ამასთან, უნდა დახმარებოდა პარიზში მყოფ დასაც, ბრონიას. ახალგაზრდა გოგონას მიაჩნდა, რომ ის აქ „არცთუ ისე ცუდად მოეწყო!“ (სოფელი შჩუკა). გუვერნანტობას სოფლის ღარიბ ბავშვებთან მეცადინეობას უთავსებდა. გარდა ამისა, საკუთარ განათლებაზეც ზრუნავდა. დგებოდა დილის 6 საათზე და ბევრს მეცადინეობდა ფიზიკასა და მათემატიკაში, ეცნობოდა გონჩაროვის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, პუშკინის ნაწარმოებებს, ეწაფებოდა რჩეულ პოლონურ ლიტერატურას.

19 წლის მანიას მიყრუებულ სოფელ შჩუკში პირველი სიყვარულიც ეწვია; იმ ოჯახის (სადაც გუვერნანტად მსახურობდა) უფროსი ვაჟი, კაზიმირი შეუყვარდა. ახალგაზრდებმა დაქორწინება გადაწყვიტეს, მაგრამ ეს ურთიერთობა ვაჟის მშობლების აქტიური ჩარევის შედეგად მალევე დასრულდა.



პიერ, მარია და ირენ კიურები. 1901 წ.



პიერ და მარია კიურები ლაბორატორიაში. 1900 წ.

* – პოლონეთის ტერიტორია იმ დროს გაყოფილი ჰქონდათ რუსეთის იმპერიას, ავსტრია-უნგრეთსა და პრუსიას.



მარია კიური და ალბერტ აინშტაინი. 1929 წ.

დამცირებული, თავმოყვარეობაშელახული მარიასათვის ასეთი ხელსაყრელი სამსახურის დატოვება რთული აღმოჩნდა: დას, რომელიც პარიზში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, ყოველთვიურად თავისი თვიური ხელფასის ნახევარს უგზავნიდა. 1889 წელს დასრულდა მანიას შჩუკში ყოფნის პერიოდი.

გზა მეცნიერებისკენ

1891 წელს მარიამ აიხდინა ოცნება: წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მალევე უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებულმა სტუდენტმა მიიქცია პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება.

მარიამ დაიჯერა, რომ შეუძლია ყველაფრის შეცნობა, რასაც ადამიანებმა მეცნიერების სფეროში მიაღწიეს. თანდათანობით გაეცნო და დაეუფლა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის დარგებს. ნელ-ნელა შეითვისა ექსპერიმენტული ტექნიკა. მარია მხურვალედ დაენათა ყველაფერს, რაც ახალმა ეპოქამ შესთავაზა. ამასთან, მისი ცხოვრება მონაზვნური უბრალოებით გამოირჩევა; გოგონამ დღის წესრიგიდან გამორიცხა გასართობები, მეგობრული საღამოები, ირწმუნა, რომ მატერიალურ მხარეს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ნობელის ოჯახი

1894 წლის გაზაფხულზე მარიამ გაიცნო 35 წლის პიერ კიური, ნიჭიერი ფრანგი მეცნიერი, რომელიც ახალგაზრდა ქალმა პირველი ნახვისთანავე მოხიბლა. მარიას ხელშეწყობით პიერი კვლავ ხელს ჰკიდებს მიტოვებულ სამუშაოს მაგნეტიზმზე და ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას.

1895 წელს პიერი და მარია დაქორწინდნენ... დამყარდა ერთ-ერთი ულამაზესი კავშირთაგანი, ოდესმე რომ აერთიანებდა ქალსა და მამაკაცს. შეეძინათ ქალიშვილი – ირენი, მოგვიანებით, კი – ევა. ოჯახურ ცხოვრებასა და მეცნიერულ კარიერას შორის არჩევანი მარიას გონებაშიც არ გაუვლია. მან გადაწყვიტა, ყველა სფეროში წარმატებული ყოფილიყო: სიყვარულში, დედობასა და მეცნიერებაში, არც ერთი არ დაეთმო.

1896 წელს ცოლ-ქმარმა კვლევა-ძიება დაიწყო რადიოაქტივობის მიმართულებით. მეცნიერებს ურთულეს პირობებში, ძველ, უვარგის ფარდულში უწევდათ მუშაობა. **1898 წელს მათ აღმოაჩინეს ორი ელემენტი. ერთს უწოდეს რადიუმი, ხოლო მეორეს – მარიას სურვილით (თავისი ქვეყნის საპატივსაცემოდ) – პოლონიუმი. ამიერიდან მათ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ: სუფთა სახით რადიუმისა და პოლონიუმის მიღება.**

სწორად პიერ და მარია კიურებს „რადიუმის მშობლებს“ უწოდებენ.

1903 წელს მარია კიურიმ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რადიოაქტიურ ნივთიერებათა გამოკვლევა.“ კიურებს მიენიჭათ ნობელის პრემია, მარია სკლოდოვსკა პირველი ქალი იყო, რომელმაც ეს ჯილდო დაიმსახურა. ამ დროს პიერ კიური კათედრის გამგე იყო სორბონის უნივერსიტეტში.



მარია კიურის მუზეუმი ვარშავაში. ფრეტას ქ. № 16

1906 წელს მოხდა უბედურება – პიერ კიური ნადრევად, 47 წლის ასაკში, საბარგო ფურგონმა იმსხვერპლა.

1906 წლის 13 მაისს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, პიერ კიურისათვის შექმნილი კათედრა გადასცემოდა მეუღლეს, მარია კიურს და მას „პროფესორის“ წოდებაც მინიჭებოდა.

P.S. მარია სკლოდოვსკა-კიური გარდაიცვალა სასნაღმოდში, 1934 წლის 4 ივლისს, მწვავე ავთვისებიანი ანემიით. და როგორც მოგვიანებით პროფესორმა რაბოზ დანარა, "მაღამ კიური უნდა ჩაითვალოს თავისი ქმრისა და თვითონ მის მიერ აღმოჩენილ რადიოაქტიურ ნივთიერებაებთან ურთიერთობის ერთ-ერთი მსხვერპლად".

იგი დაკრძალეს ქმრის გვერდით პარიზში. თავის ქვეყანაზე უფროდ შეყვარებულ კატრიოტ ქალბატონს და-ქმამ სამარაში ერთი მუჭა პოლონიუმის მიწა ჩაატანა.

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე გამოსული წიგნი, მარიამ სიკვდილის წინ რომ დაასრულა, უკანასკნელი საჩუქარი იყო "ფიზიკაზე შეყვარებულთათვის". ნაცრისფერ გარკვეულ ენაზე: "მაღამ კიური, სოკოპონის უნივერსიტეტის პროფესორი, ნოზელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში, ნოზელის პრემიის ლაურეატი ქიმიაში".



საკიბელი

სოხუმის ქართული ჰიმოფანური თეატრი - 90 გზის დასაწყისი	3	სოხუმის ქართული ჰიმოფანური თეატრი - 90 „სცენა იგივე სკოლა“ – ფრაგმენტები სპექტაკლებიდან	30
მინიატურული ჰიმოფანური ოლესია თავაძე	4	სოხუმის ქართული ჰიმოფანური თეატრი - 90 დავით კობახიძე - სოხუმის ინტელიგენტური ქალაქი იყო	32
ახიჩა ელინოვა ლირსი მამა გიორგი (კარსლიდისი)	7	ლაზიკობაძე სათქაძე მარიამ კუკავა - ეს სპექტაკლი არ ყოფილა	36
ზღვისპირა იანაიანი	10	ნსოხიის ბაჰაუთილი იოსებ მანდელშტამი - მენშევიკები საქართველოში	40
სოხუმის ქართული ჰიმოფანური თეატრი - 90 იოსებ ჭუმბურიძე - პანორამა რეჟისორის ბინიდან	12	ლაფიონი თეკლე ჭუმბურიძე - წერილი საქართველოს	44
ბახთაბი სახელმწიფო დიდი საფოსტო რომანი ონორე დე ბალზაკი და ეველინა ჰანსკა	15	სოხუმის ქართული ჰიმოფანური თეატრი - 90 ნანა ჭანტურია - ვისია ზღვა, რომელიც შორია	45
ო, ენა ჩემო სულხან-საბა ორბელიანი - უსამართლო შირვან-შაჰი (იგავი)	18	მუხამედი ალიმანაძე თეატრალური ლევრი 225 წლისა	48
სოხუმის ქართული ჰიმოფანური თეატრი - 90 დიმა ჯაიანი – სცენური თავდავინების რაინდი	20	ქათამი	52
პოეზია მიხეილ ქვლივიძე	21	თეატრი ვიქტორ ჰიუგო - უბედური ადამიანები	54
ნახევრული სახელები პაატა ჭურდოვანიძე - ლეგენდა – მერი შარვაშიძე-ჩაჩბა	22	იქნა ბაჰაუთილი მარია სკლოდოვსკა-კიური	56
იქნა ნახევარი	27		
სოხუმის ქართული ჰიმოფანური თეატრი - 90 ნანა ქარდავა - ქართველად ყოფნის მისია	28		

ჩვენი მისამართი:

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
ტელ.: (+995) 598 93 92 84;
(+995) 599 12 66 80;
ელ-ფოსტა: jurnali.ialqani@gmail.com

იალქანი № 3 (41). 2018 წ.
აფქიო № 3 (14). 2018 წ.

ტირაჟი: 500 ც.
ფასი სახელმწიფოებრივად.





"მზენჯობიანი". ილია შანიჭანოძე. 6 წლის.